ვისათვის, რომელიც არ ითვალისწინებს კოსტიუმის რაციონალური ელემენტების (კონსტრუქციების, მოდელიორების ტექნოლოგიის, მასალის დამზადების, აქსესუარების) შესწავლას. შესასწავლი ობიექტის მიზანმიმართული და ორგანიზებული დაფიქსირების, აგრეთვე თბილისის ქუჩებში შეგროვილი ვიზუალური დოკუმენტური ფოტომასალის აღქმისა და მისი შემდგომი ანალიზის საფუძველზე, ავტორი მიდის დასკვნამდე, რომ: 2000-იანი წლებიდან შეიმჩნევა ტანსაცმლის მოხმარების ზოგადი ტენდენცია - მაღალი სტატუსის მქონე ჯგუფებისადმი მიბაძვისა და დემონსტრირებული მოხმარების კონცეფციების გამოყენების სფეროს შევიწროება. ავტორი იძლევა ტანსაცმლის მოხმარების და სტილის განზოგადოებულ დახასიათებას ქართული საზოგადოების სტრატეგიკის კონტექსტში. ავტორი ასაბუთებს აზრს, რომ მოხმარების სტილი თანამედროვე საქართველოში უკავშირდება მასობრივ არჩევანსა და მასობრივ ქცევას და მოსახლეობის უკვე ფართო ფენების ქცევის ერთ-ერთი სოციალური რეგულატორი ხდება. შესაბამისად, ხდება მოდის ინდუსტრიის კონცეფციის შესაძლო გამოყენების სფეროს გაფართოება. მოცემული პრობლემა პრაქტიკულად არ არის შესწავლილი ქართულ ჰუმანიტარულ აზროვნებაში და მოითხოვს შემდგომ კვლევას.

საკვანძო სიტყვები: მოდური პრაქტიკა, ტანსაცმლის მოხმარება, საზოგადოების სტრატეგიკა, პოსტსაბჭოური ტრანსფორმირება, მიბაძვის კონცეფცია, დემონსტრირებული მოხმარება, მასობრივი არჩევანი და მასობრივი ქცევა, მოდის ინდუსტრია.

duction of materials, accessories). On the basis of purposeful is organized fixation of the studied object, and also a perception of the visual documentary photographic material collected on streets of Tbilisi and its further analysis, the author comes to a conclusion that from 2000th years the general tendency of consumption of clothes is narrowing of a scope of concepts of imitation high-status groups and demonstrative consumption. The author gives the generalized characteristic style and practice of consumption of clothes in the context of stratification of the Georgian society. The sense that style of consumption in modern Georgia is connected with the mass choice and a mass behavior and becomes one of social regulators of a behavior is widely spread in population. Respectively, there is an expansion of the sphere of possible application of the concept of the industry of a fashion. This problem is not studied so far by Georgian humanitarian knowledge and demands further researches.

Keywords: fashionable practice, consumption of clothes, stratification of society, Post-Soviet transformation, concept of imitation, demonstrative consumption, mass choice and mass behavior, industry of fashion.

XX საუკუნის დასაწყისიდან ცივილიზებული საზოგადოების ფუძემდებელ თვისებად ხდება დემოკრატია და თანასწორობა. ცვილებების ტრანსლირება დალს ასვამს რეპრეზენტაციას მოდის სისტემაში. (ბარტი, 2003). თანდათან XX საუკუნის მოდამი ჩაცმულობის და სხვა გარეგნული ატრიბუტიკის მეშვეობით ყალიბდება ადამიანის ახალი სახე, რომელიც არღვევს წოდებრივ საზღვრებს, რასაც ჩაცმულობა ასახავდა მრავალი საუკუნის განმავლობაში.

ჩაცმულობის სემიოტიკური სტრუქტურები აღარ განსაზღვრავდნენ ადამიანთა სოციალურ-კლასობრივ სხვაობას, აღარ აღნიშნავდნენ ძალაუფლების იდეას ჩაცმულობაში და მის დაქვემდებარებას მოდურ პროცესისდმი. ამას შეუწყო ხელი სამკერვალო მრეწველობის მძაფრმა განვითარებამ, გაჩნდა ახალი ტექნოლოგიები ქიმიამში. ხმარებაში შემოვიდა ტანსაცმელი იათიანი ხელოვნური ქსოვილებისაგან, მათ შორის არც ისე ძვირი ქარხნული მზა ტანსაცმელი ძვირიანი სამკაულები შეცვალა ბიუტერიამ. კოკო შანელი ქმნის პრაქტიკული კოსტიუმებს ქალის ბლუმებთან ერთად, რომლებიც მტკიცედ დამკვიდრნენ მთელი XX საუკუნის განმავლობაში - და ერგებიან ნებისმიერ შემთხვევას. თუმცა ტანსაცმლის ფასების სხვაობა შენარჩუნდა, მაგრამ გაძნელდა ადამიანის ადგილის დადგენა სოციალურ კიბეზე მხოლოდ მისი გარეგნობით.

დემოკრატის პროცესები ტანსაცმლის ტარებაში გავრძელდა მე -2 მსოფლიო ომი შემდეგაც. ევროპასთან ერთად ნამყვან პოზიციებს მოდის ინდუსტრიაში იკავებენ, აშშ. ამერიკელ მოდელიორებს შემოაქვთ ტანსაცმლის ახალი სტილები, რომლებსაც ახასიათებს პრაქტიკულობა და მოხერხებულობა. მათ პირველებმა შესთავაზეს საზოგადოებას ტანსაცმლის ისეთი მოხერხებული ტიპი, როგორცაა სვიტერი, რომელიც აიტაცა XX საუკუნის დემოკრატიულმა ინტელიგენციამ. ასევე, მათ შმოიღეს ასეთივე მოხერხებული ფეხსაცმელი - საზაფხულო სანდლები. ამერიკული მოდის წყალობით ქალთა გარდერობი შეივსო მოხერხებული კაბა - პერანგებით, ხოლო მამაკაცებისთვის შეიქმნა კოვბოური ქურთუკები. ამერიკის განსაკუთრებული წვლილია- განთქმული ჟინსები - XX საუკუნის ყველაზე დემოკრატიული სამოსი, XX საუკუნის სიმბოლო. სწორედ აშშ-ში დაიწეს ტანსაცმლის მასობრივი წარმოება. ასეთი ტანსაცმელი ასახავდა მასობრივ გემოვნებას და ადამიანთა მასობრივ მოთხოვნილებას. ეს პროცესი დღესაც გრძელდება. ტანსაცმლის მოდური მოხმარების თანამედროვე მდგომარეობა საქართველოში უთუოდ წარმოადგენს განვითარების იმ შეუქცევად პროცესს, რომელიც გაიარა საერთაშორისო მოდამ. ამ ნაშრომში ჩვენ წარმოვაჩინეთ ტანსაცმლის მოხმარების ხასიათის ანალიზის პირველი მცდელობა ქართულ ჰუმანიტარულ აზროვნებაში ქართული პოსტსაბჭოური სტრათიფიკაციის კონტექსტში. მოცემული პრობლემატიკა ძალზე აქტუალური და საინტერესოა ჩვენთვის იმდენად, რამდენადაც ტანსაცმლის თანამედროვე მოხმარების ანალიზი საგრძნობლად შეავსებს და გაამდიდრებს ქართულ მეცნიერულ აზრს კონკრეტული მოდური პრაქტიკის ანალიზის თვალსაზრისით მოხმარების საზოგადოების ჩამოყალიბების პირობებში, როცა მიმდინარეობს თანამედროვე ქართული მოდური პროცესის ტრანსფორმირება.

ტანსაცმლის მოხმარების სტილის და პრაქტიკის დახასიათებისათვის 90-იან წლებში გამოყენებულია სხვადასხვა ტიპის ფოტოსურათები: პერსონალური,

ოჯახური, ჯგუფური (სასწავლო დანესებულებების კურსდამთავრებულების, საწარმოო კოლექტივების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წევრების, მეგობრების, და სხვ.) 2000 -ანი წლების მოდური პრაქტიკის ანალიზისათვის გამოვიყენეთ თბილისის ქუჩებში დაკვირვების მეთოდი - შესასწავლი ობიექტის აღქმის მიზანმიმართული და ორგანიზებული დაფიქსირება (ყოლი, 2004)

დაკვირვების ობიექტს წარმოადგენენ: ცალკეული პიროვნებები და ადამიანთა ჯგუფები. მონაცემების შეგროვების ვიზუალური პროცედურა ჩვენ განვახორციელეთ ისე, რომ წარმოგვეჩინა, პირველი ტანსაცმლის სტილების ვარიაციების მაქსიმალურად შესაძლებელი რაოდენობა და მეორე, ტანსაცმლის ყველაზე ტიპური სტილები, რომელთა ნახვა შეიძლება თბილისის ქუჩებში აღნიშნულ პერიოდში (დაკვირვებები დასტურება დანართებში დაფიქსირებული ფოტო მასალით).

წყაროების ამ სახის ღირებულება იმაშია, რომ მათ საფუძველზე შეიქმნას მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ჯგუფების წარმომადგენლეთა სამოსის ტიპიზირებული და ქრონოლოგიურად სისტემატიზირებული სურათი. ეს სავესებით საკმარისაა ჩვენი კვლევისათვის, რომელიც არ ითვალისწინებს სამოსის რაციონალური ელემენტების (კონსტრუქციების, მოდელირების ტექნოლოგიის, ქსოვილების დამზადების, აქსესუარების რაც წარმოაჩენს სამოსის პრაქტიკულ ფუნქციას) შესწავლას. ტანსაცმლის მაგალითი მიგვაჩნია განსაკუთრებით საინტერესოდ და იმედის მომცემად სამოსის ენის შესაძლებლობების თვალსზისით, როგორც შესანიშნავი საშუალება დავაკვირდეთ სტრუქტურული ტრანსფორმაციების გავლენას იდენტურობის ყოველდღიურ კონსტრირებაზე პოსტსაბჭოურ სივრცეში. ჩვენ ვამახვილებთ ყურადღებას ინდივიდუალური ყოველდღიური სამოსის დამკვიდრების სპეციფიკასა და მისი შინაარსობრივი ინტერპრეტაციის თავისებურებებზე საზოგადოებრივ სივრცეში. ხოლო მოხმარების სფერო ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ ვავიზიაროთ პოსტსაბჭოური ტრანსფორმაციები, ვინაიდან სწორედ ყოველდღიური მოხმარების მემკვიდრეობით (ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ ტანსაცმლის მოხმარებას) ადამიანი უპირველეს ყოვლისა ითავსებს პოლიტიკური რეჟიმების ცვლას.

მუშაობის პროცესში ჩვენ ვეყრდნობით ფრანგი მეცნიერის პიერ ბურდიეს (1930-2002) დასკვნებს კლასებსა „ტანსაცმლსა და მოდაზე, რომლებიც მოცემულია მის მონოგრაფიაში „სხვაობის დადგენა: გემოვნებაზე, მსჯელობის სოციალური კრიტიკა“ 1963-68). შმდგომ მსჯელობაში ჩვენ გამოვდივართ პიერ ბურდიეს სოციალური ველის კონცეფციიდან, რომელიც დღესაც აქტუალური. არ დაუკარგავს სიმწვავე „კუთური და მისი ხელმოწერა: შენატი მაგიის თეორიაში“ (Бурдьё, 1975), „მაღალი მოდა - მაღალი კულტურა“ (Бурдьё, 1993)

ბურდიე ჩვენი თანმადროვეა. მისი დასკვნები მოდის ფუნქციონირებაზე „მოხმარების ველში“ სავესებით გამოსაყენებელია სამოსის მოხმარების თანმადროვე საქართველოში ჩამოყალიბებული სიტუაციაშიც, ამიტომ მეცნიერულად საინტერესოა ჩვენთვის. შმდგომ მსჯელობაში ჩვენ ვეყრდნობით მის თორიულ წინაპირობებს. ამასთან ჩვენს მიერ გამოყენებული ტერმინოლოგია ნასესხებია პიერ ბურდიესგა სამეცნიერო ლექსიკონიდან.

პირველად მოდის, როგორც სოციალური ფენომენის, მეცნიერულ ახსნას შეეცადნენ ამერიკელი ტორსტეინ ვებლენი და გერმანელი გეორგ ზიმმელი (1858-1918). ორივე მიიჩნევდა, რომ მოდა ყალიბდებოდა მაღალ ფენებში და მას თვლიდნენ კლასობრივი საზოგადოების ფენომენად. კერძოდ, ამერიკელი მეცნიერი ტორსტეინ ვებლენი განიხილავს მოდას, როგორც მაღალი სოციალური სტატუსის დემონსტრირებას, რეპუტაციის დაცვას. ძვირფასი ნივთების ქონა მოდური და პრესტიჟულია, აღნიშნავდა მეცნიერი თავისი მოდის კონცეფციაში (Венлен, 1984). მანვე შემოიღო მეცნიერულ სმარებაში ცნება „საჩვენებელი (დემონსტრირებელი) მოხმარება“... ვებლენის ნაშრომებში აღწერილი საჩვენებელი მოხმარება დღემდე აქტუალურია. ვებლენთან ერთდროულად ამგვარ ფენომენებს, ოღონდ ბერლინის მაგალითზე, იკვლევდა გ. ზიმმელი (1858-1918). მათი საკვანძო პრინციპის ფორმულირება გამოიყურება ასე: მიჩვენე, რას მოიხმარ და გეტყვი ვინ ხარ“. შემდგომში მოდის ელიტური თეორია გააკრიტიკა პიერ ბურდიემ ელიტის გადაჭარბებული როლის გამო ფუნქციონირების პროცესში. თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ პიერ ბურდიეს დებულება იმაზე, რომ მოდის მოხმარების „ველზე“ მოთამაშებისათვის უფრო მნიშვნელოვანია „ჩვენება“, ვიდრე „ყოფნა“ (Бурдье, 1984: 253), მაინც შეიცავს ვებლენის მაგვარ იდეას ტანსაცმელზე, როგორც სტატუსის სიმბოლოზე. მოხმარების საზოგადოება, რომელმაც აქტიურად შემოაღწია თანამედროვე საქართველოში, აყალიბებს ახალ მოხმარებლურ კულტურას. მოხმარებლური კულტურისათვის წარმოასვენს სოციალური თვითდამკვიდრების, იდენტურობის და კომუნიკაციის ჩამოყალიბების პროცესს. ამასთან უნდა აღვნიშნოთ, რომ ახალმა წარმარებულმა ფენებმა დაადგინეს მაღალი მოხმარებლური სტანდარტები (ძვირად ღირებული კერძო სახლები, მანქანები, სავალდებულო მოგზაურობები საზღვარგარეთ და დასვენება ფემინებლურ სასტუმროებში და სხვ.) შედეგად ყალიბდება „გაზრდილი სურვილების სივრცე“.

ჩვენი დაკვირვებები ყოველდღიურ ცხოვრებაზე გვაძლევს საშუალებას გამოვიტანოთ დასკვნა, რომ მოდური გარეგნობა საქართველოში არის როგორც ინდივიდის და საზოგადოების თვითინდიფიცირების საშუალება, ასევე სოციალური სტატუსის თვალსაჩინო დემონსტრირება და დემონსტრირებელი ქცევის ფორმა. მაგრამ თუ გინდა იყო თანამედროვე და ჩაენერო სტანდარტებში, უნდა მოიხმარო საკმაოდ მაღალ დონეზე. ეს კი ეწინააღმდეგება მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ეკონომიკურ რესურსებს, ვინაიდან თანამედროვე ქართული ეკონომიკა ქმნის „შემზღვეული შესაძლებლობების ველს“. მიუხედავად ამისა, ჩვენი დაკვირვებით, რომ ღირსეული ტანსაცმელი საქართველოში ძვირია (უფრო ძვირია, ვიდრე, ვთქვათ, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში), ადამიანები იხდიან ფასს, რომელიც აღემატება მათ მატერიალურ შესაძლებლობებს.

ამიტომ სრულიად ვეთანხმებით გავრცელებულ აზრს, რომ ფულის ფლანგვა ძვირადღირებულ ტანსაცმელზე უნდა გავიგოთ, როგორც პოსტ-საბჭოური მოხმარების საკომპენსაციო ფუნქცია მოდური ტანსაცმლის საბჭოთა პერიოდის დეფიციტის შემდეგ, როცა ადამიანი ვერ იკმაყოფილებდა მისი შეძენის სურვილს. ასევე შესაძლებელია, თუ ვივარაუდებთ, რომ ფულის გადაჭარბებული ხარჯვა ტანსაცმელზე მიუთითებს სხვა მისანვლოში

ვიზუალური საშუალებების (მაგ. ბინის, სახლის, აგარაკის და სხვა) არქონაზე (ან ქონაზე არასაკმარისი რაოდენობით) საკუთარი სოციალური სტატუსის დემონსტრირებისათვის. ამ შემთხვევაში ტანსაცმელი წარმოადგენს სოციალური სტატუსის ვიზუალური დემონსტრირების ყველაზე მარტივ, სწრაფ და მატერიალურად მისაწვდომ საშუალებას. სოციალური სტატუსი თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში დღემდე ინარჩუნებს შეფასებას მნიშვნელოვანი კრიტერიუმის ფუნქციას, რომელიც ყველაზე ნათლად ვლინდება გარეგნულ იერში (თუმცა თანამედროვე დასავლურ საზოგადოებაში ეს კრიტერიუმი უკვე არ არის წამყვანი ტანსაცმლისადმი პოსტ-მატერიალური დამოკიდებულების გამო). ეს თვისება ასევე ადასტურებს აშკარა მემკვიდრეობითობას გვიან საბჭოთა პერიოდთან, როცა მოქმედებდა პრინციპი „გაილე უკანსა კნელი“, ე. ი. დაზოგვე ფული კვებაზე და ჯანმრთელობაზე, სამაგიეროდ კი გარეგნულად „დემსგავსები დედოფალს“ (Пилкинґтон, 2004). თუმცა აქ უნდა გავითვალისწინოთ ქართული საზოგადოების ისეთი დამახასიათებელი თვისება, როგორც განსაკუთრებული ყურადღება თავისი გარეგნული იერისადმი

გავისენოთ, რომ „მომხმარებელთა ველის“ სტრუქტურის კვლევისას პ. ბურდიე მიუთითებდა: ყოველ კლასს (ბურჟუაზიას, საშუალო და მუშათა კლასებს) გააჩნია თავისი მთელი რიგი პრაქტიკული ხერხი. მაგალითად, მუშები ირჩევენ ფუნქციანულურ ნივთებს, ისინი არც ისე მისდებენ მოდას. ბურჟუაზიასაც გააჩნია პრივილეგია, არ იზრუნოს განსხვავებულობაზე. ბურჟუაზიის ბატონობა გამოიხატება, ალბად, ეკონომიკური კაპიტალის ქონაში. მათ აგერთვე აქვთ პრეტენზიები ჰქონდეთ განსაკუთრებული გემოვნება ხელოვნებაში, მხატვრობასა და მუსიკაში, რაც განსხვავებს მათ „ყოველგვარ უფერულისაგან“ (Бурдьე, 1984). ამ ორის კლასის სანინაღმდეგოდ მოდიოთ გაძლიერებული დაინტერესება ახასიათებს ნეკრონიშებს - უმაღლესი კლასის არადომინანტურ ფრაქციას (ეს არიან სწრაფად გმდიდრებული ადამიანები, რომლებიც ცდილობენ შეაღწიონ უმაღლეს კლასის რიგებში) და აგერთვე საშუალო ფენის წარმომადგენლებს. ამ ჯგუფებს ახასიათებს აქტიური „თვითმაქცობის სტრატეგია“. ეს სტრატეგია გემოვნების ობიექტურ კლასიფიკაციაში „კლასობრივი მდგომარეობის რეპრეზენტაცია მოლიფიცირების გზით“.

უეჭველია, რომ კლასობრივი დიფერენცირების ჩატარება საქართველოში რთულია იმ მიზეზით, რომ ქართული საზოგადოების სოციალური სტრუქტურა მოძრავია, კლასებს შორის არ არის მკვეთრი ზღვარი: აქ არის ბურჟუაზია, ჩამოყალიბებული საშუალო კლასი, მუშათა კლასი. მიუხედავად ამისა, მოდის კლასობრივი ფუნქციონირების მოყვანილი დახასიათებები სავსებით მიესადაგება სტრათიფიკაციის მდგომარეობის აღწერას ტანსაცმლის ქართველ მომხმარებელთა „ველში“. ამას ადასტურებს ჩვენს მიერ წარმოდგენილი ფოტომასალა, რომელიც ასახავს კლასობრივ მარკერებს და გვაძლევს საშუალებას გამოვიყენოთ ფრანგი მეცნიერის დასკვნები ქართული სიტუაციის შესწავლისას. ერთერთ ყველაზე საინტერესო ფენომენს, პიერ ბურდიეს მიხედვით, წარმოადგენს მისწრაფება „ბურჟუაზიულ შიკსადსმი“. „ბურჟუაზიული შიკი“ ახასიათებს მდიდრებს საქართველოსაც.

გავისენოთ 1990 - იანი წლების „ახალი“ ქართველების „წითელი პიჯკები“ და გრძელი თეთრი ლაბადები, კონსიუმერისტული ფუნქციონალურობა 2000 -ანი წლებიდან (როცა სამოსის სიახლის ესთეტიკა გამოდის პირველ პლანზე). ეს იყო ქართული მოდური მოხმარების პერიოდი, როცა ქართულმა შექმნებულმა კლასმა დაიწყო ტანსაცმლის კლასობრივი ენის სუმბურული და ჩქარებელი ათვისება. შედეგად - მკაფიო დრეს - კოდების არარსებობა. ჩვენი დაკვირვებით, 1990 -იან და 2000 -იანი წლების დასაწყისში ჭარბობს ფინანსური სრატუსის განსაღვრა და ხაზის გასმა. ეს გამოიხატებოდა იმაში, რომ იმ დროს საკმაოდ გავრცელებულ მოვლენას წარმოადგენდა მაღალი სტატუსის ჯგუფებისადმი მიბაძვის კონცეფციისა და დემონსტრაციული მოხმარების გავრცელება.

ამასთან ერთად, ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ თანდათან, 2000 - იანი წლების პირველ ათწლეულიან თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში ვლინდება საინტერესო ფენომენი, რომელიც პიერ ბურდიეს განმარტებით, ასევე ხდება სიმდიდრის გემოვნების მაჩვენებელი. მოხმარებლები სწავლობენ ფუფუნების ენას, რომლის ერთერთი პროინციპს წარმოადგენს თავშეკავებული გემოვნება. იგი ვულისხმობს „ბურჟუაზიული შიკის“ და შეუმჩნეველი სიმდიდრის ესთეტიკის გამოყენებას დემონსტრაციული ფლანგვის საპირისპიროდ. დღეს კარგი ტონის მაჩვენებლად თანდათან გვევლინება ლუქსის კლასის ბრენდების (ტანსაცმლის, აქსესუარების) მოხმარება, რომლებიც არ რიან თვალში საცემი და არ უსვამენ ხაზს ბრენდს.

დღეს, მკვლევარები ვერ თანხმდებიან კლასობრივ მარკების შეფასებაში ყოფილ სოციალისტურ საზოგადოებებში. არსებობს აზრი, რომ კლასობრივი დიფერენცირება უთმობს ადგილს კულტურულ სხვაობას (Штомпка, 2007) არსებობს სხვა თვალსაზრისიც. მისი მიმდევრები ამტკიცებენ, რომ ტანსაცმლის მოხმარება წარმოადგენს კლასობრივი თვითინდენტიფიცირების პროცესს, ხოლო მისი მონაწილე ხშირად აცხადებს არა იმდენად ინდივიდუალურობაზე (ან პირიქით, შესაბამისობამდე თავისი სოციალური ჯგუფის კოდებთან), რამდენადაც საკუთარ კლასობრივ კუთვნილებაზე (Горалик, 2007). გვეჩვენება, რომ საქართველოსთან მიმართებაში არ არის გამართლებული დავიყვანოთ მოდური სიტუაცია ერთიან მნიშვნელამდე. ჩვენი პოზიცია სრულიად ესადაგება ახალი თაობის მკვლევართა დასკვნებს. მათ კულტურულ გამოკვლევებში აქტუალურია მოდიოს ლიდერების თანამედროვე თეორია - პოლიცენტრულობის თეორია, და არა მოდის „ზევიდან ქვევით“ ჩამოდინების თეორია. ამრიგად, ჩვენ ვსაუბრობთ „მოდებზე“ მრავლობით რიცხვში, ვსაუბრობთ მიდრეკილებაზე ტანსაცმლის მრავალ ნიმუშისადმი. დომინირებს არა ერთი ნიმუში, რომელიც მიბმულია გარკვეულ სოციალურ ჯგუფებზე, არამედ მრავალი ნიმუში და სტილი”(Melchior, 2011).

ჩვენ მიგვაჩნია, რომ 2000 -იანი წლების პირველი ათწლეული ქართულ საზოგადოებისთვის სოციალური სტატუსი უკავშირდება არა მხოლოდ ეკონომიკურ კაპიტალს და სათანადო ვიზუალურ სახეს., როგორც ვებლენის დროინდელ ამერიკულ საზოგადოებაში.

ელიტარული ჯგუფების პრესტიჟი სრულიად არ აძლევს გემს მოდურ მოძრაობას. სხვადასხვა სოციალური ჯგუფის წარმომადგენლები, რომლებიც

შეგნებულად მისდევენ მოდას, იქცევიან ასე იმიტომ, რომ ეს მოდა და არა იმიტომ, რომ ეს ელიტარული ჯგუფის პრესტიჟია.

სოციალური სტატუსი ბევრად არის დამოკიდებული მოდის მონაწილის პრესტიჟზე. ამ მონაწილეს ზურგს უმაგრებს თვისება, რომელიც იმეორებს პიერ ბურდიეს 1960 -იანი წლების „გემოვნებას“ დახასიათებას, ეს განათლებაა. ჩვენ კი დავუმატებთ - უნარი წარმოაჩინო თავი საზოგადოებაში, „თვალთმაქცობის სტრატეგია“. ე.ი., ჩვენი აზრით, მოდა საქართველოში ემსახურება სოციალურ სხვაობის წარმოჩენას, მაგრამ უკვე არა იმდენად „უმალღესის“ და „უმდაბლესის“ გამოვლენას, არამედ უბრალოდ სხვადასხვა სოციალური ჯგუფების დახასიათებას. ამით იგი ასახავს ადამიანის სოციალურ სტატუსს და წარმოაჩენს მისი შეფასების მნიშვნელოვან ფაქტორს.

ამასთან დაკავშირებით, ჩვენი აზრით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საქართველოში სტრათიფიკაციური ასპექტი მოდაში თანდათან გარკვეულ წილად განიცდის ნიველირებას. წინა პლანზე გამოდის ევალიტური ფაქტორები, მოდა აყალიბებს მომხმარებლის ახალ ტიპს, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია ნივთების ხარისხი, ოცნების აღსრულება, ახალი შთაბეჭდილებები, და არა, იდენტიფიცირება საზოგადოების მაღალ ფენასთან. ამერიკელი მეცნიერის უილ ლიპოვეცკის დებულება, რომ მოდა დღეს წარმოადგენს ადამიანების ინდივიდუალიზაციის იარაღს და აღარ აღადგენს სოციალურ დისტანციას, სრულიად გამოდგება ქართული საზოგადოებისათვისაც (Липовецки, 2012:204)

ამრიგად, ჩვენ განვიხილეთ ტანსაცმლის მოხმარების საკითხი ქართული საზოგადოების სტრათიფიკაციის კონტექსტში. თბილისის ქუჩებში მოპოვებული დოკუმენტური ფოტომასალის და მისი შემდგომი დამუშავების საფუძველზე შეიძლება დაავსკვნათ, რომ 2000-იანი წლებიდან ჩამოყალიბდა ტანსაცმლის მოხმარების ზოგადი ტენდენცია-მაღალი სტატუსის ჯგუფებისადმი მიმბაძველობის და დემონსტრაციული მოხმარების კონცეფციის გამოყენების სფეროს შევიწროვება. შესაბამისად, მოდის ინდუსტრიის კონცეფციის შესაძლო გამოყენების სფერო ფართოვდება. ამ კონცეფციის თანახმად „მოდის იდეოლოგიური ენა“, გამოყენებული „კოდი“ არ არის თვითნებური (ბარტი 2003: 42) ისინი წარმოადგენენ „მასობრივი კულტურის უდავო ელემენტს“ (ბარტი 2003: 42) ხოლო ეს კულტურა მართავს ყოველდღიურობას. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ჩვენ მივდივართ დასკვნამდე, რომ მოხმარების სტილი თანამედროვე საქართველოში უკავშირდება მასობრივ არჩევანს და მასობრივ ქცევას და ხდება უკვე მოსახლეობის ფართო ფენების ქცევის ერთერთი სოციალური რეგულატორი.

გამოყენებული ლიტერატურა

Bourdieu, P. (1984). *Distinction: a Social Critique of the Judgement of Taste*. USA: Harvard University Press.

Bourdieu, P., Delsaut Y. (1975). *Le couturier et sa griffe: contribution a une theorie de la magie // Actes de la Recherche en Sciences Sociales*. N 1. P. 7 - 366

Bourdieu, P. 1980Haute Couture - Haute Culture // Sociology in Questions. London: SAGE P Publications. 1993 [5].

Melchior, Marie Riegels. (2011). Fashion Theory: The Journal of Dress, Body & Culture (Vol.12.2) - See more at: <http://www.nlobooks.ru/node/2662#sthash.ZWrDY8P7.dpuf>

Барт, Р. (2003). Система моды. Статьи по семиотике культуры. М..

Веблен, Т. (1984). Теория праздного класса М.: Прогресс. 1984.

Жоль, К.К. (2004). Текст: Социология (в систематическом изложении).Учеб. пособие для вузов.-2-е изд./ испр. и доп. К.К. Жоль -М.:ЮНИТИ-ДАНА, - С.315

Липовецкий, Ж. (2012). Империя эфемерного. Мода и ее судьба в современном обществе.

М. Пилкингтон, Х. (2004). Переосмысление «Запада»: стиль и музыка в культурной практике российской молодежи // Глядя на Запад. Культурная глобализация и российские молодежные культуры. СПб: Алетейя. С.186-197

Ушакин, С. (1999). Количественный стиль: потребление в условиях символического дефицита // Социологический журнал. № 3-4. С. 187-214

Штомпка, П. (2009). В фокусе внимания повседневная жизнь. Новый поворот в социологии //Социологические исследования. - № 8. - С. 3-13.

**კულტურათა შორის კომუნიკაცია-ქართულ-თურქული
ლექსიკური პარალელები
სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში**

Intercultural Communication - Georgian-Turkish Lexical Parallels in
Sulkhan-Saba Orbeliani's Dictionary

მარიამ კობერიძე

პროფ. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
ელ-ფოსტა: maikoberidze@gmail.com

აბსტრაქტი

მოსხენებაში გაანალიზებულია ქართულ-თურქულ კულტურათა ურთიერთობა XVII საუკუნის მეორე ნახევრისა და XVIII საუკუნის 20-იანი წლების ქართველი ლექსიკოგრაფის სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მიხედვით. კულტურათა კომუნიკაციაზე მიმანიშნებელია ლექსიკონის „უცხო შესატყვისობანი“ (იტალიურ-თურქულ-სომხური), სადაც მოცემულია ქართული სიტყვის ორიათასამდე თურქული პარალელი. ყურადღებას გაგამახვილებთ ადამიანის წოდების, ნათესაობის, ხელობის, ურთიერთობის, მცენარეების, ცხოველების, თევების აღმნიშვნელ ლექსიკაზე. სულხან-საბა ორბელიანი საგანგებოდ გამოყოფს ქართულში დამკვიდრებულ თურქულ სიტყვებს. ამ სიტყვების კვლევა ისტორიული თუ ეტიმოლოგიური თვალსაზრისით თანამედროვეობასთან მიმართებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის „უცხო შესატყვისობანი“ საინტერესო მასალას იძლევა თურქული ფონეტიკის შესასწავლად.

საკვანძო სიტყვები: ქართული, თურქული, ენა, სულხან-საბა ორბელიანი.

Abstract

In the report it is analyzed Georgian-Turkish cultures relationships according to the Georgian lexicographer's of the second part of XVII century and of the 20th of XVIII century Sulkhan-Saba Orbeliani's dictionary. „UnknownMatchings“ (Italian-Turkish-Armenian), of the dictionaries indicates on the cultures communication, where about two thousand Turkish parallels of the Georgian words are given. We will pay our attention on the lexis denoting human rank, kinship, craft, relationship, plants, animals, months. Sulkhan-Saba Orbeliani specifically allocates Turkish words established in Georgia. Research of such words from the historical and etymological point of view towards the modernity is especially important. „UnknownMatchings“ of Sulkhan-Saba Orbeliani's dictionary gives interesting material for studying the Turkish phonetics.

Keywords: Georgian, Turkish, language, Sulkhan-Saba Orbeliani.

შესავალი

საქართველოს თურქეთთან ოდითგან ჰქონდა ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობები. ამ ორი ერის ენის ლექსიკური პარალელების შესწავლა კულტურათა შორის კომუნიკაციის თვალსაზრისით საინტერესო და მნიშვნელოვანია. ლექსიკა გრამატიკულ წყობასთან ერთად ძირითადი საფუძველია ენისა. სიტყვას თავისი ადგილი უჭირავს ლექსიკურ მარაგში. ეს არის მისი უნარი, რომ გადმოგვცეს საგანი, მოვლენა, წინადადებით გამოხატოს სინამდვილის ფაქტი, სხვადასხვა კულტურის მქონე ადამიანთა შორის ურთიერთობა. სიტყვა კომუნიკაციის პროცესში იცვლის გარეგან ფორმას, სხვა სიტყვასთან ქმნის სინტაქსურ კავშირს. „ლექსემა კულტურული ისტორიული ოდენობაა. ლექსემაში დაფიქსირებულია ენობრივი კოლექტივის წარმოდგენები სამყაროზე, ცხოვრებისეული გამოცდილების შედეგები. სხვადასხვა ეპოქაში ადამიანები სხვადასხვაგვარად აცნობიერებენ ერთსა და იმავე მოვლენას“ (გამყრელიძე, კიკნაძე, შადური, შენგელია, 2003, გვ. 353).

ქართულ-თურქული ენობრივი ურთიერთობების შესასწავლად მნიშვნელოვან მასალას გვაწვდის XVII საუკუნის მეორე ნახევრისა და XVIII საუკუნის 20-იანი წლების ქართველი ლექსიკოგრაფის სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართული“, ანუ „სიტყვის კონა“. სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართული“, რომელიც ცხრა ავტოგრაფიული ნუსხით არის ჩვენამდე მოღწეული, ძირითადად განმარტებითია, თუმცა ის რამდენადმე არაა მოკლებული ენციკლოპედიურსა და თარგმნით ხასიათსაც (აბულაძე, 1993, გვ. 5).

სულხან-საბას ლექსიკონისათვის წაუმძღვარებია შესავალი „ანდერძნ-მაგარი“, საიდანაც ვიგებთ, რომ ის იცნობდა არა მარტო ქართული სასულიერო და საერო მწერლობის ძეგლებს, არამედ უცხო ავტორების შრომათა თარგმანებსაც. კერძოდ, არისტოტელის, იოანე დამასკელის, ნემესიოს ემესელის თარგმანებს, დიონისიოს არეოპაგელის, მაქსიმე აღმსარებლისა და სხვათა შრომებს. სულხან - საბა ორბელიანი ლექსიკონის შესავალში აღნიშნავს, რომ იცნობდა სომხურ ლექსიკონს, რომელსაც ბარგიჩი ეწოდებოდა. „ვეცადე ელღენთა, ლათინთა, სომხურთა, რუსთა და არაბთა წიგნებისაგან და მით გამოვიღე“ (ორბელიანი, 1993, გვ. 27 - 29). ამ ლექსიკონის ახლო შესწავლა და შედარება იმდროინდელ წყაროებთან გვარწმუნებს, რომ სულხან - საბა ორბელიანს, მართლაც, „ფრიადი შრომა“ გაუწევია მის განყოფილებაზე. ლექსიკონში შეტანილი ყოველი სიტყვა სიფრთხილითაა ამონარიდი წყაროებიდან, თითოეულ მათგანს მითითებული აქვს წყაროც (ღლონტი, 1971, გვ. 222). შესავლიდან ირკვევა, რომ სულხან-საბა ორბელიანი ჩვეული სიზუსტით და გულმოდგინებით ამონებდა ყოველ სიტყვას, მეცნიერული სიფრთხილით ეძიებდა მათ სემანტიკას წყაროებში, ადარებდა ერთმანეთთან და ისე შექმნიდა ლექსიკონში.

მიუხედავად საბას ლექსიკონის რამდენიმე ათეული ნუსხის არსებობისა, XVIII- XIX საუკუნეების გადამწერნი უჩიოდნენ სანდო დედნის უშოვნელობას. მოთხოვნილება მასზე იმდენად დიდი იყო, რომ ერთი და იგივე გადამწერნი ხშირად ერთი წლის განმავლობაში ლექსიკონის ორ ცალს აღწესხავდა, ხოლო სხვადასხვა დროს მეტსაც (ქეთათელაძე, 1957, გვ. 7).

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ალექსანდრიელის ლექსიკონის მასალის შედარებამ საბას ლექსიკონის რედაქციასთან გამოარკვია, რომ საბას ამ ნუსხის შედგენის დროს არ უსარგებლია კირილეს ლექსიკონით. ამ ორ ლექსიკონში საერთო მხოლოდ რამდენიმე სიტყვაა, იმ დროს, როდესაც შემდგომ რედაქციებში კ. ალექსანდრიელის ლექსიკონის თითქმის მთელი მასალაა შესული. ასევე არ უსარგებლია საბას პირველი რედაქციის ჩამოყალიბების დროს სომხური ბიბლიის საკუთარ სახელთა განმარტებითი ლექსიკონით. მისი გამოყენება შემდგომ რედაქციებში კი დადასტურებულია (მეტრეველი, 1956).

ყურადღებას იქცევს სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონზე დართული უცხო შესატყვისობანი (სომხურ-თურქულ-იტალიური სიტყვები). უცხო შესატყვისობები მინერილი აქვს ქართული სიტყვების გასწვრივ. იტალიურ სიტყვათა რაოდენობა 1500-მდეა, ხოლო სომხური და თურქული სიტყვები 2000-მდე (ორბელიანი, 1991, 475,598). როგორც ვლენე მეტრეველი აღნიშნავს, ამ დროისათვის საბას ხელთ შეიძლება ჰქონოდა არა მარტო ლათინური განმარტებითი ლექსიკონი, არამედ ქართულ-იტალიური და იტალიურ-ქართული ლექსიკონებიც, ვინაიდან ლათინ მისიონერთა მოღვაწეობის გაძლიერებასთან ერთად ქართულ საზოგადოებაში იზრდებოდა მოთხოვნილება ამგვარ ლექსიკონებზე (მეტრეველი, 1956).

ნაშრომში ქართული სიტყვების უცხოური შესატყვისობიდან გამოვყავით ადამიანის, ცხოველების, ფრინველების, მცენარეებისა და ხილის, საჭმელებისა და სასმელების, ნივთის, ბუნების მოვლენების, ზოდიაქოს, რელიგიისა და ბუნების მოვლენების აღმნიშვნელი სემანტიკური ჯგუფები. სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართულიდან“ საანალიზოდ მოგვაქვს საილუსტრაციო მაგალითების მხოლოდ ნაწილი, რადგან მათი სრულად დამოწმება და კვლევა შეუძლებელია სიმრავლისა და მრავალფეროვნების გამო.

ადამიანის აღმნიშვნელი ლექსიკა: ქართ. მამა, თ. ათა, ბაბა, ლ. პატრი, ს. ჰორ; ქართ. მამიდა, თ. ბიბი, ს. ჰოქირ; ქართ. მამინაცვალი, ლ. პატერნიო, ს. ხორთაერ. თურქული შესატყვისი საბას არ აქვს მითითებული. იყენებს ტერმინს - ატალუდ (მამობილი); ქართ. მამამთილი, თურქული შესატყვისი არ გვხვდება, ს. კესურ, სკესურარ - ქმრის მამა; ქართ. დედა, თ. ანა, ლ. მათერ. ს. კანაის; ქართ. დედამთილი, თურქული და ლათინური შესატყვისი არ გვხვდება, სომხ. სკიესრ; ქართ. დედიდა, თ. ხალა, ს. მორქურ - დეიდა; ქართ. დედინაცვალი, ს. მაირაფუო, ლ. მადრენიო, თურქული შესატყვისი არ გვხვდება; ქართ. დედოფალი, თ. ხათუნ. ლ. რეჯინე, სომხ. თაგუჰი; ქართ. დისწული, თ. იაგან, ს. ქვიერტლა; ქართ. ძმა, თ. ყარდაშ, ლ. ფრა. ს. ალბერ, ახპერ, ალპერ; ქართ. ძმის-წული, თ. ყარდაშ ოლლი, ს. ახპერვორთი; ქართ. ძმობა, თ. ყარდაშლული, ს. ახპერ; ქართ. დობილი, თ. ოგაბაჯი, ს. ქურაგირ; ქართ. შვილი, თ. ოლლი, ს. ვორთი; ქართ. შვილიშვილი, თ. ნავასი; ქართ. დედა, თ. ნანა, ლათ. ნონა, სომხ. თუორ, თუორრ, თორ; ქართ. ბებია, ს. ჰანიკ; ქართ. ამხანავი, თურქული შესატყვისი არ გვხვდება. სომხ. ნნკიერ; ქართ. ასული, თ. ყიზ, ლათ. ფილია, სომხ. დსტიერ, დესტრ...

ცხოველების აღმნიშვნელი ლექსიკა: ქართ. ბატკანი, თ. ყუზ, ს. ქორთა; ქართ. აფთარი, თ. ქავთარ, ს. ბუორიენი; ქართ. ზროხა, სომხ. ტავარ, თ. სილირ; ქართ. აქლემი, ს. ულტ., თ. დევა, ლ. კაბალო...

ფრინველების აღმნიშვნელი ლექსიკა: ქართ. არწივი, თ. აიდიოს, ს. არწივ, ლ. აკვილა; ქართ. გუგული, ს. გუქ. თ. უსუფნასი. ქართ., ქათამი, ს. ჰაკ., თ. თაუხ....

მწერების, ქვეწარმავლების აღმნიშვნელი ლექსიკა: ქართ. აბლაბუდა, ს. ვოსტან. თურქ. შესატვისი არ არის მითითებული. ქართ. ბაყაყი, ს. გუორდ, თ. ყუტბადა....

საჭმელებისა და სასმელების აღმნიშვნელი ლექსიკა: ქართ. წყალი, ს. ჯურ, თ. სუ, ლ. აკვა. ქართ. არაყი, ს. ცქი, თ. არაყ; ქართ. მწუალი, თ. ქაბაბ, ს. ხოროვან; ქართ. თაფლი, ს. მიელრ, თ. ბალ, ლ. მილე ...

მცენარეების, ბოსტნეულისა და ხილის აღმნიშვნელი ლექსიკა: ქართ. წინაკა, თ. ბიბრონი, ს. პარკომ; ქართ. წინმატი, თ. თარათაზა, ს. კოტიმ; ქართ. ჭარხალი, თ. ჩუქუნდურ, ლ. ბეიდე, ს. ტაკრი; ქართ. ჭვრამი, თ. არუგ, სომხ. წირან; ქართ. ბრონელი, თ. ნარ, ს. ნურ. ლ. პომოგრანატო; ქართ. ატამი, თ. შავთალ, ლ. პერსიკო, ს. დიდელ; ქართ. ეკალი, თ. თიქან, ლ. სპინა, ს. ფუმ; ქართ. ხახვი, თ. სოლან, სომხ. სუობ, სობ; ქართ. ხე, ს. წარრ, თ. ალაჯ.

რელიგიის აღმნიშვნელი ლექსიკა : ქართ. ხატი, ს. ბატკიერ, თ. სურათ; ქართ. მარხვა, თ. ორუჯ, სომხ. ეზუთენ; ქართ. ხუცესი, თ. ქეშიმ, ლ. პატერა, სომხ. ირიც; . ქართ. ჯუარი, თ. ხაჩ, ლ. კრუჩე, სომხ. ხაჩ; ქართ. ჯოჯოხეთი, სომხ. დუოხკ, დუოხტ, დუოხტ. თურქულში ჯოჯოხეთი ორ სახელწოდებით დასტურდება: ჯაჰნამ, ჯაჰანამ, ავალას ავლინ; ქართ. სამოთხე, ს.-დრახტ, თ. ჯანათ., ლ. პარადიზო გერესტრე.

ბუნების მოვლენების აღმნიშვნელი ლექსიკა: ქართ. თოვლი, თ. ყარ, ს. ძინ, ძინიერ; ქართ. ქუხილი, თ. გურგურ, სომხ. ურეტცე.

სხეულის ორგანოების აღმნიშვნელი ლექსიკა: ქართ. თავი, თ. ბაში, ლ. კაბო, ს. გლუხ... ქართ. ყბა, თ. ანგ.ს. კზაკ, ლ. გუანჩა; ქართ. გული, ლ. კუორე, თ. ურაგ, ს. სირტ...

ზოდიაქოს აღმნიშვნელი ლექსიკა. სულხან-საბა ორბელიანი ზოდიაქოს აღმნიშვნელად თურქული შესატყვისობის ნაცვლად არაბულ ტერმინოლოგიას გვთავაზობს. აქ გასათვალისწინებელია გიორგი წერეთლის მოსაზრება, თურქული ლექსიკური ფონდის ნაწილს არაბულ-სპარსული სიტყვები წამოადგენს, გასაგები ხდება საბას მიერ მათი თურქული წარმომავლობისად მიჩნევა (წერეთელი, 1947). მაგალითად: ქართ. ვერძი, არაბ. ჰამალ; ქართ. კურო, არაბ. სორ; ქართ. კიბორჩხალა, არაბ. სარათან; ქართ. ლომი, არაბ. ასათ; ქართ. ქალწული, არაბ. სუნბულა; ქართ. სასწორი, არაბ. მიზან; ქართ. ღრიანკალი, არაბ. აღრაფ; ქართ. მშვილდოსანი, არაბ. ყოუმ; ქართ. თხისრქა, არაბ. ჯადი; ქართ. მერწყული, არაბ. დალუ; ქართ. თევზი, არაბ. ჰაუთ.

ზოდიაქოს მიხედვით წელიწადის სახელწოდებები: სულხან - საბა ორბელიანი აქ ქართულის შესატყვისად თურქულთან ერთად არაბულ და სპარსულ შესატყვისობებსაც გვთავაზობს. მაგალითად, ქართ. თავგის წელიწადი, არაბ. ყიფარ, თ. სიჩანილ, სპარს. მუმ; ქართ. ზროხის წელიწადი, არაბ. ბაყარ, თ. უდილი, სპარს. გავ; ქართ. ავაზის წელიწადი, არაბ. ნამარ, თ. ბაარსილ, სპარს. ფალანგ; ქართ. ყურდგლის წელიწადი, არაბ. არნაბ, თ. თუმყანილ, სპარს. ხარგუმ, ქართ. ხვითქის წელიწადი, არაბ. ფისმამ. თ. ლუელ,

სპარ. ნაჰნე, ხვითქი, კორკოდილო (ბერძნ.) ქართულად ნიანგი ჰქვია (საბა, 1991, გვ. 384). ქართ. გველის წელიწადი, არაბ. ჰაია, თ. იილანილ, სპარს. მარ, ქართ. ცხენის წელიწადი, არაბ. ფარას, თ. იუნთილ, სპარს. აასჰ; ქართ. ცხვარის წელიწადი, არაბ. ყანამ, თ. ყუილ, სპარს. გუსჰნდ; ქართ. ყაპუზუნას წელიწადი, არაბ. ჰმდუნა, თ. ფიჩინილ, სპარს. მიმუნ. საბა: „ყაპუზუნა-მაიმუნი“ (საბა, 1993: 262). ქართ. ქათმის წელიწადი, არაბ. დუჯაჯა, თ. თაყყილ, სპარს. მურყ; ქართ. ძაღლის წელიწადი, არაბ. ქალბ, თ. იითილ, სპარს. საგ; ქართ. ღორის წელიწადი, არაბ. ხნზირ, თ. თანგუზილ, სპარს. სუქ.

ამრიგად, გაანალიზებული მასალა გვაძლევს საფუძველს, რომ დავასკვნათ, სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართული“ მნიშვნელოვანი ლექსიკოგრაფიული შრომაა ქართულ-თურქული ენობრივი ურთიერთობის შესასწავლად და საკვლევად სემანტიკური ჯგუფების მიხედვით. ასეთი სემანტიკური ჯგუფები მრავალფეოვანია და ჩვენი მოხსენებით არ ამოიწურება. ქართული სიტყვების თურქული, სომხური, იტალიური თარგმანი მოკლეა, ახსნა ნაკლებია, მაგრამ ღრმაა და მკითხველზე მორგებული. ქართულ-თურქული ლექსიკური პარალელების სემანტიკური ჯგუფების მიხედვით თანამედროვეობასთან მიმართებაში კულტურათა შორის კომუნიკაციის საინტერესო სურათს წარმოგვიდგენს.

გამოყენებული ლიტერატურა

აბულაძე, ი. (1991). წინასიტყვაობა: ორბელიანი ს.ს., ლექსიკონი ქართული, I, თბილისი.

გამყრელიძე, თ., კიკნაძე, ზ., თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბილისი.

მეტრეველი, ე. (1956). სულხან-საბა ორბელიანის უძველესი ავტოგრაფი: აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XIX -B, 12-17.

ორბელიანი, ს.ს. (1991). ლექსიკონი ქართული, I, თბილისი.

ორბელიანი, ს.ს. (1993). ლექსიკონი ქართული, II, თბილისი.

ქუთათელაძე, ლ. (1977). იოანე ბაგრატიონი „ქართული ლექსიკონი“, თბილისი.

ღლონტი ა. (1971). ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბილისი.

წერეთელი, გ. (1947). სემიტური ენები და მათი მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიის შესწავლისათვის: თსუ სამეცნიერო სესიათა მოხსენებების კრებული 1, 37.

კულტურული მემკვიდრეობის ინტერპრეტაცია სამხრეთ კავკასიის მუზეუმებში

Cultural Heritage Interpretation in South Caucasus Museums

კლარა ინგა ქარაია

პროფ. დოქტ. კავკასიის უნივერსიტეტი

ელ-ფოსტა: ingakaraia@gmail.com

აბსტრაქტი

სამხრეთ კავკასიის ქვეყნები (აზერბაიჯანი, საქართველო, სომხეთი) მდიდარია მრავალრიცხოვანი უნიკალური ისტორიული მემკვიდრეობის ძეგლებით და სხვა კულტურულ-არქეოლოგიური ღირსშესანიშნაობებით - მოყოლებული პალეოლითის ხანის გამოქვაბულებით დამთავრებული ანტიკური ხანის უძველესი ქალაქებით. შესაბამისად, სამხრეთ კავკასიის მუზეუმები ასახავენ რეგიონის უძველესი და მდიდარი ცივილიზაციის ისტორიულ განვითარებას ქვის ხანიდან გვიან შუასაუკუნეებამდე. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების კონსერვაციისა და მართვის ახლებური მიდგომების დანერგვასთან ერთად, სამხრეთ კავკასიის ქვეყნები ამჟამად იმყოფებიან მემკვიდრეობის რესურსების ინტეგრაციისა და ინტერპრეტაციის ნოვაციური მეთოდების შემუშავების პროცესში. ცხადია, ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვან როლს ასრულებენ რეგიონის სხვადასხვა ტიპის მუზეუმები (ისტორიული, არქეოლოგიური, მხარეთმცოდნეობის და სხვ.), რომლებიც წარმოადგენენ შესანიშნავ საშუალებას კულტურათაშორისი დიალოგის მეშვეობით კულტურულ იდენტობაზე საუკეთესო გამოცდილების გაზიარების, განსხვავებული კულტურის ადამიანთა თანაცხოვრებაზე ცოდნის გავრცელებისა (education of people to live together) და ზოგადად, კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და ინტერპრეტაციის პროცესში. სამხრეთ კავკასიის მუზეუმების მუდმივ გამოფენებზე ექსპონირებულია რამდენიმე ათეულ მილიონზე მეტი არტეფაქტი, რომელთა შორისაა უძველესი მასალები - ეროვნული სამოსელი, სამეურნეო, გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები და სხვა უნიკალური მასალები. მუზეუმების მიერ ინტერპრეტაციის

Abstract

South Caucasus countries (Armenia, Azerbaijan, Georgia) are among the countries what have a great number of significant historical monuments and are rich in antiquities, cultural and archaeological sites. In the territory the settings from Paleolithic period, cave sites and tracks of ancient cities of the Antique period are situated. Therefore South Caucasus Region museums reflect development history of the region with oldest and rich civilization from the Stone Age. South Caucasus countries now are in the process to underpin approaches of conserving and managing and also to integrate and interpret Cultural Heritage resources. Of course, in this regards special role have museums (Historical, Archaeology, Ethnographical etc.) to play in interpretation of Cultural Heritage and in fostering intercultural dialogue through a better knowledge of cultural identities, and in "education of people to live together" and to consider differences as a richness to be shared with others. Permanent exhibitions of South Caucasus countries museums display more than a few dozen million artifacts, including antiquities, national garments, applied art examples and other unique items. Through the use of various methods of interpretation process (different permanent and temporary exhibitions, special scientific-educational programs for all categories of visitors, multimedia technology, records etc.) visitors are able to review diverse and attractions of South Caucasus countries Cultural Heritage. This paper analyzes cultural heritage interpretation of the South Caucasus countries in the context of historical value and cultural tourism, concluding that the museum's nature, content, and purpose pose questions about visitor motivation, attraction development, ethical management and other aspects.

Keywords: South Caucasus, cultural heritage, interpretation, museum.

სხვადასხვა მეთოდის გამოყენება (მუდმივი და დროებითი გამოფენები, სპეციალური სამეცნიერო, კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამები ყველა კატეგორიის ვიზიტორისათვის, მულტიმედიური საშუალებები, დოკუმენტური მასალების პრეზენტაცია და სხვ.) ვიზიტორებს უქმნის რეგიონის კულტურული მემკვიდრეობის განსხვავებულობისა და მიმზიდველობის აღქმის შესაძლებლობას. მოხსენებაში სამხრეთ კავკასიის მუზეუმებში კულტურული მემკვიდრეობის ინტერპრეტაციის საკითხები გაანალიზებულია ისტორიული ფასეულობებისა და კულტურული ტურიზმის კონტექსტში; განხილულია ის ასპექტები, რაც, მუზეუმების ხასიათიდან, შინაარსისა და მიზნებიდან გამომდინარე, ვიზიტორებს უქმნის მოტივაციას მიმზიდველ გარემოში ეზიარონ რეგიონის კულტურული მემკვიდრეობის უნიკალურ თავისებურებებს.

საკვანძო სიტყვები: სამხრეთ კავკასია, კულტურული მემკვიდრეობა, ინტერპრეტაცია, მუზეუმი.

შესავალი

გარდა იმისა, რომ თანამედროვე მუზეუმები წარმოადგენენ განათლების, კულტურული ინფორმაციის გაზიარებისა და შემოქმედებითი ინოვაციების ცენტრებს, ICOM-ის (მუზეუმების საერთაშორისო საბჭო) სამუზეუმო ეთიკის კოდექსის თანახმად: „მატერიალური და არამატერიალური კულტურული თუ ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის სტრატეგიულ მიმართულებათა განსაზღვრასა და ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ სახელმწიფო ორგანოებსა და სხვა ორგანიზაციებთან ერთად, პირველ რიგში, სწორედ მუზეუმები იღებენ პასუხისმგებლობას კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და აღამიანური, ფიზიკური თუ ფინანსური რესურსებით ხელშეწყობის მიმართულებით და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ მემკვიდრეობის ინტერპრეტაციის მიმართულებითაც“ (ICOM, 2013).

ექსპერტთა განმარტებით, სამუზეუმო ინტერპრეტაცია (ლათ. interpretatio, “განმარტება”) წარმოადგენს მუზეუმის კოლექციის კონტექსტში კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების განმარტებისა და ზოგადად, სამუზეუმო დისკურსის მრავალდონიან პროცესს. იგი მუზეუმის საქმიანობის განუყოფელი ნაწილია და მოიაზრება სამუზეუმო ობიექტთან დაკავშირებით განხორციელებულ

ქმედებათა ყველა ეტაპზე: მოყოლებული კოლექციების დაკომპლექტებიდან – დამთავრებული ტურებით, საგანმანათლებლო პროგრამებით და პუბლიკაციებით. სწორედ ამ ქმედებათა საფუძველზე ახორციელებს მუზეუმი თავის მისიას და სოციალურ ფუნქციას, აყალიბებს და აქტუალურს ხდის კულტურულ ფასეულობებს, ხდება სოციალური მესისიერების ინტერპრეტატორი (Barrett, 2004) და შესაბამისად, გავლენას ახდენს საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმირებაზეც.

ამ კონტექსტში, კულტურული მემკვიდრეობის ინტერპრეტაციას განსაკუთრებული ადგილი უკავია სამხრეთ კავკასიის ქვეყნების (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი) მუზეუმებშიც, სადაც დაყოლია ისტორიის, არქეოლოგიის, ქალაქმშენებლობის, არქიტექტურისა და ხელოვნების მრავალრიცხოვანი ძეგლები, რომლებიც აყალიბებენ რეგიონის კულტურული მემკვიდრეობის უმდიდრეს პლასტებს.

კულტურული მემკვიდრეობის ინტერპრეტაციის პრინციპები და ტენდენციები

მიუხედავად იმისა, რომ კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის განმარტების მოთხოვნა ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისიდან არსებობდა (მაგალითად, აშშ ეროვნულ პარკებში ანალოგიური პროგრამები 1923 წლიდან ხორციელდებოდა და მიზნად ისახავდა ვიზიტორთა ინფორმირებას ბუნების დაცვის პრობლემებზე), ინტერპრეტაცია, როგორც დარგი, უფრო გასული საუკუნის შუახანებიდან განვითარდა და თანდათან ჩამოყალიბდა მუზეუმის ვიზიტორთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის ფილოსოფიად, მოიცვა არა მხოლოდ სამუზეუმო კოლექციები, არამედ კულტურული მემკვიდრეობის ყველა ასპექტი და კომპონენტი.

ინტერპრეტაციის არსის განსაზღვრასა და განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი არაერთმა მეცნიერმა (ჯ. მიური, ე. მაილსი) შეიტანა, ხოლო მისი პრინციპები და თეორია მოგვიანებით განავითარა ამერიკელმა მეცნიერმა ფრიმენ ტილდენმა (1883-1980 წწ.). თავის წიგნში (Interpreting our Heritage, 1957) მან ჩამოაყალიბა ინტერპრეტაციის ორი ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპი (Tilden, 1957), რომლებიც ცნობილია "ტილდენის პრინციპების" სახელით და დღესაც არ კარგავს აქტუალობას - წარმოადგენს ერთგვარ გზამკვლევეს მუზეუმის ინტერპრეტაციულ საქმიანობაშიც:

ფრიმენ ტილდენი, ინტერპრეტაციის პრინციპები (Tilden's Principles of interpretation)

- ნებისმიერი ინტერპრეტაცია, რომელიც არაფრით უკავშირდება გამოფენილს ან ვიზიტორის პერსონალურ გამოცდილებას, იქნება სტერილური;
- ნებისმიერი ინტერპრეტაცია შეიცავს ინფორმაციას, მაგრამ იგი მკვეთრად განსხვავდება ინფორმაციის მონოღების ჩვეულებრივი პროცესისაგან;

- ინტერპრეტაცია არის ხელოვნება, რომელიც აერთიანებს ხელოვნების ბევრ სახეს და იყენებს სამეცნიერო, ისტორიულ ან არქიტექტურულ მასალებს;
- ინტერპრეტაციის ძირითადი მიზანია არა სწავლება, არამედ ინტერესის გაღვივება;
- ინტერპრეტაციამ უნდა წარმოადგინოს საგნის არსი მთლიანად და არა მხოლოდ მისი ცალკეული ნაწილი;
- 12 წლამდე ბავშვებისათვის განკუთვნილი ინტერპრეტაცია უნდა განხორციელდეს ფუნდამენტურად განსხვავებული მიდგომებით, ვიდრე მოზრდილთათვის განკუთვნილი პრეზენტაცია.

ცხადია, ინტერპრეტაციის დაგეგმვის პროცესში მუზეუმები მუდამ ითვალისწინებენ დარგის საუკეთესო პრაქტიკის (Best practice) გამოცდილებას და იმ გარემოებასაც, რომ “კულტურული მემკვიდრეობის ინტერპრეტაციის მეთოდები და პრეზენტაცია დაკავშირებული უნდა იყოს მათ ფართო სოციალურ, კულტურულ, ისტორიულ და ბუნებრივ კონტექსტთან” (ICOMOS, 2008), ანუ ინტერპრეტაციულმა პროგრამამ უნდა შეისწავლოს და გაანალიზოს მემკვიდრეობის მნიშვნელობა მის მრავალმხრივ ისტორიულ, პოლიტიკურ, სულიერ და მხატვრულ კონტექსტში. ამასთან, ინტერპრეტაციის შესაძლებლობები უნდა ემყარებოდეს როგორც მუზეუმის რესურსების სრულ მობილიზებას და საკუთარი აუდიტორიის ცოდნას, ასევე იმ შესაბამის ტექნიკურ თუ მულტიმედია საშუალებებს, რაც აუცილებელია ინტერპრეტაციის პროცესის სათანადოდ წარმართვისათვის.

საბოლოო ჯამში, თანამედროვე მუზეოლოგიაში ინტერპრეტაციის პროცესს განიხილავენ როგორც მნახველებისათვის გზავნილებისა და გამოცდილების მიწოდების მიზანდასახულ კომუნიკაციას, რაც ყველაზე ეფექტურად ხორციელდება გამოფენებით და მასთან დაკავშირებული საგანმანათლებლო თუ სხვა ტიპის მრავალფეროვანი პროგრამებით. ამგვარი პროგრამები ხელს უწყობს ხელოვნების, მეცნიერებისა და თვით მუზეუმის არაელიტარულ აღქმას, ამყარებს კავშირს საზოგადოებასთან და მუზეუმს გარდაქმნის ფართო აუდიტორიისათვის მნიშვნელოვან და საჭირო ობიექტად, რაც აუცილებელია თანამედროვე ინსტიტუციის შემდგომი განვითარებისათვის (ქარაია, 2015).

კულტურული მემკვიდრეობის ინტერპრეტაცია სამხრეთ კავკასიის მუზეუმებში

სამხრეთ კავკასიის ქვეყნები (აზერბაიჯანი, საქართველო, სომხეთი) მდიდარია მრავალრიცხოვანი უნიკალური ისტორიული მემკვიდრეობის ძეგლებით და სხვა კულტურულ-არქეოლოგიური ღირსშესანიშნაობებით - მოყოლებული პალეოლითის ხანის გამოქვაბულებიდან დამთავრებული ანტიკური ხანის უძველესი ქალაქებით, რომლებიც ასახავენ რეგიონის უძველესი და მდიდარი ცივილიზაციის ევოლუციურ და ისტორიულ განვითარებას ქვის ხანიდან გვიან შუასაუკუნეებამდე.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების კონსერვაციისა და მართვის ახლებური მიდგომების დანერგვასთან ერთად, სამხრეთ კავკასიის ქვეყნები ამჟამად იმყოფებიან მემკვიდრეობის რესურსების ინტეგრაციისა და ინტერპრეტაციის თანამედროვე მეთოდების შემუშავებისა და რეალიზების პროცესში. ცხადია, ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვან როლს ასრულებენ რეგიონის სხვადასხვა ტიპის მუზეუმები (მუზეუმ-ნაკრძალები, ისტორიული, არქეოლოგიური, მხარეთმცოდნეობის, მემორიალური მუზეუმები და სხვ.), რომლებშიც დაცულია რამდენიმე ათეულ მილიონზე მეტი არტეფაქტი (არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, გეოლოგიურ-პალეონტოლოგიური მასალები, გამოყენებითი თუ სახვითი ხელოვნების ნიმუშები და სხვა უნიკალური მასალები), რაც წარმოადგენს შესანიშნავ საშუალებას კულტურათაშორისი დიალოგის მეშვეობით გამოცდილების გაზიარების, განსხვავებული კულტურის ადამიანთა თანაცხოვრებაზე ცოდნის გავრცელებისა (education of people to live together) და ზოგადად, კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და ინტერპრეტაციის პროცესში.

მემკვიდრეობის ინტერპრეტაციის სხვადასხვა მეთოდის გამოყენება (მუდმივი და დროებითი გამოფენები, სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამები ყველა კატეგორიის ვიზიტორისათვის, მულტიმედია პროექტები, დოკუმენტური მასალების პრეზენტაცია და სხვ.) ვიზიტორებს უქმნის რეგიონის კულტურული მემკვიდრეობის განსხვავებულობისა და მნიშვნელოვანების აღქმის შესაძლებლობას.

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული ეროვნული და მსოფლიო მემკვიდრეობის ნიმუშები ქმნიან მრავალფეროვანი ინტერპრეტაციული აქტივობების რეალიზების საშუალებას, რაც, ესთეტიკური სიამოვნების მინიჭებასთან ერთად, მიმართულია საზოგადოების განათლებისა და ისტორიულ-კულტურულ ფასეულობებთან ზიარებისაკენ.



საქართველოს ეროვნული მუზეუმი. ეროვნული გალერეა.
კულტურულ-საგანმანათლებლო აქცია "ღამე მუზეუმში", 2012



საქართველოს ეროვნული მუზეუმი. ექსპოზიცია “ქვის ხანა საქართველოში”, 2016

მუზეუმის დროებით ექსპოზიციაში წარმოდგენილია საქართველოსა და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში აღმოჩენილი ანთროპოლოგიური მასალა (1.77 მლნ. წ.-8000 წლის წინ), რომელიც ადამიანის ევოლუციის დროში გადინებას ასახავს. შესავალ ნაწილში კი, მრავალფეროვან ტექნიკურ საშუალებათა და მულტიმედია ტერმინალების გამოყენებით, ნაჩვენებია გვიანმოცენური ასაკის (8-5 მლნ. წ.) ხმელეთის ევოლუცია და პალეოგარემო სამხრეთ კავკასიაში ადრე-ული ჰომინიდების განსახლებამდე (საქართველოს ეროვნული მუზეუმი, 2016).


პროექტი მოიცავდა სპეციალურად მოწვეული ვიზიტორებისათვის თსუ სტუდენტი-ვიდეების მიერ ეროვნული გალერეის მუდმივი ექსპოზიციის გაცნობას, ანიმაციურ ელემენტებს ცნობილ ქართველ ხელოვანთა ნამუშევრების გა-ცოცხლებით, მუსიკალური კომპოზიციების თანხლებას, სახალისო ვიქტორინას და სხვა შემეცნებით ღონისძიებებს თბილისის სახელოვნებო უნივერსიტეტის სტუდენტთა მონაწილეობით (საქართველოს მუზეუმების ასოციაცია, 2012)

უკანასკნელი ათწლეულების სამუზეუმო სივრცეში ფართოდ აპრობირებულ ტენდენციას წარმოადგენს მუზეუმ-ნაკრძალების ინტერპრეტაცია საამისოდ სპეციალურად აგებულ მუზეუმებში, რაც სამხრეთ კავკასიის მუზეუმების პრაქტიკაშიც გავრცელდა (უფლისციხის მუზეუმ-ნაკრძალი საქართველოში, გობუსტანის მუზეუმ-ნაკრძალი აზერბაიჯანში, ზვარტნოცის მუზეუმ-ნაკრძალი სომხეთში და სხვ.).



უფლისციხის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი
უფლისციხის მუზეუმ-ნაკრძალის - კლდეში ნაკვეთი კომპლექსის მიმდებარე

ტერიტორიაზე 2011 წელს გაიხსნა სამუზეუმო სივრცე, სადაც ექსპონირებულია ინტერპრეტაციული მასალა - უფლისციხის მიდამოებში მოპოვებული არქეოლოგიური არტეფაქტები და სხვა მასალები (ძვ. წ. II ათასწ.- XIX ს.), რომლებიც ვიზიტორს, ძველის უშუალოდ დათვალიერებამდე, სრულ წარმოდგენას უქმნის უფლისციხის - ქართლის სამეფოს სატაძრო ქალაქის ისტორიულ მნიშვნელობაზე, რელიგიურ, სავაჭრო და სამხედრო-სტრატეგიულ ფუნქციებზე.



გობუსტანის ეროვნული მუზეუმ-ნაკრძალი (აზერბაიჯანი)



იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შესული (2007) მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორია (3096 ჰა) გამორჩეულია კლდეებზე განთავსებული პეტროგლიფებით, პირველყოფილ ადამიანთა უძველესი სადგომებით და სხვა ობიექტებით, რომლებიც მოიცავს პერიოდს მეზოლითის ხანიდან შუა საუკუნეებამდე. სპეციალური მარშრუტების გარდა, ძველზე ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილი საექსკურსიო-ინტერპრეტაციული პროგრამა მოიცავს შესავალ ტურს მუზეუმის შენობაში, რომელიც საგანგებოდ აშენდა არქეოლოგიური და სხვა მასალების საფუძველზე ძველის მნიშვნელობის განმარტებისა და კლდეზე ამოკვეთილი გამოსახულებების - პეტროგლიფების (6000-მდე ნახატი) ინტერპრეტაციის მეთოდების ვიზიტორთათვის გასაცნობად (Gobustan National Museum-Preserve, 2016)

ბუნებრივია, კულტურული მემკვიდრეობის ინტერპრეტაციის პროცესში, ყველა მუზეუმი იყენებს განსხვავებულ საშუალებებს და მეთოდებს, რაც

განპირობებულია მუზეუმის შინაარსით, ხედვისა და მისიის განაცხადით. საგამოფენო პროექტის შემუშავებისას, ხშირად მუზეუმები მიმართავენ იმ ატმოსფეროს შექმნისა და აღდგენის მეთოდს, რომელ დროსა და გარემოშიც იქმნებოდა ან გამოიყენებოდა ესა თუ ის ექსპონატი (კომპლექსური გამოფენების, ასევე ცალკეულ დარბაზში სპეციფიკური ექსპოზიციის მოწყობით). რიგ შემთხვევაში, მსგავსი მიდგომა შეიძლება გამოყენებული იქნეს თვით მუზეუმის შექმნის პროცესშიც, რომლის ნათელ მაგალითს ერევანში მდებარე სერგო ფარაჯანოვის მუზეუმი წარმოადგენს



სერგო ფარაჯანოვის მუზეუმი, ერევანი (სომხეთი)

სერგო ფარაჯანოვის მუზეუმი (გაიხსნა 1991 წელს) დასულია ხელოვანის 600-ზე მეტი ნამუშევარი, მემორიალური ავეჯი, სხვა პირადი ნივთები და არქივი, რომელთა დიდი ნაწილი თბილისიდან (მისი მშობლიური ქალაქიდან) იქნა ჩატანილი ერევანში. ფარაჯანოვისეული თბილისის ბინის ანალოგიით, მუზეუმის სივრცეში მოწყობილია მემორიალური ოთახები, ხოლო ექსპოზიციები ორგანიზებულია ფარაჯანოვის არტისტული პრინციპებით და ზუსტად აღადგენს იმ ატმოსფეროს, რაც მის ბინაში საქართველოს დედაქალაქში ცხოვრების წლებში სუფევდა (Sergei Parajanov Museum, 2016).

სამხრეთ კავკასიის მუზეუმების საქმიანობაზე დაკვირვება და ანალიზი ცხადყოფს, რომ კულტურული მემკვიდრეობის ინტერპრეტაციის პროცესში რეგიონის მუზეუმების მოღვაწეობის ფორმებისა და მეთოდების სპექტრი საკმაოდ ფართო და მრავალფეროვანია. რა შინაარსიც არ უნდა ჰქონდეს ამ ინტერპრეტაციულ პროგრამებს, ისინი მუდამ ერთმანეთს უთავსებს (და უნდა უთავსებდეს) მუზეუმის რესურსის შესაძლებლობებს, ვიზუალურ საჭიროებებს და მოთხოვნილებებს, რათა ზუსტად განისაზღვროს ყველაზე ეფექტური გზა ამ მიზნების მისაღწევად. ვინაიდან, დღეს უკვე აღარაა საკმარისი მუზეუმიფიცირებული საგნების მხოლოდ ისტორიულ თუ კულტურულ მნიშვნელობათა განხილვა-ანალიზი ან კვლევა - აუცილებელია მუზეუმის აქტივობები განხილული იქნეს, როგორც სოციოკულტურული ინსტიტუციის საქმიანობა მემკვიდრეობის დაცვისა და ინტერპრეტაციის სფეროში.

დასკვნა

უნიკალური სამუზეუმო საგნები წარმოადგენს ეროვნული და მსოფლიო კულტურის წარსულისა და აწმყოს დამაჯერებელ მტკიცებულებებს, რასაც საზოგადოება განიხილავს როგორც აუცილებელ საშუალებას განსხვავებული კულტურული გამოცდილების უწყვეტობის წარმოსაჩენად. ამიტომ მათი შესწავლა და ინტერპრეტაცია უკავშირდება მემკვიდრეობის ძეგლისა და სამუზეუმო ობიექტის კვლევის იმ თავისებურებებს, რომლებიც მთელი სისრულით ასახავენ როგორც ადამიანთა, ასევე მათი საქმიანობის საგნობრივი და სულიერი, სოციალური და ფსიქოლოგიური, კულტურული და ბუნებრივი ასპექტების რთულ ურთიერთმიმართებებს.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება წარმოადგენს სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნების (აზერბაიჯანი, საქართველო, სომხეთი) კულტურის სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს - მიუხედავად მთელი რიგი სხვადასხვა სახის პრობლემებისა, სახელმწიფო სტრუქტურები, სხვადასხვა ტიპის მუზეუმები და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიმართულებით მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები ახორციელებენ მრავალფეროვან პროგრამებს მდიდარი მატერიალური, არამატერიალური და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის, პოპულარიზაციის, ინტერპრეტაციისა და განვითარების მიმართულებით.

освобожденную от польского присутствия Украину в новую московскую неволю. Казачья старшина ошиблась, не противопоставив московскому продвижению выразительной правовой и государственной формулы отношений. Историк не отрицал распространения объединительных тенденций между Украиной и Московским государством. Однако казачья старшина и царское правительство с противоположных позиций трактовали переяславско-мартовские соглашения: старшина считала, что уступки Москве имели временный характер, которые со временем было можно свести на нет; московское правительство не исключало возможности также отойти от договоренностей. По мнению М. Грушевского, ход событий в Европе был бы удачливее в случае заключения политического союза с Москвой до начала борьбы против Речи Посполитой. Но Б. Хмельницкий этого не чувствовал. В целом Переяславскую раду ученый квалифицирует как ситуативный военный союз против Польши. Это еще один момент, вызвавший неприятие М. Грушевского как историка и в советской, и в современной российской литературе.

Как попытку освобождения от усиливавшейся власти Москвы М. Грушевский оценивал Гадяцкий договор 1658 года. Однако раскол в украинском обществе привел к краху попытку уйти из-под зависимости от Москвы. В целом после смерти Б. Хмельницкого в украинских землях ситуация усложнилась из-за внутривнутриполитического противостояния, внешних вторжений. М. Грушевский в качестве отрицательного фактора называет вмешательство соседних государств в политическую жизнь Гетманщины. Среди причин такого вмешательства он называет внутреннюю политическую слабость и существенный разрыв между казачьей элитой и народом.

Среди наиболее противоречивых личностей в Украине рубежа XVII–XVIII вв. – гетман И. Мазепа. Специальные исследования этой личности в конце XIX в. отсутствовали, поэтому взгляды М. Грушевского представляют интерес. По его мнению, этот гетман не пользовался популярностью в народе, поскольку имел аристократическое происхождение и долгое время жил при дворе польского короля. А из-за дружеских отношений с императором Петром I за ним закрепился еще и имидж московского прислужника. Как пишет историк, лучше его могли оценить казацкие старшины, чьим интересам и соответствовала политика И. Мазепы. Но ключевым моментом выступала так называемая «измена», а именно его союз со шведским королем Карлом, выступающим противником России в Северной войне. М. Грушевский считал, что И. Мазепа, заключая союз с королем, пытался противостоять централизаторской политике Петра I в украинских землях. «При этом отступает на задний план личное положение Мазепы в этом эпизоде, его индивидуальные характеристики и личные мотивы, занимавшие предыдущие поколения беллетристов и историков, и на первый план выступают объективные моменты исторического процесса», подытожил М. Грушевский (Грушевский, 2007, с. 126).

Анализируя процессы в украинских землях в XVIII в., историк показал постепенное усиление влияния Российской империи в украинских землях, сопровождавшееся ограничением автономии, завершившееся ликвидацией Гетманщины и разрушением Запорожской Сечи. Но уже к 1790-м годам он относит

начало украинского национального возрождения, когда западная часть украинских земель вследствие разделов Речи Посполитой вошла в состав Австрийской империи.

Российскую революцию 1905 года историк оценивает как «великий праздник мировой свободы», поскольку она способствовала легализации и активизации украинского национального движения. Кстати, М. Грушевский был автором первого проекта украинской конституции, основывавшейся на идее политической автономии, который намеревался провести через Государственную думу.

Взгляды М. Грушевского на последующие события в Украине детерминированы его непосредственным участием. Ему выпал шанс воплотить в жизнь собственную политическую программу. Насколько удачно – предмет дискуссии. Бесспорно, глубокое изучение прошлого способствовало формированию Грушевского-политика.

Значение Творчества М. Грушевского для Исторической Науки

Безусловным достижением М. Грушевского стало обобщение наследия своих предшественников, приобщение актуальной для конца XIX в. позитивистской методологии и достижений молодой в то время отрасли науки – социологии и на этой основе форматирования целостной самобытной картины украинского прошлого. Ведь в то время доминирующей была так называемая «Погодинская» концепция истории Украины, которая отказывала в праве на существование украинскому народу как отдельной общности, опираясь на идеологемы об украинском народе как части великорусского. Именно М. Грушевский, руководствуясь соображениями своего учителя В. Антоновича, обосновал идею непрерывного исторического процесса в украинских землях от ранних славян до казачества, вышедшего на историческую арену в конце XV в.

Заключение

Итак, исторические исследования М. Грушевского имели важное политическое и общественное значение. В условиях национального угнетения как со стороны австрийской монархии, так и со стороны российского самодержавия, его работы оказали существенное влияние на пробуждение национального самосознания украинцев. Ученый показал, что украинский народ прошел длительный, сложный, самобытный исторический путь, выстрадал право на собственный язык, свою культуру, историю и государственность. Несмотря на то, что от возникновения исторической концепции М. Грушевского нас отделяет более века, она существенно влияет на современные научные исследования, так как содержит ряд конструктивных выводов.

Что касается М. Грушевского-политика, то среди его биографов отсутствует единство. Вопросом согласования в личности М. Грушевского историка и политика

известный украинский исследователь Я. Дашкевич предложил разводить эти две составляющие незаурядной личности ученого. По его мнению, их рассмотрение в детерминированном виде, как это предлагал один из самых известных современных специалистов Украинской революции В. Верстюк, неизбежно приводит к разочарованию не только в Грушевском-политике, но и в Грушевском-историке. “Политическая деятельность Грушевского больше отражалась на его, в основном, очень объективных научных трудах, чем конкретные результаты научных исследований на его политической карьере”, считал Я. Дашкевич (Гирич, 2008, с. 290).

Литература

Білокінь С. (1988) Михайло Грушевський. Літературна Україна [Литературная Украина], 29 (4282).

Винар Л. (1995) Михайло Грушевський: історик і будівничий нації: Статті і матеріали [Михаил Грушевский: Историк и создатель нации]. Київ : Фондація ім.О.Ольжича, 395 с.

Винар Л. (1970) Михайло Грушевський і Наукове товариство імені Шевченка [Михаил Грушевский и Научное Товарищество Имени Шевченко]. 1892–1930. Мюнхен : Дніпрова Хвиля, 110 с.

Гирич І. (2008) Ярослав Дашкевич – Історіограф новітньої України. Спроба есею [Ярослав Дашкевич – Историкограф новейшей Украины. Попытка эссе]. Історіографічні Дослідження в Україні, 18, с. 290-300.

Грушевський М. (1903) Звичайна Схема "Руської" Історії й справа раціонального укладу ысторії східного слов'янства [Обычная схема "Русской" истории и дело рационального уклада истории восточного славянства]. Retrieved from <http://lito-rus.org.ua/hrs/hrs02.htm>

Грушевський М. (1994) Історія України-Руси [История Украины-Руси]. Т. 1., Київ: Наукова думка. Retrieved from http://shron.chtyvo.org.ua/Hrushevskiy/Istoria_Ukrainy-Rusy_t1.pdf

Грушевський М. С. (2007) Твори : У 50 т. [Произведения: в 50 т.]. Львів: Світ, Т. 8, с. 123–134.

Дашкевич Я. (1989) Хто такий Михайло Грушевський. [Кто такой Михаил Грушевский] Україна: Наука і Культура, 23, с. 192-201.

Дашкевич Я. (1991) Михайло Грушевський і початки організації української науки. [Михаил Грушевский и начала организации украинской науки]. Вісник АН УРСР, 9, с. 52-60.

Дашкевич Я. (1988) Найвидатніший український історик. [Наиболее выдающийся историк] Слово і час, 9, с. 18-24.

Кубійович В. (1957) Енциклопедія Українознавства: Словникова частина [Энциклопедия украиноведения: Словарная часть]. Париж-Нью-Йорк: Молоде життя, Т. 2. Retrieved from <http://izbornyk.org.ua/encycl/euii.htm>

Копиленко О. (1991) “Українська ідея” Грушевського. [“Украинская идея” Грушевского] К.: Либідь, 184 с.

Масненко В.В. (2006) Формування образу М.С.Грушевського в масовій свідомості сучасного українського суспільства. [Формирование образа М.С. Грушевского в массовом сознании современного украинского общества] Український Історичний Журнал, 5, 19-34.

Плохій С. (2011) Великий Переділ. Незвичайна історія Михайла Грушевського. [Большой Передел. Необычная история Михаила Грушевского]. К.: Критика, 598 с.

Пристайко В., Шаповал Ю. (1996) Михайло Грушевський і ГПУ-НКВД. Трагічне десятиліття: 1924–1934. [Михаил Грушевский и ГПУ-НКВД. Трагическое десятилетие: 1924-1934]. Київ: Вид-во «Україна», 335 с.

Прицак О. (1991) Історіософія та історіографія Михайла Грушевського. [Историософия и историография Михаила Грушевского]. Київ: Кембрідж, 80 с.

Советская историческая энциклопедия [Радянська Історична Енциклопедія] (1963). Т. 4. Москва: Советская энциклопедия.

Смолій А.В. та ін. (2013) Енциклопедія історії України [Энциклопедия истории Украины]. Т. 3. Київ: Наукова думка, 784 с.

Сохань П. С., Ульяновський В. І., Кіржаєв С. М. (1993) М. С. Грушевський і Academia. Ідея, змагання, діяльність. [М. С. Грушевский и Academia. Идея, Борьба, Деятельность.] Київ: Інститут української археографії, 321 с.

შიდა ქართლის მოსახლეობა XVIII ს. I ნახევარში ქართული და ოსმალური აღწერების მიხედვით

Population of Shida Kartli in the 1st Half of 18th Century Based on Georgian and Ottoman Population Census

იოსებ ალიმბარაშვილი

ასოჯ. პროფ. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
ელ-ფოსტა: sosoalimbarashvili@gmail.com

აბსტრაქტი

სტატიის ავტორი და ნარატიული წყაროებზე დაყრდნობით შესწავლილი და გაანალიზებულია შიდა ქართლის მოსახლეობა XVIII ს. I ნახევარში.

შედარებულია აღნიშნული რეგიონის მოსახლეობის აღწერის ორი, ქრონოლოგიურად ახლოს მდგომი ქართული და ოსმალური დოკუმენტი: „1715 წლის რუისის სამწყსოს დავთარი“ და „1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი“, რომელთა ანალიზი საფუძვლიან არგუმენტებს იძლევა გარკვეული დასკვნების შესახებ, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის, სოციალური კატეგორიების, ამა თუ იმ სოფლებში მოსახლეობის კლება-მატების შესახებ.

დაზუსტებულია გამჭრალი და ახალი სოფლები, მათი გეოგრაფიული მდებარეობა, ეტიმოლოგიური და გენეალოგიური ცვლილებები, იქ მაცხოვრებელი მოსახლეობის ეთნიკური და სოციალური შემადგენლობა.

სტატიას თანდართული აქვს მოხსენიებულ პირთა და ტერმინთა განმარტებანი.

საკვანძო სიტყვები: შიდა ქართლი, მოსახლეობა, აღწერა.

Abstract

In the paper is ascertained social and religious situation of 1st half of 18th century Georgia.

We do not have precise data regarding above-mentioned, and regardless specific (religious, and social) nature, a great attention is paid to two population censuses. The first census took place in 1715 by the initiative of Ruisi Bishop to determine orthodox parish, and amount and type of imposed taxes. The second census took place in 1728. It is drafted and was aimed to determine number of taxpayers.

Comparative analysis of two documents gives answers to many questions and gives us certain impression about ethnical, religious, economical, social, demographic situation, and toponyms.

Keywords: Shida Kartli, population, Census.

შესავალი

XVIII საუკუნისა და წინა პერიოდის საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის შესახებ ზუსტი მონაცემები არ გავვაჩნია. მოსახლეობის აღწერების დღეისათვის ჩვენამდე მოღწეული თითოეული დოკუმენტი სპეციფიკური ხასიათისაა და კონკრეტულ მიზანს ემსახურება. მაგ., 1715 წ. „რუისის სამწყსოს დავთარი“ მროველის მართლმადიდებელ სამწყსოს წარმოადგენს და შემომწირველ მოსახლეობას ასახავს XVIII ს. 10-იან წლებში, „თბილისის ვილაიეთის 1728 წლის დიდი დავთარი“ ოსმალური ხელისუფლების დაკვეთითაა შედგენილი მათი ქართლში ბატონობის დროს (1723-1735 წწ.), შემოსავლის დადგენის მიზნით და გადასახადების გადამხდელ მოსახლეობას, გადასახადების რაოდენობას და სახეებს წარმოადგენს. სამხედრო ხასიათისაა „საბარათიანოსა და სომხითის“ 1721 წლის დავთარი, აღწერილი ვახუშტი ბატონიშვილისა და გივი თუმანიშვილის მიერ, იგი ვახტანგ VI-ის დაკვეთით არის შესრულებული და მეწინავე სადროშოდან გამოსაყვან მოლაშქრეთა რაოდენობის დადგენას ისახავს მიზნად. ამგვარ ხასიათს ატარებს ქართლისა და კახეთის მეფეების - მამა-შვილის: თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის ინიციატივით XVIII ს. 50-70-იან წლებში ჩატარებული ხალხთა აღწერის დავთრები, რომლებიც მორიგე ჯარში, ყარაულსა და სამდევროებში გამომსვლელებს ეხება და სხვ.

ამასთან, ყველა ზემოთ ჩამოთვლილ დოკუმენტში მხოლოდ მამრობითი სქესის მოსახლეობაა აღწერილი, ამიტომ მთლიანი მოსახლეობის შესახებ სრულყოფილ სურათს ვერ იძლევა (არ ჩანან ქალები, ბავშვები, მოხუცები, გადასახადებიდან თავისუფალი კატეგორიები და სხვ.) და პირობითია **[ჯაოშვილი, 1996:29-42]**. ასეთ შემთხვევაში მკვლევრები იძულებულნი არიან ე. წ. შედარებით მეთოდს მიმართონ.

XVIII საუკუნის I ნახევარში შიდა ქართლის მოსახლეობის შესახებ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ორ აღწერას. ესენია: „1715 წ. „რუისის სამწყსოს დავთარი“ და „1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი“.

„რუისის სამწყსოს დავთარი“ მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა XVIII ს. დასაწყისის შიდა ქართლის ეკონომიკური და დემოგრაფიული ვითარების, მოსახლეობის ეთნიკური და სოციალური შემადგენლობის, ტოპონიმიკის, გვარების, გადასახადების სახეობების შესახებ. ნაშრომს აქტუალურობას ჰმატებს ის ფაქტი, რომ მასში აღწერილი სოფლების დიდი ნაწილი დღეისათვის გაიმქრალია, ან საქართველოს იურისდიქციის ქვეშ აღარ იმყოფება.

როგორც საბუთიდან ჩანს, „რუისის სამწყსოს დავთრის“ შემდგენელია „ქართველთა მეფეთ-მეფისა დიდისა გიორგისა 1 და ძმისა მათისა სრულიად სპარსეთის მოსამართლეთ უხუცესისა ლევანისა 2, ამა მეფეთა დედის ძმისწული და საქართველოს მოსამართლეთ უხუცესისა ძე ორბელის ძე ნიკოლაოზ მროველ ეპისკოპოზი“. **[თაყაიშვილი, 2015:6]** ე. ი. ნიკოლოზ ორბელიანი სისხლით ნათესავი ყოფილა ბაგრატიონთა სამეფო გვარისა 3.

დავთარი სულ 84 სოფლისა და 1839 კომლის აღწერას მოიცავს, მაგრამ სამწყსოს ცენტრის - რუისის აღწერა მასში არ ჩანს. სავარაუდოდ, იგი სწორედ იმ ორ დაკარგულ ფურცელშია საძიებელი, რომელიც დღეისათვის აღარ შემოგვრჩა.

მიუხედავად არასრულყოფილი სახისა, დავთარში მოცემული გვარების ფუძეთაგან ცხადი ხდება, რომ ქართლში მოსახლეობის აქტიურ მოძრაობას აქვს ადგილი (მეგრელი მამუკა, ჯავახი ელისე, იმერელი სუხა, მრატველი⁴ გიორგი, აჭარაძე გოჩა, დვალი გოგია, მესხი თამაზა, მესხტურაშვილი⁵ გიორგი, ნასყიდა და სხვ.). გვარებიდანვე იკვეთება მათი სოციალური წარმომავლობა და პროფესია (მჭედელი დათუნა, მეზვერე იორდანე, ხარატი ივანე, ოქრომჭედელი დათუნა, მენაბდიშვილი ქვათარა, დალაქი გოგია, ბუში ივანე, მოურავი გუგულა, ხატისკაცი ველია, მღვდელი გოგია). გადასახადების სახეები (დრამა, საწირავი, დანი, სახუცო) და ფორმები (მარჩილი) და სხვ.

მოსახლეობის აქტიური მოძრაობა ჩანს შემდგომი აღწერების მასალებთან შედარებითაც. მაგ., „რუისის სამწყსოს დავთარში“, ღირბში მითითებული 50 კომლიდან ყველაზე მრავალრიცხოვანნი არიან: ეგნატაშვილი (3 კომლი), გაბრიელაშვილი (2), ერაძე (2), ნიადაგაშვილი (3), ჯანუაშვილი (2), ნანუჩაშვილი (2), ანანიაშვილი (2).

იგივე ღირბში, 60 წლის შემდეგ, ერეკლე II-ის „მორიგე ჯარის“ დავთრის მიხედვით, აბსოლუტურად სხვა გვარები გვხვდება: მგალობლიშვილი, ქვრივიშვილი, ტეტუნაშვილი, მურაჩაშვილი და მხოლოდ ერაძე (3) მეორდება **[ლორთქიფანიძე, 1947:303-304]**. ამავე დოკუმენტით, ღირბელი მღებრის გოგიას ძმა სულხანა უკვე გორიჯვარშია დაფიქსირებული **[ლორთქიფანიძე, 1947:341]**.

არადეთში 1715 წლის „რუისის სამწყსოს დავთარში“ ჩანან: იშხნელიშვილი (5 კომლი), თოდაძე (3), მირიანაშვილი (2) [თაყაიშვილი, 2015:8-9], ხოლო 1774 წელს არადეთიდან „მორიგეში“ უნდა გამოსულიყვნენ: ძამარაშვილი, კაპანაძე, ჩაჩანიძე, სულხანიშვილი, წინვანიძე (თუმცა, ისინი არადეთში თიღვადან გადმოსულან) **[ლორთქიფანიძე, 1947:342]**.

რაც უფრო ახლოა ქრონოლოგიურად სხვადასხვა აღწერების დავთრები ერთმანეთისაგან მსგავსებაც მეტია. მაგ., 1715 წლის აღწერით ატოცში ოთხი კომლი დეკანოზიშვილია (დათუნა, ბუჩა დათუნა, გიორგი და ქაიხოსრო) და ოთხივეს „საწირავი აძევს“ [თაყაიშვილი, 2015:44]. თეიმურაზ II-ის დავალებით 1756 წლის ზემო ქართლის მორიგე ლაშქრის ნუსხით ატოცში კვლავ დეკანოზიშვილები უნდა გამოსულიყვნენ „საყდრის ყმით, ცხენოსანი ა; ქვეითი ბ“ **[ლოლიძე, II, 1965:404-406]**.

ეთნიკური თვალსაზრისით, რუისის სამწყსოს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა ქართველია. მხოლოდ ორი ოსია (ოთია და ლაზარე) მითითებული თიღვაში **[თაყაიშვილი, 2015:34]** და ერთიც (ოთია) ახალსოფელში **[თაყაიშვილი, 2015:94]**. მაშინ, როცა, ერეკლე II-ის 1774 წლის „მორიგე ჯარის“ დავთრებში ოსები „ხიზნებად“ უკვე მრავლად ჩანან: „ხიზანი ჯერანასშვილი ივანე“, „ხიზანი მენისქვილე ხითარა“, ხიზანი ბარაჩასშვილი თამაზა“ **[ლორთქიფანიძე, 1947:296]** და ა. შ.

დღეისათვის ჩვენამდე მოღწეული აღწერებიდან, ქრონოლოგიურად ყველაზე ახლოს „რუისის სამწყსოს დავთართან“, „1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარია“ [ჯიქია, 2009], რომელიც ოსმალური ხელისუფლების (სულთან აჰმედ III-ის (1703-1730 წწ.) დავალებით შეიქმნა და გადასახადის გადამხდელი მოსახლეობის აღწერას ისახავდა მიზნად.

შეიძლება ითქვას, რომ ეს ორი დოკუმენტი, გარკვეულწილად, ერთმანეთს ავსებს. თუ „რუისის სამწყსოს დავთარი“ რეგიონში არსებული მოსახლეობას, გვარებს, სოფლებს ასახავს, „თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი“ ეკონომიკური მდგომარეობის, სოციალური კატეგორიების, ამა თუ იმ სოფელში მოსახლეობის კლება-მატების შესახებ გვაძლევს ინფორმაციას. მაგ., სოფ. ქვიშხეთის აღწერაში ვკითხულობთ: „მინის დღიური მფლობელი - 100; მინის თავისუფალი მფლობელი 120; სამეფო ველის დღიური მფლობელი 40“ [ჯიქია, 2009:253-254]. გარდა ამისა, ოსმალთა მიერ დაწესებული გადასახადები გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის, თუ რა წარმოადგენდა ოსმალთა ეკონომიკური ინტერესების სფეროს: თამბაქო, ხილი, ცხენი, საქონელი, ტყვე ქალვაჟი, კრამიტის სხლეები, კერძო საკუთრებაში მყოფი სავაჭურო ჯამეები, მტკვარზე დაჭერილი თევზი, ბალ-ვენახები, მდინარეებზე აგებული წისქვილები (იმისდა მიხედვით, თუ რამდენთვლიანი იყო), საბაჟოებიდან, ბორნებიდან, ზარაფხანებიდან მიღებული შემოსავალი. თითოეული სოფლის გასწვრივ მითითებულია გადასახადის სახე (ისფენჯი, უშრი, დონუმი, დემთბანი), რაოდენობა (ქერი, ჭვავი, ხორბალი, ფეტვი, თივა, ერბო, სკა, ცხვარი, ღორი) და სხვ.

დავთრებს შორის სხვაობა სულ 13 წელია. მიუხედავად იმისა, რომ ოსმალთა აღწერაში გვარები მითითებული არ არის⁷, დოკუმენტების შედარებითი ანალიზი გარკვეული დასკვნების საშუალებას იძლევა. „რუისის სამწყსოს დავთრის“ სოფლები „1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარში“ მოხსენიებულია, როგორც „სამილახვროს ნაჰიე გორის საყადლოში“ [ჯიქია, 2009:62-63]. ოსმალურ დოკუმენტში უკვე აღარ ჩანან სოფლები: მდავი, ნიფლითი, ოჟორა, არამგამა, ბალთა, ჭვირინი... ხრტანა ხრტანდ ქცეულა, ატოცი ატუჯად და სხვ. სამაგიეროდ, „თბილისის ვილაიეთის დავთარში“ მოხსენიებულია „ახალი“ სოფლები: უნლევი, ნაღვლი, ბადნო, წირეთი (შესაძლოა, ეს იყოს „რუისის დავთრის“ ნიფლევი - ი. ა.).

„რუისის სამწყსოს დავთრის“ მიხედვით, ხაშურში 15 გადასახადის გადამხდელი კომლია [თაყაიშვილი, 2015:90-91], ამდენივე კომლი ჩანს „1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარშიც“ [ჯიქია, 2009:266]. იტრიაში „რუისის სამწყსოში“ 42 გამომღები იყო [თაყაიშვილი, 2015:71-72], ამავე სოფელში უმნიშვნელოდაა შემცირებული მოსახლეობა (37 კაცი) „თბილისის ვილაიეთის დავთარში“ [ჯიქია, 2009:273]. სამაგიეროდ, მროველის სამწყსოსთან შედარებით, ოსმალურ დოკუმენტში თითქმის ორჯერაა გაზრდილი გადასახადების გადამხდელთა რაოდენობა ოსიურში (შესაბამისად, 28 [თაყაიშვილი, 2015:91-92] და 69 [ჯიქია, 2009:267] კაცი).

„რუისის სამწყსოს დავთარში“ ხაშურში დაფიქსირებულნი არიან აბიაშვილი ბადურა და აბიაშვილი ოთარი [თაყაიშვილი, 2015:90-91], რომლებიც, სავარაუდოდ, მამა და შვილი უნდა იყვნენ. მხედველობაში გვაქვს „თბილისის

ვილაიეთის დიდ დავთარში” იმავე ხაზურში მოხსენიებული: „ოთარ ძე ბაჩუასი” [ჯიქია, 2009:266]. ჩვენი აზრით, ქართული „ბადურა” და ოსმალური „ბაჩუა” ერთიდაიგივე პირს უნდა ასახავდეს.

ანალოგიური შემთხვევები ზემოხსენებულ ორ დოკუმენტში სხვაგანაც მრავლად გვხვდება. „რუისის სამწყსოს დავთარში” ქვიშხეთში მოხსენიებულნი არიან მჭადაშვილები თამაზა და თევდორე [თაყაიშვილი, 2015:84]. „თბილისის ვილაიეთის დავთარში” იმავე ქვიშხეთში დაფიქსირებულია: „თამაზა ძე დათუნასი” და „თედორე ძმა მისი” [ჯიქია, 2009:266-267]. ანუ, თამაზა და თევდორე მჭადაშვილები ძმები ყოფილან და მათ მამას დათუნა რქმევია. მსგავსი მაგალითები გვაქვს ამავე სოფელში მამა-შვილ ივანე და დათუნა ბლუაშვილებთან [თაყაიშვილი, 2015:84; ჯიქია, 2009:253-254]. თევდორე და თამაზა კიკნაძეების შემთხვევაში ოძისში [თაყაიშვილი, 2015:67-68; ჯიქია, 2009:266-271]. ხსენებული ორი დავთრის შედარებით, არა მხოლოდ მამა-შვილის, ან ძმების, არამედ თაობების დადგენაცაა შესაძლებელი. მაგ., რუისის სამწყსოში ოძისში მოხსენიებულნი არიან კიკნაძეები ნასყიდა, ესიტა და ბერია [თაყაიშვილი, 2015:67-68]. „თბილისის ვილაიეთის დავთრიდან” ვიგებთ, რომ ბერი და ესიტა (ოსმალურ დოკუმენტში დაფიქსირებულია „ესია” - ი. ა.) ძმები არიან, ხოლო ნასყიდა მათი მამაა („ბაჯითა ძე ნასყიდასი, ბერი ძე მისი, ესია ძმა მისი” [ჯიქია, 2009:271]). მსგავსი ვითარება გვაქვს ოსიურში იამანიძეებთან [თაყაიშვილი, 2015:91-92; ჯიქია, 2009:266-267].

გვსურს მკითხველს შევთავაზოთ კიდევ ერთი პარალელი, რომელიც საშუალებას გვაძლევს ერთი დოკუმენტის დახმარებით, მეორეში დასმულ კითხვას გაეცეს პასუხი. „1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარში” დაფიქსირებულია შემდეგი დასახლებული პუნქტი: „სათესველი ჩალა სოფელ თეზირთან, იგი ახლისაა ლებგურთან” [ჯიქია, 2009:257]. „რუისის სამწყსოს დავთარში” კი ვკითხულობთ: „ჭალის სოფელს ზემო”, შემდეგ მოსდევს მხოლოდ კომლთა ჩამონათვალი სოფლის სახელწოდების გარეშე (თეზირი?) და გრძელდება „ლუბრმათი” [თაყაიშვილი, 2015:92-94]. ამ შემთხვევაშიც, ქართული „ლუბრმა” და ოსმალური „ლებგური” ერთიდაიგივე სოფელს უნდა ნიშნავდეს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სახელთა ხშირი დამთხვევებიც იმას უნდა გულისხმობდეს, რომ ერთიდაიგივე პირებთან გვაქვს საქმე:

„რუისის სამწყსოს დავთარი 1715”	„1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარი”
„ჭალის სოფელს ზემო”	„სათესველი ჩალა სოფელ თეზირთან”
ქადაგიშვილი გივი	გივი ძე ბილარასი
ხმალაძე ბერი	ბერი ძე ადილარასი
კაკაძე შიო	შიო ძე მისი
ხარშილაძე ბერი [თაყაიშვილი, 2015:92]	ბერი ძე აჩიკ ბაშისა [ჯიქია, 2009:257]

სამწუხაროდ, დღეისათვის ზემოთ დასახელებული სოფლები (თეზირი და ლუბრა) აღარ არსებობს. ამდენად, მნიშვნელოვანია ოსმალურ დოკუმენტში მოცემული ლოკალიზაცია, რომელიც გვაუწყებს: „სხენებელი სოფლის საზღვარი იწყება ტაშისკარის მისადგომებთან. მდინარე მტკვრის ნაპირით, გორაკთან არსებული ციხით საციციანომდე ზედა მხარემდე გაივლის, იგი მთაწმინდის კოშკებამდე აღწევს. იქიდან ჰაჯის გორაკამდე ვრცელდება იქიდან კი თავქვე ეშვება. ჰაჯი სუს ცხელი ადგილებით მიემართება. იქიდან კი მტკვრის ნაპირით აღმა მიუყვება იგი ტაშისკარის მისადგომებთან მთავრდება“ [ჯიქია, 2009:258]. ანუ, თანამედროვე განუფენილობით, სოფელი თეზირი ტაშისკარსა და ქვიშხეთს შორის მდებარეობდა. „ჭალა“ დღეს უკვე ხაშურის ნაწილს წარმოადგენს, ხოლო „მთაწმინდა“ სოფელ ქვიშხეთს დასავლეთიდან აკრავს.

საინტერესოა „რუისის სამწყსოს დაფორის“ გეოგრაფია. იგი იწყება სოფ. არადეთიდან. მოიცავს მდ. ფრონეს, ფცისწყლის, დვანისწყლის, ალისწყლის, სურამისწყლის, ხეფინისხევის სოფლებს და სოფ. ვაყათი მთავრდება. ისტორიულად იგი საამილახვროს, საციციანოს, საავალიშვილოს, სააბაშიოს, საამირეჯიბოს, მირიან და ფარნაოზ ბატონიშვილების საუფლისწულოებს მოიცავს, ხოლო თანამედროვე ადმინისტრაციული დაყოფით: ქარელის, ხაშურის და ბორჯომის რაიონებს.

ყველაზე მეტი ყმა მროველ ეპისკოპოსს ჰყოლია ტემერში, სადაც სამი სახეცაა მითითებული. შესაბამისად, პირველში 22 კომლია, მეორეში - 49 და მესამეში - 40 **[თაყაიშვილი, 2015:76-84]**, ე. ი. სულ 111 კომლი. ასევე დიდი სოფლები ყოფილან: ბრეძა (58 კომლი), დვანი (54), ატოცი (53) და სხვ.

საინტერესოა მინიშნება აქვს ალის გამოსაღებს, რომელსაც დოკუმენტის ავტორი „დანყველილის“ ეპითეტით „ამკობს“. როგორც ცნობილია, ალი XVIII ს. აღმოსავლეთ საქართველოში მნიშვნელოვან დასახლებულ პუნქტს წარმოადგენდა და ქალაქის სახელითაც მოიხსენიებოდა **[აკოფაშვილი, 1973:541]**. ვფიქრობთ, სხენებელი ეპითეტი გადასახადის გადამხდელთა მროველისადმი წინააღმდეგობას უნდა ასახავდეს, რადგან, დავთარში მოცემულ სოფელთა უმრავლესობას გადასახადი „დრამა“ შეადგენს, ალის შემთხვევაში კი „დრამის“ გადასახადი მნიშვნელოვნად შემცირებულია სხვა გადასახადების ხარჯზე: „დრამის მაგიერად: კვამლზე თითო შაური: ან კანაფი: ან ტილო: ამათს ხუცეს აძეს ყოველს წელიწადს ორი ლიტრა კანაფი“ **[თაყაიშვილი, 2015:63]**.

საგულისხმოა, რომ დავთარში კომლთა ნაწილის გასწვრივია მითითებული „საწირავი აძეს“ (ანუ - „აძევს/ადევს“ - ი. ა.), ხოლო უმრავლესობა მხოლოდ გვარ-სახელით ფიქსირდება.

როგორც ივ. ჯავახიშვილმა გამოარკვია, მეკომური, რომლის გვერდითაც აღნიშნულია „საწირავი აძეს“, თარხანი უნდა იყოს, ხოლო დანარჩენი მეკომურნი ყველანი მობეგრენი უნდა იყვნენ და მათ უნდა შეხებოდეთ თითოეული სოფლის ბოლოში მოქცეული ცნობა „დრამას ბოგანო ნახევარ კოდსა და სხვა მთელს კოდს იღებენ: ანუ თარხანს სამსახური სდებია, მობეგრენ კი სამსახურის მაგიერ ბეგარა“ **[ჯავახიშვილი, 1996:33]**.

ასევე მნიშვნელოვანია გადასახადების რაოდენობა და სახეები, რომელიც თითოეული სოფლის მოსახლეობის აღწერის დასკვნით ნაწილ-

ებშია განმარტებული. გათვალისწინებულია სოფლის ეკონომიკური შესაძლებლობანი, მოსახლეობის გადამხდელუნარიანობა, კატეგორია, დამსახურება და სხვ. მაგ., დავთრის პირველივე სოფლის არადეთის მოსახლეობა (37 კომლი) იხილდა: „დრამას ბოგანოზ ნახევარ კოდსა: და სხვა სრულს კოდს9 იღებენ: ამათ სახუცო მარჩილი10 ოთხი და უზალთუნი11” **[თაყაიშვილი, 2015:8-9]**. ე. ი. თანამედროვე გადაანგარიშებით, მოსახლეობა არადეთში იხილდა „დრამის” გადასახადს მარცვლეულის სახით, კომლზე 75 კილოგრამს. (შესაბამისად, ეკონომიკურად შეჭირვებული (ბოგანო, ანუ უმინანყოლო) მის ნახევარს - დაახლ., 34 კგ-ს.), „სახუცოს” - თანხის სახით, კომლზე დაახლ., 12 აბაზს და დამატებით 10 კაპიკს („უზალთუნს”). ანალოგიური იყო „დრამის” გადასახადი სალოლაშენის 8 კომლიანი მოსახლეობისათვის. სამაგიეროდ, ისინი შედარებით ნაკლებს, 6 „შაურს” (30 კაპ.) იხილდნენ „სახუცოს” **[თაყაიშვილი, 2015:10]**. „სახუცო” გადასახადი სხვადასხვა რაოდენობის იყო („ათი აბაზი”, „ექვსი აბაზი”, „ოთხი აბაზი”, „ათი შაური” და სხვ.) სოფლებისათვის, იმისდამიხედვით, იხილდნენ თუ არა ისინი „დრამის” გადასახადს. სამწუხაროდ, სიებში გვარ-სახელების გასწვრივ მითითებული არ არის კატეგორია, ანუ მოსახლე „ბოგანოა” თუ არა, რაც აძნელებს სამწყსოს მთლიანი შემოსავლის დადგენას.

არადელებს და მის მეზობლებს გადასახადების ვალდებულებები მხოლოდ მროველი ეპისკოპოსისადმი არ ჰქონდათ, „დასტურლამაღის” მიხედვით, „არადეთს სამეხრეო აბარია, რაც მოვა; ხერხეულიძის ყმა, ფავლენიშვილის ყმა, იალღუმიშვილის ყმამ უნდა მომკონ; არადელთ მოზიდონ და გალენონ. ღალა ექვსზედ - ერთი; ბეგარი კოდი 30; მოყალენს კულუხი მესამედი.

სააღდგომო - ტანა12 ერთი და ქათამი; აგრევე საშობაო; სამარხო 3 კოდი. საბალახე, ნახირისა და პირისთავი13; საქვრივო14 - ბატონისა, სალოლასშენი და ოქრომჭედლისშვილის ყმაცა მკის” **[სურგულაძე, 1970:715]**.

ბუნებრივია, მოსახლეობა გაურბოდა გაზრდილ გადასახადებს, ყოველ ახალ აღწერას აგრესიით ხვდებოდა და ეს ქმედება „ღვთის წინაშე უკანონო საქმედ მიაჩნდა“. მაგ., როდესაც ერეკლე II-ს თავისი სამეფოს მოსახლეობის დანვრილებითი აღწერა მოუსურვებია, ასაღწერად მისული მოხელეები ხალხს გაურეკავს და მოკვლითაც კი დამუქრებია, რის გამოც, მეფე იძულებული გამხდარა განზრახვაზე ხელი აეღო **[კაკაბაძე, 1902:3]**.

როგორც ითქვა, „რუისის სამწყსოს დავთარში” სულ აღწერილია 84 სოფელი და 1839 კომლი. როგორც საბუთის გამოცემელი ე. თაყაიშვილი აღნიშნავს, თუ კომლში საშუალოდ ხუთ სულს ვიანგარიშებთ, ჯამში 9095 სულს მივიღებთ, თუ დაკლებულ ფურცლებსაც მივიღებთ ანგარიშში, მოსახლეობა ორი ათას კომლამდე ავა, ხოლო სულთა რაოდენობა 10 ათასს აღემატება **[თაყაიშვილი, 2015:97]**.

„რუისის სამწყსოს დავთრის” 84 სოფელიდან, „1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარში” დაახლოებით 63 სოფელი მეორედება (ზოგიერთი სოფლები გაერთიანებულია. მაგ: სურამი; წორბისი და ხრტანა; ერთ სოფლადაა წარმოდგენილი ტემერი და სხვ.), მაგრამ ოსმალურ დოკუმენტში აღწერილ კომლთა რაოდენობა თითქმის გარამაგებულია. თუ „რუისის სამწყსოს დავთრის” ზემოხსენებული 63 სოფლის მოსახლეობა 1654 კომლს შეადგენს, „თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის” იმავე სოფლებში 3223 კომლი

თეჟირდებ. განსაკუთრებით გაზრდილია მოსახლეობა ისეთ სოფლებში, როგორებიცაა: ალი (შესაბამისად: 22 და 193), ნაბახტევი (5 და 122), ქვიშეთი (26 და 136), ტაშისკარი (26 და 135), ვაყა (30 და 103) და სხვ.

XVIII საუკუნეში გადატანილი „ლეკიანობის“, ეპიდემიების, სოციალური ვალდებულებების, თუ სხვა კატაკლიზმების გამო, საუკუნის ბოლოსათვის საქართველოს მოსახლეობა უკიდურესად შემცირდა, მრავალი სოფელი ამოვარდა, ნასახლარად იქცა, ან სხვაგან გადასახლდა. „რუისის სამწყსოს დავთრის“ გამოცემლის (ე. თაყაიშვილის) განმარტებით, რუისის ეპარქიაში 1800 წლისათვის 46 სოფელი ირიცხებოდა, როდესაც XVIII ს. 10-იანი წლებისათვის იმავე ტერიტორიაზე მოსახლეობის რიცხვი ორჯერ მეტი ყოფილა **[თაყაიშვილი, 2015:5]**.

როდესაც „რუისის სამწყსოს დავთარს“, იოანე ბატონიშვილის მიერ 1794-99 წლების „ქართლ-კახეთის აღწერას“ ვუდარებთ, საუკუნის ბოლოს, დვანის წყლის სოფლებიდან უკვე აღარ გვხვდება: ქვემო და ზემო ძვიმღეთი, მდავი, სამება **[ზაგრატიონი, 1986:42]**, სურამისწყალზე ძვისი **[ზაგრატიონი, 1986:44]** და ა. შ.

ძნელბედობის კვალი დოკუმენტის შინაარსიდანაც ჩანს. მაგ., სოფ. „სატივეს“ გვერდით მითითებულია: „აყრილია ბევრი. თუ მოვლენ ყველა მეტი უნდა მოგვეცნ. სახეცო და დრამა. ესე და ახალსოფელი“ **[თაყაიშვილი, 2015:95]**. იგივე მეორდება სოფ. ქემფერთან **[თაყაიშვილი, 2015:66]**. ციხისძირის გასწვრივ კომლთა ჩამონათვალში მხოლოდ ნუმერაცია მისდევს და გამოტოვებულია ხუთი ადგილი **[თაყაიშვილი, 2015:82-83]** და სხვ.

ადგილი აქვს ტოპონიმების ეტიმოლოგიურ ცვლილებებსაც. „რუისის დავთრის“ „ნიფლეთი“ **[თაყაიშვილი, 2015:6]** იოანე ბატონიშვილთან უკვე „მნიფლისია“ **[ზაგრატიონი, 1986:43]**, ხოლო „ხრტანა“ **[თაყაიშვილი, 2015:27]** „ხტონად“ **[ზაგრატიონი, 1986:43]** ქცეულა.

ამრიგად, ზემოხსენებული აღწერების (დავთრების) შედარებითი ანალიზი გარკვეული დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა, XVIII საუკუნის I ნახევარში შიდა ქართლის დემოგრაფიული მდგომარეობის, მოსახლეობის ეთნიკური და სოციალური შემადგენლობის, მოძრაობის, სოფლების ლოკალიზაციის, ტოპონიმებისა და მათი სახეცვლილებების შესახებ.

შენიშვნები

იგულისხმება ქართლის მეფე გიორგი XI (1675-88, 1703-09 წწ).

ლევანი - ვახტანგ V შაჰ-ნავაზის ვაჟი, ვახტანგ VI-ისა და დომენტი IV კათალიკოსის მამა. ძმის, გიორგი XI-ის ირანში განწევვის დროს, 1675-77 და 1703 წლებში ასრულებდა ქართლის გამგებლის მოვალეობას. 1678 წლიდან ირანშია. მსახურობდა ქირმანის გამგებლად.

როგორც ცნობილია, ვახტანგ V-ს პირველ ცოლად ჰყავდა როდამ ორბელიანი. სწორედ როდამის ძმის (ვახტანგის, იგივე ორბელ ყაფლანიშვილის) ვაჟი იყო ნიკოლოზი. მოგვიანებით იგი ტფილელი მიტროპოლიტი გახდა, ვახტანგ VI-ს გაჰყვა რუსეთში და იქვე გარდაიცვალა 1732 წელს.

აღსანიშნავია, რომ ხსენებული ფორმით ეს გვარი („მრატველი“) მოხსენიებულია „სამილახვროს დავთარშიც“ **[კაკაბაძე, 1925:3]**.

საინტერესო წარმომავლობა აქვს ამ გვარსაც. „მეხატურაშვილი“ იგივე მესხი ასატურაშვილია. გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცულია 1619 წლის წყალობის სიგელი ანდუყაფარ ამილახვროს მიერ დედოფლის ვაჭრის მესხი ასატურაშვილი თამაზასადმი. ასატურაშვილები აქტიურად ჩანან ქართლში XVII-XVIII სს. ისტორიულ საბუთებშიც **[ალიშბარაშვილი, 2005:85-86]**.

1770 წლის ქართლ-კახეთის მოსახლეობის აღწერით, ოსები უკვე დიდი რაოდენობით ჩანან არაგვის, ქსნის ხეობების ზემო წელსა და სამაჩაბლოში, მაგრამ, არა ბარში. ამავე აღწერის მიხედვით, სურამში „მკვიდრობენ მართლმადიდებელნი ქართველნი, სომეხნი და ურანი“ **[დოლიძე, II, 1965: 420]**.

ეთნიკური თვალსაზრისით, ქართველების ხარჯზე ეთნიკურად ოსი მოსახლეობის ზრდა აღნიშნულ რეგიონში კიდევ უფრო თვალსაჩინოა XIX საუკუნის მეორე ნახევარში. მაგ., „რუისის სამწყსოს დავთრის“ მიხედვით, ფათუინეთში ცხოვრობდა გადასახადების გადამხდელი 29 კომლი და ეთნიკურად ყველა ქართველი იყო **[თაყაიშვილი, 2015:41-42]**. რუსული ხელისუფლების მიერ 1886 წლის ოფიციალური აღწერით, „პატკინეთში“ (Паткинет) ცხოვრობს 55 კომლი. აქედან 48 ოსია და მხოლოდ 7 ქართველი **[Свод, 1893:50]**. რუსული ხელისუფლება ოსებს ასახლებდა განსაკუთრებით ისეთ სოფლებში, სადაც, XVIII საუკუნეში გადატანილი ძნელბედობის გამო, ქართული მოსახლეობა გამეჩხერებული იყო, რათა მათი ქართველებთან ეთნიკური შერწყმა არ მომხდარიყო. მაგ., „რუისის სამწყსოს დავთარში“ სოფ. სხლითში მხოლოდ 8 გადასახადების გამომღები კომლია აღრიცხული და ეთნიკურად ყველა ქართველია **[თაყაიშვილი, 2015:15]**. 1886 წლის აღწერაში სხლითში უკვე 35 კომლია დაფიქსირებული. აქედან 22 ოსია და მხოლოდ 13 ქართველი **[Свод, 1893:52]**. უარესი ვითარებაა სოფ. მულნისში, სადაც 1715 წლის აღწერით 5 კომლია აღრიცხული (მამაცაშვილი (2), შუკავიძე (2) და ბრეგვაძე (1)) **[თაყაიშვილი, 2015:36]**. 1886 წლის მონაცემებით, მულნისში მოსახლეობა შესამჩნევლად გაზრდილია და 46 კომლი ცხოვრობს. აქედან ყველა ეთნიკურად ოსია **[Свод, 1893:52]**.

როგორც ცნობილია, ოსმალებში გვარებით მიმართვა მიღებული არ იყო და „გვარების კანონი“ მხოლოდ მოგვიანებით, მუსტათა ქემალ ფაშას (ათათურქის) მიერ იქნა მიღებული 1934 წელს.

ბოგანო - უმინწყლო გლეხი.

კოდი - ჭირნახულის სანყაო ძველ საქართველოში, უდრიდა 4-5 ფუთს (1 ფუთი=16,3 კგ.), ანუ დაახლ. 73-75 კგ.

სულხან საბას მიხედვით, მარჩილი არის სამი აბაზი [ორბელიანი, 1991:443].

უზალთუნი [თურქ.] - (ძვ.) ათი კაპიკი.

ტანა - თურქ. ხზო.

საბალახე, ნახირისა, პირისთავი - გადასახადები საქონლის ყოლისათვის.

საქვრივო - ქვრივი გლეხის ქალის გათხოვებისათვის დაწესებული გადასახადი, რომელსაც ქვრივის საქმრო იხდიდა, უდრიდა დაახლ. ერთ ხარს [სურგულაძე, 1970:825].

დამონშებანი

აკოფაშვილი, 1973 - აკოფაშვილი გულჩინა. ვაჭრობის, მრეწველობისა და საქალაქო ცხოვრების განვითარება, წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973.

ალიმბარაშვილი, 2005 - ალიმბარაშვილი სოსო. ტინისხიდის ისტორია, გორი 2005.

ბაგრატიონი, 1986 - ბაგრატიონი იოანე. ქართლ-კახეთის აღწერა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თინა ენუქიძემ და გურამ ბედოშვილმა, თბ., 1986.

დოლიძე, II, 1965 - ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1965.

თაყაიშვილი, 1907 - აღწერა მენინავე დროშისა საბარათაშვილოსა და სომხითისა, შედგენილი მეფის ვახტანგ მეექვსის ბრძანებით ვახუშტი ბარათაშვილისა და გივი თუმანიშვილის მიერ 1721 წ. „მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში“, გამოცემული ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, თბ., 1907.

თაყაიშვილი, 2015 - თაყაიშვილი ექვთიმე. რუისის სამწყსოს დავთარი 1715. ს. მაკალათიას სახ. გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის გამოცემა, გორი 2015.

კაკაბაძე, 1902 - კაკაბაძე სარგის. Homo Noyns, ქართველთა რიცხვი ასი წლის წინათ, გაზ. „ივერია“, 27 ნოემბერი 1902 წ. # 254, გვ. 3.

კაკაბაძე, 1925 - კაკაბაძე სარგის. საამილახვროს დავთარი მე-17 ს-ნის მეორე ნახევრისა, ტფ., 1925.

ლორთქიფანიძე, 1947 - ლორთქიფანიძე იასე. მორიგეთა სიები. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XIV-B. თბ., 1947.

ორბელიანი, 1991 - ორბელიანი სულხან-საბა. ლექსიკონი ქართული, ტ. I, ავტოგრაფიული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკონის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, თბ., 1991

სურგულაძე, 1970 - „დასტურლამალი“, ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო ი. სურგულაძემ, თბ., 1970.

ჯავახიშვილი, 1996 - ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი I, თბულებანი, ტ. IV, თბ., 1996.

ჯაოშვილი, 1996 - ჯაოშვილი ვახტანგ. საქართველოს მოსახლეობა, თბ., 1996.

ჯიქია, 2009 - „1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი“, წიგნი I, ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევითა და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადეს აკად. სერგი ჯიქიამ და პროფ. ნოდარ შენგელიამ, თბ., 2009.

Свод, 1893 - Свод статистических данных о населении Закавказского края Закавказского края извлечённых из посемейных списков 1886 г. Тифлиси 1893.

ელ-ვერსიები

<http://dlib.rsl.ru/viewer/01005403186>

საქართველოს საკითხი და რუსულ-ოსმალური დიპლომატია (1921-1922 წწ.)

The Issue of Georgia and the Russian-Ottoman Diplomacy (1921-1922)

ლელა სარალიძე

დოქტ. ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ელ-ფოსტა: lelasaralidze@yahoo.com

აბსტრაქტი

საქართველო, თავისი გეოსტრატეგიული მდებარეობის გამო, ყოველთვის იყო სხვადასხვა სახელმწიფოთა ინტერესის საგანი. დასავლეთისა და აღმოსავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის გზაჯვარედინზე მყოფი დამოუკიდებელი საქართველოს როლი პოლიტიკურ გლობალიზაციაში დღესაც საკმაოდ მაღალია. შესაბამისად საქართველო, გეოსტრატეგიის აქტიურ სუბიექტს წარმოადგენს.

XX საუკუნის დასაწყისში, საქართველოს დასავლურ ორიენტაციას მნიშვნელოვნად შეუშალა ხელი რუსეთ-ოსმალეთის გარიგებამ, რასაც შედეგად საქართველოს ოკუპაცია და ქვეყნის ბოლშევიზაცია მოჰყვა. მრავალი ათეული წელი რკინის ფარდა აღიმართა დასავლეთსა და კომუნისტურ სამყაროს შორის, რომლის ნაწილიც საქართველო გახდა.

ცნობილია, რომ რუსულ-ოსმალური ურთიერთობები, მხოლოდ მტრობისა და ომების ისტორიით შემოიფარგლებოდა. ფაქტია, რომ მსოფლიოს არც ერთ სხვა ქვეყანას ერთმანეთთან იმდენი არ უოშია, რამდენიც რუსეთსა და ოსმალეთის იმპერიებს. თუ ისტორიას გადავხედავთ, მარტო XVIII საუკუნეში ოსმალეთის იმპერიამ, რუსეთთან 8 ომი გადაიხადა, XIX საუკუნეში - 4, XX საუკუნის დასაწყისში ერთმანეთის წინააღმდეგ გლობალურ კონფლიქტში - პირველ მსოფლიო ომში ჩაებნენ. ნაშრომში ხაზგასმულია, რომ არა მხოლოდ ისტორიული გამოცდილება, არამედ ეპოქა, დრო და დიდი პოლიტიკა განსაზღვრავს სახელმწიფოთა თანაარსებობის ხასიათს. სწორედ, ასე მოხდა XX

Abstract

The work is based on the new archive documents and it is about history of relationships between the Bolsheviks in Russia and political leadership of the former Ottoman Empire. Historically It is known, that the Russian-Ottoman relations were limited only hostility and wars. The fact is that, no other country in the world it did not fight as much with each other, as Russia and the Ottoman Empires.

It should be noted, that not only the historical experience, but also the era, a time and big politics determine the nature of co-existence of states. That was the beginning of the XX century, when the deal took place in the Russian-Ottoman diplomacy, what came to the territorial losses of Georgia. According to historical documents, it seems clearly, that Bolshevik system, was completely unacceptable for the Ottoman Government, but it did not prevent their agreement. In February, 1921, after the attack on Georgia by Russian troops, the Ottoman Empire promised to give a hand to the Government of Georgia and under this pretext came with its army in the southern part of the Georgia Democratic Republic. In parallel of these developments, during the negotiations in Moscow, Russia and Ottoman Empire were looking for the agreement on the future divide of Georgia's territory. According to the agreement of Moscow, of March 16, 1921, The Soviet Russia was ready to cede Kars and Ardagan, but was resisting giving up Batumi. Finally, the parties agreed on the partition of the contested territories: Kars, Artaan and Artvin were handed over to Ottoman Empire, while Batumi and Adjara were left to the Georgian Soviet Republic, with legitimized right of the Autonomous Government to Adjara.

საუკუნის დასაწყისში, როცა სერიოზული გარიგება მოხდა რუსულ-ოსმალურ დიპლომატიკაში. საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით აღნიშნულია, რომ ბოლშევიკური მმართველობის სისტემა, ოსმალეთის ხელისუფლებისთვის სრულყოფილ მიუღებელი იყო, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია მათი გარიგებისთვის. რუსეთ-ოსმალეთის დიპლომატიური გარიგების შედეგია, მოსკოვის და შემდეგ ყარსის ხელშეკრულება, რომელიც დღემდე ძალაშია და დღევანდელი თურქეთის ხელისუფლებისთვის პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტია.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, რუსეთი, ოსმალეთი, დიპლომატიკა.

The result of Russia - Turkey diplomatic deal is the Treaty of Kars, which is still in force and have political importance for the Turkish authorities.

Keywords: Georgia, Russia, Turkey, Diplomacy.

შესავალი

საქართველო, თავისი გეოსტრატეგიული მდებარეობის გამო, ყოველთვის იყო სხვადასხვა სახელმწიფოთა ინტერესის საგანი. დასავლეთისა და აღმოსავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის გზაჯვარედინზე მყოფი დამოუკიდებელი საქართველოს როლი პოლიტიკურ გლობალიზაციაში, დღესაც საკმაოდ მაღალია. თანამედროვე ეტაპზე, ქვეყნის უმთავრესი გეო-პოლიტიკური ამოცანა ევროკავშირისა და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებაა. XX საუკუნის დასაწყისში, საქართველოს დასავლურ ორიენტაციას მნიშვნელოვნად შეუშალა ხელი რუსეთ-ოსმალეთის გარიგებამ, რასაც შედეგად, საქართველოს ოკუპაცია და ქვეყნის ბოლშევიზაცია მოჰყვა. მრავალი ათეული წელი რკინის ფარდა აღიმართა დასავლეთსა და კომუნისტურ სამყაროს შორის, რომლის ნაწილიც საქართველო იძულებით გახდა. მაინც რა იყო რუსულ-ოსმალური დიპლომატიის მთავარი საიდუმლო, რომელსაც საქართველოს სერიოზული ტერიტორიული დანაკარგები მოჰყვა. ისტორიულად ცნობილია, რომ რუსულ-ოსმალური ურთიერთობები, მხოლოდ, მტრობისა და ომების ისტორიით შემოიფარგლებოდა. ფაქტია, რომ მსოფლიოს არც ერთ სხვა ქვეყანას ერთმანეთთან იმდენი არ უომია, რამდენიც რუსეთსა და ოსმალეთის იმპერიებს. თუ ისტორიას გადავხედავთ, მარტო XVIII საუკუნეში ოსმალეთის იმპერიამ, რუსეთთან 8 ომი გადაიხადა, XIX საუკუნეში - 4, XX საუკუნის დასაწყისში კი, ერთმანეთის წინააღმდეგ გლობალურ კონფლიქტში - პირველ მსოფლიო ომში ჩაებნენ.

პირველი მსოფლიო ომის შედეგად, ოსმალეთის იმპერიამ თავისი ტერიტორიების 66%, ხოლო, მოსახლეობის 33% დაკარგა (Корсун, 1940). მუდროსის ზეგმა, რომელიც ფაქტობრივად, ოსმალეთის იმპერიის დასასრულის დასაწყისი იყო, ოსმალური სახელმწიფო უმძიმეს პირობებში

ჩააყენა. იურიდიულად და შინაარსობრივად ეს უსიტყვო კაპიტულაციას ნიშნავდა (Moudros Armistice, 2004, p. 11). შექმნილი მძიმე მდგომარეობა და მოვლენათა განვითარების ლოგიკური ჯაჭვი, მიანიშნებდა, რომ ოსმალეთის იმპერია თავის უკანასკლვლელ დღეებს ითვლიდა, თუმცა შემდგომი პროცესები სულ სხვაგვარად წარიმართა. ეს განპირობებული იყო, პოლიტიკურ არენაზე ოსმალთა არმიის ახალგაზრდა გენერლის - მუსტაფა ქემალის გამოსვლით. მან თურქი ხალხის კონსოლიდაციის საქმეში, თურქეთის რესპუბლიკის შექმნასა და თურქების, როგორც ერის ჩამოყალიბებაში, გადაწყვეტი როლი ითამაშა. თურქ ნაციონალისტებსა და რუს ბოლშევიკებს შორის, 1920 წლის მაისში რეალური კავშირის დამყარება დაიწყო, რომელიც ბოლშევიკურ-ქემალისტური სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის შექმნით დასრულდა.

საბჭოთა რუსეთს და ქემალისტურ ოსმალეთს, მსოფლიო ომის შემდეგ, საერთო მიზანი გაუჩნდათ: ბრძოლა გამარჯვებულ სახელმწიფოთა კავშირის ანუ ანტანტის წინააღმდეგ. პირველი ებრძოდა მათ სამხრეთ რუსეთში - თეთრგვარდიელთა ფრონტზე; მეორე - მცირე აზიაში, ბერძნების მიერ გაპლილ ფრონტზე. ამ საერთო ინტერესების გაჩენამ, საბჭოთა რუსეთს და ქემალისტურ ოსმალეთს საერთო ინტერესები შეუქმნა. რუსეთი, ოსმალეთის ხელისუფლებას, სერიოზულ დახმარებას უწევდა და საქართველოს წინააღმდეგ მოსალოდნელი ომის დაწყების შემთხვევაში, მასში საიმედო პარტნიორს ხელდავდა (ვადაჭკორია, 2015: 91). თურქ ნაციონალისტებსა და ბოლშევიკებს შორის პირველ კონტაქტებს ადგილი ჯერ კიდევ 1919 წლის მაისში ჰქონდა, დასავლეთ ანატოლიაში ბერძნული სადესანტო ჯარის გადასხმის შემდეგ, მუსტაფა ქემალის თანამებრძოლი, ჰუსრევ ბეი, 7 ივნისს, აღმოსავლეთის ფრონტის მეთაურის ქიაზიმ ყარა ბეჭირისადმი, გაგზავნილ წერილში, მოითხოვდა კავკასიის ბოლშევიზაციას და ოსმალეთში საბჭოთა ხელისუფლებისთვის ხელსაყრელი რეჟიმის დამყარებას (Afanasyan, 1981, p.89). ოფიციალური პირი, ვინც საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან, პირველმა დაამყარა ურთიერთობები თურქულ ჯგუფთან და ხელი მოაწერა ოფიციალურ ხელშეკრულებას, ეროვნებით ქართველი რუსი ბოლშევიკი შალვა ელიავა იყო (ჩაჩხიანი, 2015, გვ. 160-161).

აღსანიშნავია, რომ არა მხოლოდ ისტორიული გამოცდილება, არამედ ეპოქა, დრო და დიდი პოლიტიკა განსაზღვრავს სახელმწიფოთა თანაარსებობის ხასიათს. სწორედ, ასე მოხდა XX საუკუნის დასაწყისში, როცა რუსულ-ოსმალურ დიპლომატიაში სერიოზული გარიგება შედგა. საარქივო დოკუმენტებიდან, კერძოდ, საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, ემიგრაციაში წასული ქართველი პოლიტიკოსების მიმოწერიდან, აშკარად ჩანს, რომ ბოლშევიკური მმართველობის სისტემა, ოსმალეთის ხელისუფლებისთვის სრულიად მიუღებელი იყო, თუმცა ამას მათი გარიგებისთვის ხელი არ შეუშლია.

XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში, ოსმალეთის სამხედრო და პოლიტიკურ ელიტაში აშკარა თუ ფარულ დაპირისპირებებს ჰქონდა ადგილი. ამ წინააღმდეგობას განსაზღვრავდა, მაშინდელი ოსმალეთის ორი პოლიტიკური მოღვაწის, ყოფილი სამხედრო მინისტრის, გენერალ - ისმაილ ენვერ ფაშასა და თურქ ნაციონალისტთა ლიდერის - გენერალ მუსტაფა ქემალის დაპირისპირება, რასაც რუსეთის მაშინდელი მთავარი იდეოლოგები, აქტიურად

ხელმძღვანელობდნენ. კრემლში დანერგილი სცენარის მიხედვით, ორივე მათგანი ახალი თურქული სახელმწიფოს, ასევე, რუსეთის ხელისუფლების მომავალ მოკავშირედ მოიაზრებოდა. კრემლში იმ დროს, ერებისა და სახელმწიფოების მონყობის გეოპოლიტიკური პროექტები მუშავდებოდა, რომელიც არა მარტო სისტემურ-პოლიტიკურ, არამედ იდეოლოგიურ, კონფესიურ და ეთნიკურ მახასიათებლებზე იყო დაფუძნებული. 1921 წლის შემოდგომაზე, ანატოლიის საომარ მოქმედებათა ფრონტზე არსებული ბერძნულ-ქემალისტური სამხედრო კონფრონტაციის ფონზე, რუსეთის ხელისუფლების საბოლოო გადანაცვლებით, ოსმალეთის ხვალისდელ დღედ და თურქეთის ახალ ლიდერად მუსტაფა ქემალი იქნა მიჩნეული. სამხედრო-პოლიტიკური თვალაზრისით, ოსმალეთისთვის კრიტიკულ სიტუაციაში, მუსტაფა ქემალისა და ქიაზიმ ყარაბეგერის ნაციონალისტურმა პოლიტიკამ, მათმა სწორად გათვლილმა ნაბიჯებმა, უტყუარმა პოლიტიკურმა ალდომ და კარგად გააზრებულმა საგარეო ორიენტაციამ, თურქული სახელმწიფოებრიობა გადაარჩინა. 1919-1921 წლებში, ქემალისტებმა სწორად განჭვრიტეს, რომ ერთადერთი რეალური სამხედრო-პოლიტიკური მოკავშირე, მათთვის ბოლშევიკური რუსეთი იყო და მათთან დაახლოების გზით, პრაქტიკულად განწირული ქვეყანა გადაარჩინეს. საბოლოო ჯამში, ქემალისტებმა მთლიანად მიიღეს ბოლშევიკებისაგან შეთავაზებული თამაშის წესები და დიდ სამხედრო-პოლიტიკურ თამაშში სუფთად დაამარცხეს ბოლშევიკები (ჩაჩხიანი, 2011, გვ. 178).

ბოლშევიკური რუსეთის ხელმძღვანელობა კავკასიისა და მთელ მსოფლიოს, სოციალისტური რევოლუციის პრიზმაში ჭვრეტდა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ევროპის რამდენიმე ქვეყანაში რევოლუციური ტალღა დაცხრა, აშკარა გახდა, რომ მსოფლიო რევოლუციის ქრონოლოგია აღარ ემთხვეოდა ამ იდეის ავტორთა წარმოდგენებს (კუჭავა, 1994, გვ. 12).

თურქეთის დიდი ეროვნული კრების პრეზიდენტმა, მუსტაფა ქემალმა, საბჭოთა მთავრობას, პირველადი დახმარების სახით, ხუთი მილიონი თურქული ლირა, ოქროთი, ასევე, სამხედრო-ტექნიკური საშუალებები და თურქი ჯარისკაცებისთვის სურსათი მოსთხოვა. საარქივო დოკუმენტების თანახმად, ქემალისტთა საიდუმლო ემისარი, გენერალი ჰალილ ფაშა ქეთი, რომელსაც ლენინთან პირადი შეხვედრები ჰქონდა, ადასტურებს ბოლშევიკური ხელისუფლებისგან დახმარების მიღებას, კერძოდ, 500კგ ოქროს და სატელეგრაფო სადგურის გამოგზავნას (Paksoy, 1994).

ქემალისტთა პირველი ოფიციალური დელეგაცია, მოსკოვში, ბექირ სამი კუნდუხის (საგარეო საქმეთა მინისტრი), იუსუფ ქემალ ბეისა (ეკონომიკის მინისტრი) და გენერალური შტაბის სამი ოფიცრის შემადგენლობით გაიგზავნა. მოლაპარაკებების დროს, ქემალისტებმა ინგლისისა და „მსოფლიო იმპერიალიზმის“ წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლის საწარმოებლად, დიდძალი სამხედრო აღჭურვილობა მოითხოვეს (Кузнецов, 1961, стр. 19) 1920 წლის ზაფხულში, ჯერ კიდევ ბოლშევიკებსა და ქემალისტებს შორის, ოფიციალური ურთიერთობის დამყარებამდე, ვ. ლენინის განკარგულებით, მუსტაფა ქემალს წინასწარი ფინანსური და სამხედრო დახმარება გაუწიეს. ბოლშევიკებმა, ანატოლიაში, გაგზავნეს: 6000 შაშხანა, 5 მილიონი ვაზნა, 17600 საარტილერიო

ჭურვი, აგრეთვე თანხა - 1 მილიონი (ოქროთი) (Документы внешней политики, 1959, стр. 675).

წითელი არმიის ქვედანაყოფებსა და ქემალისტურ ჯარებს შორის უშუალო კონტაქტი დამყარდა. თურქმა ოფიცრებმა სამხედრო ფორმებზე თავისი განმასხვავებელი ნიშნების ნაცვლად, ბოლშევიკური ნიშნების მიკერება დაიწყეს. თურქი ოფიცრების ანაზღაურება რუსული ოქროთი ხდებოდა. 1921 წლის 16 მარტს, ქემალისტთა დელეგაციასა და რუსეთის მთავრობას შორის, მოსკოვში დადებული „მეგობრობისა და ძმობის“ ხელშეკრულების ძალით, რუსეთს თურქებისათვის საერთო ჯამში უნდა გადაეცა: 10 მილიონი მანეთი ოქროთი და დიდძალი იარაღი (Документы внешней политики СССР, 1959, стр. 726). ქემალისტებისთვის განუელი ფინანსური, სამხედრო და მატერიალურ-ტექნიკური დახმარების მასშტაბები, მეტად სოლიდური იყო იმ ფონზე, როცა 1920-1921 წლებში, ბოლშევიკები, ფაქტობრივად, განუწყვეტელ საბრძოლო მოქმედებებში იყვნენ ჩართულნი დენიკინ-ვრანგელის თეთრგვარდიულ შენაერთებთან, ასევე, უმძიმეს დაპყრობით ომს აწარმოებდნენ პოლონეთთან, ხოლო პარალელურად, ამიერკავკასიაში სომხეთის და საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკების წინააღმდეგ, ომში იმყოფებოდნენ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში, აჭარის რაიონებში თურქები პროვოკაციულ საქმიანობას ეწეოდნენ. ისინი ცდილობდნენ აეჭანყებინათ ქართველი მაჰმადიანები საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ, მაგრამ მათ არც ერთი ქართველი მაჰმადიანი არ მიემხრო (სურგულაძე, 2011, გვ. 69).

რუსეთის წითელი არმიის საქართველოში შემოჭრამდე, საქართველოს ეროვნული ხელისუფლება, ნოე ჟორდანიას ხელმძღვანელობით, ცდილობდა ანგორის მთავრობასთან მოლაპარაკებას, რაც უშედეგოდ დასრულდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ, ანგორაში, დანიშნული ელჩი - სიმონ მდივანი, 1921 წლის 31 იანვარს, ოსმალეთში ჩავიდა და 8 თებერვალს, ანგორის მთავრობას რწმუნების სიგელი გადასცა. სამი დღის შემდეგ, დაიწყო რუსეთის ჯარის თავდასხმა საქართველოზე. ცხრა დღის შემდეგ, ანგორის მთავრობამ გადაწყვიტა არდაგანისა (არტაანის) და ართვინის მხარეში ჯარის შეყვანა და საქართველოს ელჩს აცნობა, რომ 1921 წლის 18 თებერვალს, დილით, ოსმალეთის ჯარი ართვინში შევიდოდა. სიმონ მდივანმა, იმავე დღეს, ანგორის მთავრობის საგარეო საქმეთა კომისარს, ასეთი შინაარსის ნოტა გაუგზავნა: „იმ მოკლე ხნის განმავლობაში, რაც მე აქ ვიმყოფები, რამდენჯერმე მქონდა შემთხვევა განმეცხადებინა თქვენი აღმატებულებისთვის, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ დაილოს ზავი საქართველოსა და ანატოლიის მთავრობას შორის იმგვარ საფუძველზე, რომ ჭეშმარიტად დამყარდეს, თანახმად ამ ორი ერის სასიცოცხლო ინტერესებისა, მეგობრული და კეთილმგზობლური ურთიერთობა. ამჟამად, საჭიროდ მიმაჩნია წერილობით მოგახსენოთ ის უკანასკნელი წინადადება ჩემი მთავრობისა, რომლის ანგორის მთავრობის მიერ მიღებით, მე საშუალება მექნება ხელი მოვანერო ზავს. ეს წინადადება არის შემდეგი: ბათოში და მისი ოლქი ყოველი დავის გარეშე, რჩება საქართველოს ფარგლებში და მისი საზღვარი უნდა გატარდეს 1914 წლის ხაზზე. თქვენს აღმატებულებას მოეხსენება, თუ როგორ მდგომარეობაში

ჩავარდა დღეს საქართველო. ბოლშევიკური რუსეთის წითელი ჯარი, ზურგგამაგრებული, ახლახან განითვლებული დაშნაკური სომხეთით, ლამობს სასიკვდილო ლახვარი ჩასცეს საქართველოს. ამ სერიოზულ მომენტში, ნება მიბოძეთ განვახადო, რომ საქართველო ამჟამინდელ კომუნისტურ-დაშნაკური ხელისუფლებით დახრჩობას, თუკი მას თავის ფარგლებში ბათომი არ ეგულება. ამიტომ, უმორჩილესად ვთხოვთ, კეთილი ინებოთ და მოახსენოთ მაღალ დანებისებულებას, ნაციონალურ დიდ კრებას და მის მთავრობას, ამჟამად, ამ საკითხში დავას ნუ დავგინწყებენ, **ვინაიდან ბათომი და მისი ოლქი არის თვალი და გული საქართველოსი, ურომლისოდაც მას ცხოვრება არ შეუძლიან...**“ (სცსსა, ფ. 2118, აღწ. 1, ს. 6, ფურც. 19).

ბოლშევიკური ხელისუფლება ოსმალეთს, აღმოსავლეთში თავის მნიშვნელოვან რევოლუციურ მოკავშირედ მიაჩნევდა. თურქებთან მოლაპარაკების დროს წარმოქმნილი უთანხმოების გადაჭრაში, ერთ-ერთ მთავარ როლს, რსფსრ ეროვნებათა საქმის სახალხო კომისარი - იოსებ სტალინი ასრულებდა. 1921 წლის 16 მარტს, იმ დღეს, როცა ბათუმში ჯერ კიდევ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა იმყოფებოდა, მოსკოვში, თურქებმა და რუსებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომლის მეორე მუხლით, თურქეთი უთმობს საქართველოს თავის სუვერენულ უფლებებს ბათუმზე. ამ ფაქტთან დაკავშირებით, ქართველი ემიგრანტი ისტორიკოსი ა. მანველიშვილი წერს: „...ეს სუვერენობა მას (ოსმალეთს - ლ.ს.) უკვე გამოცხადებული ჰქონდა 16 მარტის თუნდაც ერთი დღის წინ, სხვანაირად როგორ დაუთმობდა იმას, რაც მას არ ეკუთვნოდა. მაშასადამე, ამ დროს თურქების მიერ ბათუმის დაკავება იყო მხოლოდ დიპლომატიური მანევრი. თუმცა მისი პრეტენზია მუდამ ჰქონდათ, მაგრამ ისიც იცოდნენ, რომ რუსები ბათუმისთვის მოდიოდნენ და მას თურქებს როგორ დაუთმობდნენ!“ (მანველიშვილი, 1984, გვ. 301). საქართველოში ყოველი მხრიდან შემოსეულმა რუსეთის ჯარებმა თბილისი დაიკავეს, მთავრობა ევაკუირებული იქნა ჯერ ქუთაისში, შემდეგ ბათუმში. მარტის დასაწყისში, ანკარიდან (ანკარიდან) მიღებული დირექტივების საფუძველზე იუსუფ ქემალმა რუსეთის მთავრობას ბათუმის, ართვინისა და არტანის, აგრეთვე, ყარსის თურქეთის შემადგენლობაში აღიარება მოსთხოვა. ამით მან ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ეს ქალაქები მხოლოდ და მხოლოდ თურქეთს ეკუთვნის.

საქართველო-ოსმალეთის ახალი სახელმწიფო საზღვარი, 1921 წლის 16 მარტს, ქ. მოსკოვში დადებული ხელშეკრულებით დადგინდა. ამ დროს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ჯერ კიდევ ბათუმში იყო და ემიგრაციაში წასასვლელად ემზადებოდა. ხელშეკრულებით განისაზღვრა ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვარი ოსმალეთთან. საბჭოთა რუსეთმა უარი თქვა ართვინ-არტანის და ყარსის ოლქებზე, ისტორიულად ქართულ და სომხურ მიწებზე, რომლებიც 1878 წლის ბერლინის კონგრესის გადამწყვეტილებით, ოსმალეთს ჩამოერთვა და რუსეთს გადაეცა. XX საუკუნის 20-იანი წლების დამდეგს, რუსეთი იძულებული გახდა ყარსი და არტანი ოსმალეთისთვის გადაეცა, ბათუმს კი არ თმობდა. რუსეთის მთავრობა, ჯერ კიდევ ინგლისელების საშუალებით, ცდილობდა ბათუმის ხელში ჩაგდებას, მაგრამ 1920 წლის ივლისში, ინგლისის ხელისუფლებამ ბათუმი მის კანონიერ მემკატონეს – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას

ჩააბარა.

რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლება ფარულ გარიგებაში შევიდა ოსმალეთთან. 1921 წლის 14 თებერვალს, როდესაც საბჭოთა რუსეთს უკვე დანყებული ჰქონდა ომი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დასაპყრობად, რუსეთმა ოსმალეთში ზღვიით - 3733 შამხანა და 5 მილიონზე მეტი ვაზნა გაგზავნა. ხელშეკრულების პირველი მუხლი უარყოფდა ყველა საერთაშორისო საზავო ხელშეკრულებას და აქტს, რომელსაც ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობა და საბჭოთა რუსეთი არ ცხნობდა. ხელშეკრულების პირველი მუხლის მეორე აბზაცში საზღვრები შემდეგნაირად იყო წარმოდგენილი: „ოსმალეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის საზღვარი ტარდება: ხაზით, რომელიც იწყება სოფელ სარფთან შავ ზღვაზე, გადადის მთაზე ხედისმთა, წყალგამყოფ ხაზზე შავშეთის მთისა და კანნიდალს შორის, შემდეგ მისდევს არდაგანისა და ყარსის სანჯაყების ჩრდილოეთ ადმინისტრაციულ საზღვარს-ტალვეგზე-მდინარე არფა-ჩაი და არაქსი-ქვემო ყარა-სუს შესართავამდე“ (ნოზაძე, 1989, გვ. 89).

1921 წლის 16 მარტის ხელშეკრულებით, საბჭოთა მთავრობამ ოფიციალურად ცნო ოსმალეთის დამოუკიდებლობა, უარი თქვა ამ ქვეყნის მიმართ მეფის რუსეთის ყველა განსაკუთრებულ პრივილეგიაზე და დაუტოვა მას ვრცელი ტერიტორია, რომელიც რუსეთის იმპერიაში შედიოდა. ხელშეკრულების რატიფიკაცია საბჭოთა რუსეთმა 1921 წლის 20 ივლისს მოახდინა, ხოლო ოსმალეთმა - 1921 წლის 31 ივლისს. რუსეთ-ოსმალეთის მოსკოვის ხელშეკრულებით, ბათუმის ოლქის ნაწილი რუსეთს რჩებოდა. ბათუმის ოლქის მცხოვრებთათვის რუსეთს უნდა მიეცა ადმინისტრაციული და არა პოლიტიკური ავტონომია. ოსმალეთს ბათუმის პორტში თავისუფალი ტრანზიტის უფლება უნდა ჰქონოდა. ოსმალეთს მხოლოდ იმ შემთხვევაში არ ექნებოდა აჭარაზე პრეტენზია, თუ აჭარა ავტონომიას მიიღებდა. 1921 წლის 16 ივლისის დეკრეტით (#54), აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შეიქმნა. დეკრეტის პირველ მუხლში ნათქვამია: მოეწყოს აჭარის ავტონომიური სსრ, როგორც ნაწილი საქართველოს სსრ-ისა, იმ ტერიტორიის ფარგლებში, რომელიც ამჟამად უჭირავს აჭარის ხალხს, შემდეგი საზღვრებით, ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით – ბათუმის ოლქის არსებული ადმინისტრაციული საზღვარი, ხოლო სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით საქართველოს სსრ და ოსმალეთს შორის არსებული სახელმწიფო საზღვრის ხაზი და ქ. ბათუმში იქნას მისი ცენტრი (ოქროპირიძე, 2011, გვ. 185).

ლენინ-სტალინის საბჭოთა მთავრობა, ცდილობდა დაერწმუნებინა გასაბჭოებელი საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ხელისუფალნი, რუსეთ-ოსმალეთის ხელშეკრულებას მიერთებოდნენ. 1921 წლის 13 ოქტომბერს, ყარსში სომხეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებისა და ოსმალეთის დიდი ეროვნული კრების მთავრობებს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომელმაც კიდევ ერთხელ დაადასტურა, 1921 წლის 16 მარტის, მოსკოვის ხელშეკრულებაში დადგენილი საქართველო-ოსმალეთის საზღვარი. საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის მთავრობებს წარმოადგენდა რუსეთის საოკუპაციო ადმინისტრაცია, ხოლო ოსმალეთის მხრიდან, ყარსის ხელშეკრულებას ხელი

მოაწერა ოსმალეთის პოლიტიკური მოძრაობის წარმომადგენელმა ერთ-ერთმა ორგანიზაციამ. ყარსის ხელშეკრულების სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა 1922 წლის 11 სექტემბერს, ერევანში შედგა.

1921 წლის 13 ოქტომბერს, ყარსში, დადებული ხელშეკრულება, ფაქტიურად რუსეთსა და ოსმალეთს შორის მოსკოვში მიღწეული სტრატეგიული გარიგების გამოვლინებას და ამ შეთანხმების გაგრძელებას, მის უშუალო რატიფიკაციას წარმოადგენდა (სარალიძე, 2016, გვ. 285). ყარსის ხელშეკრულება, 1921 წლის თებერვალში, საბჭოთა ჯარების მიერ საქართველოს ანექსიის, უშუალო შედეგი იყო. ხელშეკრულებაზე ხელისმომწერთაგან არც ერთი არ იყო თავისი ქვეყნის კანონიერი ხელისუფლება. საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის მთავრობებს რუსეთის საოკუპაციო ადმინისტრაცია წარმოადგენდა. კერძოდ, ყარსის ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს: საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მხრიდან - შალვა ფლიავამ (სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახ. კომისარი) და ალექსანდრე სვანიძემ (საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი); სომხეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მხრიდან - ასკანაზ მრავიანმა (საგარ. საქმ. სახ. კომისარი) და პოლოს მაკინციანმა (შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი); აზერბაიჯანის მხრიდან - ბეჰბუთ შახტახტინსკიმ (მუშათა ინსპექციის სახალხო კომისარი); ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის მთავრობის მხრიდან - კიაზიმ ყარა ბექირ ფაშამ (ოსმალეთის დიდ ეროვნულ ყრილობის დეპუტატი და აღმოსავლეთის ფრონტის სარდალი), ველი ბეიმ (ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის დეპუტატი), მუხთარ ბეიმ (საზოგადო სამუშაოთა მინისტრის მოადგილე), მემხუდ შევქეთ ბეიმ (ოსმალეთის სრულუფლებიანი წარმომადგენელი აზერბაიჯანში); რუსეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობის მხრიდან - იაკობ განეცკიმ (რსფსრ სრულუფლებიანი წარმომადგენელი ლატვიაში) (სუიცსა, ფ. 281, აღწ., 2, საქ., 1718, ფურც. 135-136).

მოსკოვ-ყარსის ხელშეკრულებით ოსმალეთს გადაეცა ყარს-არდაგან-ართვინი (24.000 კვადრატულ კილომეტრი). უშუალოდ საქართველომ დაკარგა არდაგან-ოლთისი და ბათუმის ოლქის სამხრეთი ნაწილი (მაჭახელა, ბორჩხა და მაკრიალი-სულ 13 046 კვადრატული კილომეტრი). ყარსის ხელშეკრულებამ სათავე დაუდო საქართველოს დაქუცმაცებას, რის შემდეგაც ქვეყნის ტერიტორია 91,1 ათასი კვადრატული კილომეტრიდან (ეს ციფრი ცნობილი იქნა ერთა ლიგის მიერ 1918 წელს - ლ.ს.) 69,7 ათას კვ. კილომეტრამდე შემცირდა. როგორც მოსკოვის, ასევე, ყარსის ხელშეკრულება, რუსეთ-ოსმალეთის დიპლომატიური გარიგების შედეგია, რომელიც დღემდე ძალაშია და დღევანდელი თურქეთის ხელისუფლებისთვის პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტია.

გამოყენებული ლიტერატურა

Afanasyan, S. (1981). L'Arménie, l'Azerbaïdjan et la Géorgie de l'indépendance à l'instauration du pouvoir Soviétique 1917-1923, Paris: L'Armattan.

Документы внешней политики СССР (1959). т. 3, стр. 675, Москва: Госполитиздат.

ვადაჭკორია, შ. (2015). რუსეთ-ოსმალეთის ალიანსი დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ (1920-1921 წწ.), კრებულში: ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 1(16), თბილისი: უნივერსალი, გვ. 78-93.

ოქროპირიძე, უ. (2011). აჭარის ავტონომიის შექმნა, თბილისი: უნივერსალი.

კუჭავა, გ. (1994). 1920-1921 წლები: საქართველო ლენინმა გაპყიდა. უურნალი პოლიტიკა, #1-2, 12.

Корсун Н. (1940). Греко-Турецкая война 1919-1922 г.г. (Военно-историческая библиотека), Москва: Воениздат НКО СССР.

Кузнецов С. (1961). Установление Советско-Турецких отношений. Москва: Издательство восточной литературы.

მანველიშვილი, ა. (1984). რუსეთი და საქართველოს დამოუკიდებლობა, სან ფრანცისკო.

Moudros Armistice (2004). Turkish - Greek Relations, Istanbul.

ნოზაძე, ვ. (1989), საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბილისი.

Paksoy, H. (1994). US and Bolshevik relations with the TBMM Government. The first contacts, 1919-1921, The Journal of Sophia –Asian studies, #12, p. 12.

სურგულაძე, ვ. (2011). 1921 წლის თებერვალ-მარტის მოვლენები ბათუმში და მხარის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების პოზიცია (განმათავისუფლებელი კომიტეტი და ისლამური საზოგადოება), წიგნში: ბრძოლა ბათუმისათვის 1921 წლის 18-20 მარტი, გვ. 59-70, თბილისი.

სარალიძე, ლ. (2016). აჭარის ავტონომიური საბჭოთა რესპუბლიკის შექმნა, წიგნში: საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XVIII-XXI საუკუნეებში (სამეცნიერო ლიტერატურისა და დოკუმენტების მიხედვით), წიგნი 2, (ავტორები: დოდო ჭუმბურიძე, ვაჟა კვიციანი, ხათუნა ქოქრაშვილი, ლელა სარალიძე), თბილისი: მერიდიანი.

The Treaties of Peace 1919-1923 (1924), vol. II, New York: Carnegie Endowment for International Peace.

ყარსის ხელშეკრულება სომხეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკებისა ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის მთავრობასთან, საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი (სუიქსა), ფ. 281, აღწ., 2, საქ. 1718, ფურც. 135-136.

ჩაჩხიანი, ა. (2011). თურქეთისა და საბჭოთა რუსეთის ურთიერთობები 1917-1921 წლებში და საქართველოს საკითხი, დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემია, აკადემიის შრომები, გვ. 178.

ჩაჩხიანი, ა. (2015). რუსეთი და თურქეთი: ბოლშევიკურ-იტალიანური ენიგმა (1920-1922), თბილისი: საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის ტოპოგრაფიული სამმართველოს სტამბა.

**სახელმწიფოებრიობის დაკარგვით
გამომწვეული
კულტურული შოკი და მისი უარყოფითი გავლენები
გრიგოლ ორბელიანის პირადი წერილების მიხედვით**

Cultural Shock Provoked by Loss of Statehood and its
Negative Impacts According to Grigol Orbeliani's Private Letters

გიორგი გოცირიძე

პროფ. იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ელ-ფოსტა: goda08@yahoo.com

აბსტრაქტი

მოხენებაში შესწავლილია კულტურული შოკის გამომწვევი მთავარი მიზეზი და მისი უარყოფითი გავლენები გრიგოლ ორბელიანის 1832-1858 წლების წერილების მიხედვით. რომანტიკოსი პოეტისა და სამხედრო მოღვაწის მიერ განცდილი კულტურული შოკი შეპირობებულია საქართველოს სუვერენიტეტის დაკარგვით მე-19 საუკუნის დასაწყისში, რომელმაც მისი მთელი ცხოვრება და მოღვაწეობის შინაარსი განსაზღვრა.

წერილების მიხედვით, კულტურულ შოკს იწვევს კონფლიქტი როგორც დამპყრობელი ქვეყნის - რუსეთის, ისე მთიანი დაღესტნის (რომელიც მისი სამხედრო მოღვაწეობის მთავარი ადგილი იყო) მოსახლეობის ტრადიციებთან, ღირებულებებთან, ჩვევებთან, ქცევებთან და აზროვნების წესთან. შექმნილი ახალი ვითარება საკმაოდ განსხვავებული იყო მისი სამშობლოს ვითარებისაგან.

გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლური მემკვიდრეობა ავლენს კულტურული შოკის ზოგიერთ უარყოფით სიმპტომს, რომელთა შორის, უპირველესად, უნდა გამოიყოს ფსიქოლოგიური განწყობა და ემოციური დისკომფორტი, განსაკუთრებით, კარიერის დასაწყისში, კერძოდ: მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა იცვლება უცხო კლიმატის გამო, პოეტს უჭირს კონცენტრაცია და სამსახურებრივ მოვალეობებსა და ვალდებულებებს უგელისყროდ ექცევა. წერილებში ჩანს ახლობელ ადამიანებთან (ოჯახის წევრები, ნათესავები, მეგობრები) დაშორებით გამომწვეული შოკიც.

Abstract

The paper deals with the main provoking reason and negative impacts of cultural shock according to Grigol Orbeliani's private letters written in 1832-1858. Cultural shock experienced by romanticist poet and military figure is conditioned by loss of Georgia sovereignty taking place in the beginning of the 19th century, defining his whole life and the content of activities.

Cultural shock is provoked by encountering the traditions, values, customs, behavior and the way of thinking of people as of invader country Russia, as of mountain Dagestan, the main place of his military occupation. The new circumstances were quite dissimilar to those of poet's homeland.

Grigol Orbeliani's epistolary legacy reveals some of the negative symptoms of cultural shock, among which most of all there can be singled out psychological mood and emotional discomfort, especially at the early stage of his career, namely: he finds his health affected by the foreign climate; he finds it hard to concentrate and as a result he sets about his official duties and commitments unwillingly. In the letters there have been seen the shock of being separated from the familiar people in his life: family members, relatives, and friends.

Cultural shock is strengthened also by material situation provoked by the politics of Russian Empire, and the new conditions of the life. All of these effects increase poet's anxiety.

In the following period his emotions seem less tangible, and motivation for adapting to the new cultural patterns increases.

კულტურული შოკი გაძლიერებულია აგრეთვე რუსეთის იმპერიის პოლიტიკის წყალობით შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობით და ცხოვრების ახალი პირობებით. ყველა ეს ეფექტი ზრდის პოეტის მღელვარებას.

შემდგომ პერიოდში მისი ემოციები იკლნება და ახალ კულტურულ მახასიათებლებთან შეგუების მოტივაცია იზრდება.

მართალია, გრიგოლ ორბელიანის წერილები ასახავს ავტორის პირად ემოციებსა და გრძნობებს და არა მთელი საზოგადოებისას, მაგრამ ისინი საშუალებას გვაძლევს, დავინახოთ, თუ რას განიცდიდა და გრძნობდა ქართველი ხალხი იმ დროს.

საკვანძო სიტყვები: კულტურული შოკი, ეპისტოლური მემკვიდრეობა, სახელმწიფოებრიობა.

Indeed, Grigol Orbeliani's private letters reflect the author's personal emotions and feelings, and not those of the entire society, but they make it possible to imagine the evident picture of the created situation in that period.

Keywords: Cultural Shock, Epitology heritage, statehood.

შესავალი

ნაშრომში, გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლური მემკვიდრეობის მიხედვით, გაანალიზებულია სახელმწიფოებრიობის დაკარგვითა და რუსეთის იმპერიის გაბატონებით გამოწვეული კულტურული შოკი, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში XIX საუკუნის I ნახევარში.

ტერმინი „კულტურული შოკი“ XX საუკუნის 50-იანი წლების მიწურულიდან გვხვდება სამეცნიერო ლიტერატურაში დაძაბულობის, დაურწმუნებლობისა და შფოთვის იმ შეგრძნების აღსანიშნავად, რომელსაც ადამიანი, ან ადამიანთა ჯგუფი განიცდის ახალ და უჩვეულო კულტურულ გარემოში აღმოჩენისას.¹ ეს არის სიტუაცია, როდესაც ერთმანეთს უპირისპირდება ადამიანისათვის ჩვეული და უცხო კულტურების ფასეულობები, ნორმები, ენა და ყოველდღიური ცხოვრება.

შოკური რეაქციის სიძლიერე განისაზღვრება კულტურათა შორის არსებული განსხვავების ხარისხით. ასეთ მდგომარეობას მეტ-ნაკლებად განიცდის ყველა, ვინც პირველად მოხვდება უცხო კულტურულ გარემოში (ტურისტები, ემიგრანტები და ა.შ.), ანდა, როდესაც ინტენსიური კულტურული დიფუზიის შედეგად წარმოიშობა კონფორტაციის სიტუაცია ძველ და ახალ ფასეულობებს, ნორმებს, ყოფა-ქცევის მოდელებს შორის.

¹ K. Oberg, Culture Shock and the Problem of Adjustment in New Cultural Environments.

ივანე წერეთლისა და ქეთევან კაკიტელაშვილის მიერ სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრანტებისათვის შექმნილ სალექციო კურსში „კულტურა და მოდერნიზაცია“ კულტურული შოკი განმარტებულია, როგორც „თავდაპირველი რეაქცია ინდივიდუალური, ან ჯგუფური ცნობიერების შეჭახებასთან, ინდივიდების, ან ჯგუფების უცხო კულტურულ რეალობასთან. კულტურული შოკის სიტუაცია - ესაა კონფლიქტის სიტუაცია ინდივიდების ჩვეულ ღირებულებებს, ნორმებს, ენას, ყოველდღიურ პრაქტიკას შორის. დამახასიათებელია იმ გარემოსთვის, რომელიც მან დატოვა და იმ ახალი გარემოსთვის, რომელშიც ის აღმოჩნდა.“

კვლევის დროს მოპოვებული მასალების, გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლურ მემკვიდრეობაში გადმოცემული ნააზრევ-ნაფიქრალისა და შთაბეჭდილებების ანალიზი საშუალებას გვაძლევს განვაცხადოთ, რომ კულტურული შოკი დამახასიათებელია არა მხოლოდ ტურისტებისა და ემიგრანტებისათვის, არამედ ნებისმიერი ქვეყნის მოსახლეობისთვის, რომელიც განიცდის საკუთარი სახელმწიფოებრიობის დაკარგვასა და იქ უცხო ძალის გაბატონებას, რომ პოლიტიკური კოლონიზაცია კიდევ უფრო ამძაფრებს კულტურული შოკით გამოწვეულ შედეგებს, უფრო ღრმა და ძნელად მოსაშუშებელ ტკივილებს/განცდებს უტოვებს ადამიანებს და არც თუ ისე იშვიათად განაპირობებს კულტურულ კოლონიზაციას.

პოლიტიკური კოლონიზაცია შეიძლება არ მივიდეს კულტურულ კოლონიზაციაში (არ დასცალდეს დროის თვალსაზრისით). მართალია, პოლიტიკური კოლონიზაციის გამოვლენის ნებისმიერ ფორმას თან ახლავს კულტურული შოკი, მაგრამ ამ უკანასკნელის სიღრმე, მასშტაბები და შედეგები განსხვავებულია იმის მიხედვით, მიაღწევს თუ არა პოლიტიკური კოლონიზაცია კულტურული კოლონიზაციის ზღვარს.

თუ გადავხედავთ XIX საუკუნის I ნახევრის საქართველო/კავკასია-რუსეთის ურთიერთობებს, ცხადად დავინახავთ, რომ პოლიტიკური კოლონიზაციის სწორედ ამგვარ განვითარებასთან გვაქვს საქმე. ამდენად, კულტურული შოკის ანატომია განსახილველ შემთხვევაში კულტურული კოლონიზაციის კონტექსტში უნდა იქნეს განხილული. მისი ბუნება, მასშტაბები და შედეგებიც, შესაბამისად, ამ თვალსაზრისით უნდა შეფასდეს.

მეთოდები

კვლევისას გამოყენებულია ისტორიულ-შედარებითი, ლოგიკური, იდეოგრაფიული, ქრონოლოგიური, აღწერითი მეთოდები.

შედეგები

რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსიის შედეგად XIX საუკუნის დასაწყისიდან ქვეყანაში სრულიად შეიცვალა სახელმწიფოებრივი მოწყობის საუკუნეობრივი მოდელი, რამაც ძირფესვიანად შეარყია პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური თუ კულტურული სისტემები. დამოუკიდებლობის დაკარგვამ, მონარქიული წყობის დამხობამ, რაზეც იდგა ქართული სა-

ხელმწიფოებრივი მენტალიტეტი, უდიდესი ძვრები გამოიწვია ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ჩამოიშალა საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული სოციალური იერარქიული სისტემა და შეიქმნა თვისობრივად ახალი სისტემა, რომლის სხვადასხვა იერარქიულ საფეხურზეც აღმოჩნდნენ სხვადასხვა ეროვნების ადამიანები - ჩვენ შემთხვევაში ქართველები და რუსები სხვადასხვა კულტურით, ენით, ტრადიციებითა თუ აზროვნების წესით. რუსული კულტურული ტალღები საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს მოედო. ახალი ჩვეულებები და ნორმები ღრმად შეიჭრა ქართველთა ყოველდღიურობაში.

ამ კონტექსტში საინტერესოა გრიგოლ ორბელიანის ერთ-ერთი წერილი, სადაც თავის დამოკიდებულებას გამოხატავს დისშვილის რუსისთვის მითხოვების თაობაზე. მას უარყოფითი აზრი აქვს ამასთან დაკავშირებით და სურს, ბაბაღე ქართველზე გათხოვდეს: „მე არ დაგიმაღლათ ჩემს ჰაზრსა და მოგახსენებთ ცხადად: მე მსურდა, რომ ბაბაღე საქართველოში შეერთო ვისმე თავადისშვილებთაგანსა, რადგანაც ბაბაღემ არ იცის რუსული, და მაშასადამე, ჩემის ანგარიშით, ვერცა შეითვისებს რუსულს ჩვეულებასა და ცხოვრებასა. - მე იქნება ამაში ვიყო შემცდარი, მაგრამ ესკი იყო მიზეზი, რომ უფრო მინდოდა შეერთო ქართველსა!“ (გიგაშვილი... ტ. V: 203).

სახელმწიფოებრიობის დაკარგვით გამოწვეული კატაკლიზმების ბუნება კარგად ჩანს ანასტასია ბატონიშვილისადმი გაგზავნილ წერილში, სადაც გრიგოლ ორბელიანი წერს: „რამდენ[ს]ჯერ დაუიქრებული გიმზერდითა ვამბობდი ჩემს გულში: თქვენ ვინ! მე ვინ და ჩუენი ყოფნა სად?“ (გიგაშვილი... ტ. II: 16).

იგივე წერილი ავლენს, როგორ განიცდის ის საქართველოში წაუსვლელობას და ეს განცდები როგორ აისახება მისი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე: „აქ რომ გიახელ, იმედი მქონდა, რომ საქართველოში გამისტუმრებდნენ, მაგრამა მანამ აქ მოვიდოდი, უკუქ სხუა აფიცრები დაენიშნა ღენერალს... ამ ამბავმა ასე შემანუხა რომ მესამეს დღესვე ავათ ვავხდი, დამანყებინა საშინლათ გშენა და ხველა, რომელმანცა კინაღამ დამახრჩო... გამომიშუეს სისხლი, გულზე დამაკრეს კიდევ პლასტერი“ (იქვე: 16).

ეკონომიკური რყევები და მისგან გამოწვეული შოკი, უპირველეს ყოვლისა, თავადაზნაურთა კლასს შეეხო, რომლის წარმომადგენელიც იყო გრიგოლ ორბელიანი. ერთ დროს საზოგადოებრივი ცხოვრების ზედაპირზე მოქცეულმა ფენამ სწრაფი ტემპებით იწყო ვარდნა, რაც მორალურად და ფსიქოლოგიურად ანადგურებდა პოეტს. „უნდა იცოდე, რომ მე დიდი კნიაზი ქვეითად დავეხეტები“ - ამბობს ერთ-ერთ ბარათში (იქვე: 41).

ახლოებებისადმი გაგზავნილ წერილებში იგი ხშირად უჩივის თავის შეჭირვებულ ეკონომიკურ მდგომარეობას. ძმას - ზაქარია ორბელიანს სწერს: „ამ სოფელში ყველასა აქუს დასასრული ძილოსოფიის მიხედვით; იმედი მაქუს, რომ ლ'თისაგან ექნება ამ ჩვენს ვაივავლახურს ცხოვრებასაც დაბოლოება, და ესე ჰაზრი მანუგეშებს ხოლმე“ (იქვე: 32).

სხვა წერილში ზაქარიასვე სწერს: „ღმერთმა შენი მტერი შეანუხოს ისე, როგორც მე შევსწუხდი ჩვენის მამულებისგამო. სიყრმითგან სიბერემდის ასე უნდა

ვინოდეთ ერთი ლუკმა პურისათვის, რომლისა მოსაპოებლად ძაღლებსავეთ უნდა ვეყარნეთ გარეთ, შორს ჩვენი სახლკარისაგან. მაღლობა ღმერთსა! იმას მივანდოთ თავი ჩვენი, და ვიმოქმედოთ რაც შეგვიძლიან. - ყმაწვილსავეთ ვტერი. ახრ, როდემდის უნდა ამგვარ სივლახაკეში ვიხრუკებოდეთ? - ხვალვე ვგზავნი კამისიაში რაპორტსა, რომ ილიას მისცენ ჩემი ჯამაგირი მისის ტრეტისა, რომელიცა აღარ მახსოვს, მგონია ოცდაშვიდთუმნამდის იყოს. წავიდეს ესეც იმ უფსკრულში, რომელიდამაც ჩვენ მხოლოდ სიკუდილი გამოგვიყვანს და მოგვარჩენს ამდენს დავიდარაბას და უბრალოდ ზრუნვას და მწუხარებას. - თუ ცოცხალი დავრჩი, იმ მომავალის ტრეტებისაც იქვე წავიდეს და ჩაიღუპოს ჯანაბაში. - ესა მკლავს ჯავრით, რომ ეგ პოლკის ჯამაგირი მიხდოდა ჩვენი სახლებისათვის მომხმარებინა. ვაი გალღერეავ, გალღერეავ! მაგრამ ზაქარიავ! თუ ღმერთი გრწამს, ნულარ დააწყობ პლანებსა მომავლისათვის. რომ ღმერთს არ უნდა? აბა რასა იქ. - დეე მომავალმა თვითვე მოიტანოს სიკეთე, თუ აქუს რამე ჩვენთვის დარჩომილი“ (იქვე: 168). ან კიდევ: „თუ პოლკი არ ჩაიგდეს, შიმშილით მოვკვდებით ან სიღარიბეში სული ამოგვივა“ (იქვე: 195).

1845 წლის 7 იანვრით დათარიღებულ წერილში ზაქარიას თავიანთ სიღარიბეზე ესაუბრება: „რა უყოთ ძმაო, სიღარიბეში ვართ დაბადებულნი და გაზრდილნი. იმდენი დღევგრძელობა ღთმა მოვცეს, რამდენი ნაკულულოვანება მე მომეთმინოს და ვითმენდე კიდევ ეხლა! დავეჩვიე სიყმითგან სიღარიბეს, იმიტომ ვედარა ვგრძნობ ამის სიმწარესა, თორემ ვინ მოითმენდა ამდენს ხანს, და იქმნება სიკვდილამდისაც გასწიოს ესრეთმა ცხოვრებამ“ (ტ. III.: 6).

ემოციური დისკომფორტი ოჯახის წევრებთან და ახლობლებთან განშორებასაც მოჰყვა. მათ გარეშე ყოფნას მთელი თავისი სამხედრო მოღვაწეობის მანძილზე განიცდიდა. ეს ემოციები განსაკუთრებით მძაფრად შეინიშნებოდა კარიერის დასაწყისში, რის გამოც მას გარკვეულწილად გაუჭირდა სამსახურებრივი მოვალეობებისა და ვალდებულებების მიმართ სათანადო გულისყურის გამოჩენა. აი, რას სწერს მანანა ორბელიანს: „ამ წიგნის წერაში ვზივარ მარტო დაყრუებულს ოთახში ღამე და ჩემს საახლოესა დარეკეს საყდარი, მისაღებელად ახლად მიცვალეხულისა აქაურისა პომეჩიკის ქალისა. - უნებლიეთ აღმოუტევე ოხრვა მწუხარებისა! ვაითუ მალე ჩემთვისაც ასე დარეკონ და საფლავი ჩემი გასთხარონ მხარესა უცხოს; შორს ყოველთა ჩემთა გულისა საყუარელთაგან და არცა ერთი ცრემლი არა დაეცეს მინასა, საუკუნოდ ჩემს დამთავრელსა. - თუმცა სიკუდილი ყველგან სიკუდილია, მარამ გულსკი ჰსურს, რომელ უკანასკნელი ოხრვა ესმას მისთა მახლობელთა; რომელ თვალთა მიმოიხედონ რა უკანასკნელ იხილონ მოყუსანი თვისნი, და არა უცხონი გულგრილნი დაუდევნელის სახითა“ (იქვე: 42-43).

ამ დროის წერილებში ხშირად ისმის სიტყვები - „წყეული ბედი“, „მტრული ბედი“: „შორს, შორს გადამისროლა მტრულმან ბედმან ჩემთვის ყველა საყუარელის ადამიანისაგან, მარამა სულით არ დავეცემი,“ - სწერს ივანე უილიხოვსკის (იქვე: 39).

ბარათებში ასევე შეინიშნება იმედების გაცრუებითა და საკუთარი უბედობის შეგრძნებით გამოწვეული სევდა: „ჩემი სურვილი, მათთან ერთად წავსულიყავ, ვერ აღსრულდა, ისევე როგორც ყოველნი ჩემნი ოცნებანი ბედნიერებაზედ“ (იქვე: 26). სხვაგან წერს: „ძნელია დედოფალო სახით და გულით უდროოდ

დაბერება. და ამისათვისა მეშინიან ვა თუ ბოლოს დრომ ქოქოლა მომაცაროს და მითხრას მეხი კი დაგეცქაო“ (იქვე: 86).

მომავლისადმი ურწმუნობა შემდგომი დროის წერილებშიც ჩნდება, სადაც არსებული ანმეოს მდგომარეობისადმი შეგუებას იკითხება: „მე, ჩემის გამოცდილებით, ვედარ ვენდობი მომავალსა: ის არის ჩემი, რაც დღეს არის ჩემი!“ (გიგაშვილი... ტ. IV: 67).

ამავე პერიოდის ერთ-ერთ წერილში პოეტი ასე აფასებს განვლილ ერთ წელიწადს: „აჰა განვიდა უკუც ერთი წელიწადი, რა დაგპორდით. ვითარ მსწრაფლად განიბრინა ამა წელიწადმან ცხოვრებისათვის, და ვითარ წელად, წელად ვლიდოდა იგი გულისათვის. - ნავიდეს და აღარ მოვიდეს ესრეთი წელიწადი არცა ჩემთვის და არცა თქუცნთვის. - თვითოეულთა დღეთა მისთა მოჰქონდათ სხუადასხუაგუარანი მწუხარებანი ჩემ მოსაკულებლად. - ძნელ-იყო მოსათმენად ჰლ კვეთება მათი; მარამ შემდეგ შევეჩვიე ანუ გავქვავდი გულთა და ვითარცა ძილოსოქოსი ანუ დავრიმი, არღა ვჰვრძნობდი ძალასა მათსა - ან მომავალსა წელსა ვუმზერ იმედის თვალითა და ვნახოთ, თუ რასა მოავლენს ჩემდამო ღთი მარად მფარველი ჩემი“ (გიგაშვილი... ტ. II: 41).

დამპყრობელი და დაპყრობილი ხალხის ცნობიერების, ტრადიციების, ღირებულებებისა თუ ქცევის ნორმების განსხვავებულების გამო, მათ შორის წარმოიქმნა კონფლიქტური სიტუაცია. როგორც წესი, ასეთ დროს დომინანტურ პოზიციას დამპყრობელი ერი ინარჩუნებს. ასე მოხდა განსახილველ შემთხვევაშიც.

წერილების მიხედვით, კულტურულ შოკს იწვევს კონფლიქტი არა მხოლოდ დამპყრობელი ქვეყნის - რუსეთის, არამედ მთიანი დაღესტნის (რომელიც გრიგოლ ორბელიანის სამხედრო მოღვაწეობის მთავარი ადგილი იყო) მოსახლეობის ტრადიციებთან, ღირებულებებთან, ჩვევებთან, ქცევებთან და აზროვნების წესთან. აქაური ვითარება საკმაოდ განსხვავებული იყო მისი სამშობლოს ვითარებისაგან, რასაც მწვავედ განიცდიდა იგი. ერთ-ერთ წერილში კონსტანტინე თარხნიშვილს ასე შესჩივის თავის მწარე ხვედრზე: „სხვებრ აქა ჩემი ცხოვრება არის თითქმის ძალღური ამ ბრძეცა და უგუნურს გაუთლელს ხალხში; ერთი კაცი არავინ არის ამ ჩემს მეჭხთულის სახანოში, რომ მასთან შეიძლებოდეს მცირედის ხანის გაძლება; მაგრამ რა უყო, ვითმენ, მაშ თუ არ მოვითმინო, ერთი მითხარ რა ვჰქნა, აბა სად გავიქცე?“

(გიგაშვილი... ტ. III: 13). „ამათი შექცევა გაძლომა არის და სპირტის სმა. სხუა არაფერი. შენი ნუქერი ამათში სწორედ ანგლიის ჯენტლმენია ზრდილობითა“-წერს თავის ძმას ზაქარიას (გიგაშვილი... ტ. II: 155).

კულტურული შოკის დაძლევის ოთხ შესაძლებლობას გამოყოფენ სამეცნიერო ლიტერატურაში. ერთ-ერთი მათგანია გეტოიზაცია. ამ დროს მოსულები უკავშირდებიან ერთმანეთს და აყალიბებენ შიგნით ახალს, მათი კულტურისათვის იზოლირებულ ანკლავებს (გეტო), სადაც ინახავენ და ინარჩუნებენ ტრადიციებს, თავიანთი კულტურული ყოფაქცევის მოდელებს (კ. ობერგი).

გრიგოლ ორბელიანის წერილებში იკვეთება საოცარი ფაქტი - გეტოიზაციის ინდივიდუალურ დონეზე გამოვლენის საინტერესო შემთხვევა - პოეტმა

თავისებური გეტო პირადი წერილებით შექმნა. ამ გზით მოიწყო საკუთარი სამყარო, სადაც ოჯახის წევრები, ახლობლები და მეგობრები დაასახლა და მათთან კავშირი მთელი თავისი სამხედრო მოღვაწეობის მანძილზე შეინარჩუნა. ამიტომაც დატოვა მან ასეთი მდიდარი ეპისტოლური მემკვიდრეობა. სწორედ წერილები იქცა მისთვის კულტურული შოკის დაძლევის ყველაზე ეფექტურ საშუალებად. ამიტომაც განიცდიდა ახლობლების მხრიდან მოუწერლობას: „ღღეს მოვიდა ფოშტა და არავისაგან არ მომივიდა წერილი; ფუჭად ჩაიარა ერთის კვირის მოლოდინებამ. - მე ყველასთან ერთს დროს წერილის მოწერა არ შემძლიან, და თქვენ კი ერთს კვირაში ერთხელ რომ მომწეროთ, არა დაგიშვებდებართა“ (გიგამეილი... ტ. V: 105).

ამდენად, ჩვენ მიერ მოპოვებული კვლევის შედეგები ცხადად წარმოაჩენს, რომ რუსეთის იმპერიის მიერ ჯერ საქართველოს, ხოლო შემდეგ სრულიად კავკასიის დაპყრობის შედეგად ადგილობრივი მოსახლეობა კულტურული შოკის მძლავრი ზემოქმედების ქვეშ მოექცა. გრიგოლ ორბელიანის მიერ განცდილი კულტურული შოკი შეპირობებულია საქართველოს სუვერენიტეტის დაკარგვით მე-19 საუკუნის დასაწყისში, რომელმაც მთელი მისი ცხოვრება და მოღვაწეობის შინაარსი განსაზღვრა.

დასკვნა

ამრიგად, გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლური მემკვიდრეობა ავლენს კულტურული შოკის ზოგიერთ უარყოფით სიმპტომს, რომელთა შორის, უპირველესად, უნდა გამოიყოს ფსიქოლოგიური განწყობა და ემოციური დისკომფორტი, განსაკუთრებით, კარიერის დასაწყისში, კერძოდ: მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა იცვლება უცხო კლიმატის გამო, პოეტს უჭირს კონცენტრაცია და სამსახურებრივ მოვალეობებსა და ვალდებულებებს უგულისყუროდ ექცევა. წერილებში ჩანს ახლობელ ადამიანებთან (ოჯახის წევრები, ნათესავები, მეგობრები) დაშორებით გამოწვეული შოკიც.

კულტურული შოკი გაძლიერებულია აგრეთვე რუსეთის იმპერიის პოლიტიკის წყალობით შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობით და ცხოვრების ახალი პირობებით. ყველა ეს ეფექტი ზრდის პოეტის მღელვარებას.

შემდგომ პერიოდში მისი ემოციები იკლებს და ახალ კულტურულ მახასიათებლებთან შეგუების მოტივაცია იზრდება.

მართალია, გრიგოლ ორბელიანის წერილები ასახავს ავტორის პირად ემოციებსა და გრძნობებს და არა მთელი საზოგადოებისას, მაგრამ ისინი საშუალებას გვაძლევს, დავინახოთ, თუ რას განიცდიდა და გრძნობდა ქართველი ხალხი იმ დროს.

გამოყენებული ლიტერატურა

გიგაშვილი, ქ., ნინიძე, მ., 2012. XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, ტ. II, გრიგოლ ორბელიანი, ნაწილი I, თბ.

გიგაშვილი, ქ., ნინიძე, მ., 2012. XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, ტ. III, გრიგოლ ორბელიანი, ნაწილი II, თბ.

გიგაშვილი, ქ., ნინიძე, მ., 2013. XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, ტ. IV, გრიგოლ ორბელიანი, ნაწილი III, თბ.

გიგაშვილი, ქ., ნინიძე, მ., 2014. XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, ტ. V, გრიგოლ ორბელიანი, ნაწილი IV, თბ.

გიგაშვილი... 2015 – გიგაშვილი ქ., ნინიძე მ., XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, ტ. VI, გრიგოლ ორბელიანი, ნაწილი V, თბ., 2015.

Oberg, K., Culture Shock and the Problem of Adjustment in New Cultural Environments, 2006.

რუსეთი და კავკასია (მე-19 საუკუნის უცხოური წყაროების მიხედვით)

Russia and Caucasus
(By the European sources of the 19th century)

დალი კანდელაკი

დოქტ. ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ელ-ფოსტა: dali.kandelaki@tsu.ge

აბსტრაქტი

რუსეთისა და კავკასიის ქვეყნების ურთიერთობების კვლევა წინა საუკუნეებიდან დღემდე მეტად აქტუალურია. ამ ქვეყნებს შორის განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებზე ყურადღებას ამახილებენ უცხოეთის ქვეყნების მთავრობები, საერთაშორისო ორგანიზაციები, მასობრივი საინფორმაციო საშუალებები. დღეს, როდესაც კავკასია ისევ კონფლიქტურ ზონას წარმოადგენს, მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები კვლავ ინტერესით აკვირდებიან რეგიონში მიმდინარე პროცესებს და ხშირად დიდი წვლილი მიუძღვით კიდევ ამ ქვეყნების ურთიერთობების მოგვარებაში.

მე-19 საუკუნის ევროპული წყაროები რუსეთისა და კავკასიის ქვეყნების ურთიერთობების შესახებ მეტად მრავალფეროვანია. ამ საუკუნეში საკმაოდ გაიზარდა რეგიონში ევროპელთა რაოდენობა. ზოგიერთი მათგანი მოგზაური იყო, ზოგიერთი - რუსეთის იმპერიისა თუ სხვა ევროპულ სახელმწიფოთა ინტერესებს ემსახურებოდა.

მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კავკასიის თემას მე-19 საუკუნის რუსულ სამხედრო-მემუარულ ლიტერატურაში. ამ თემით დაინტერესება რუს ლიტერატორებსა და ისტორიკოსებში უფრო მეტად მე-19 საუკუნის 20-30-იან წლებიდან იზრდება. სამხედრო მემუარული ლიტერატურის ერთ-ერთი მიზანი იყო ეპოქის სულისკვეთების გამოსატყა და ამ თვალსაზრისითაც ინვესტაცია განსაკუთრებულ ინტერესს. ამ ნაწარმოებებში კავკასიური ღმის თემა საკმაოდ იდეოლოგიზირებული იყო, შესაბამისად, დაკავშირებული

Abstract

The issue of Caucasus is of a great importance in the European sources of the 19th century. Nowadays, the Caucasus is still the conflict zone that attracts attention of the world leading states that closely observe the ongoing processes in the region and often greatly contribute to settling relations between Caucasian countries. Hence, the policy towards XIX century Caucasus is a great interest of Russian Empire.

The aspiration of the epoch and developments in the Caucasus reflected in European sources considerably affected European society of that period and to some extent responded its questions - What is the Caucasus? Why does Russian wage war in the region? How does it interact with locals? and etc. The growth of interest in the Caucasus among European literary scholars and historians is detected mainly in the 19th century.

The genres and topics of the works analyzed vary, namely – stories, diaries, historic and ethnological essays. The authors also used military documents. That's why, the subjectivity in attitudes towards the events previously occurred and disrupted facts in these works are traced.

Comparing the 19th century European sources with the objective reality will highly contribute to the in-depth understanding of the specificity of the Caucasus - Russian relations. Thus, these sources are of utmost importance in evaluation of military, political, social, economic and cultural events during the formation of the Russian Empire, as well as the evaluation of the implemented reforms and historical figures. Therefore, the study of these issues acquires great importance.

იყო რუსეთში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან.

ნაწარმოებებში ასახული კავკასიაში მიმდინარე მოვლენები დიდ ზეგავლენას ახდენდა უცხოელებზე და მეტ-ნაკლებად პასუხობდა მათ კითხვებს - რა არის კავკასია, რატომ აწარმოებს რუსეთი ომს ამ რეგიონში და ა.შ. ამ მასალებიდან საზოგადოება ეცნობოდა კავკასიის ქვეყნების პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობას, რუსეთისა და სხვა ქვეყნების ინტერესებს კავკასიის მიმართ, რუსეთის იმპერიის კოლონიალური პოლიტიკის არსს, კავკასიელი ხალხის თავგანწირულ ბრძოლას რუსეთის და სხვა დამპყრობლების წინააღმდეგ, ხალხის ყოფა-ცხოვრებას და სხვ.

საკვანძო სიტყვები: რუსეთი და კავკასია, კონფლიქტური ზონა, სამხედრო მემორიული ლიტერატურა.

Keywords: Russian and Caucasus, Conflict Zone, Military Memoir Literature.

შესავალი

რუსეთისა და კავკასიის ქვეყნების ურთიერთობების კვლევა წინა საუკუნეებიდან დაიწყო მეტად აქტუალურია. ამ ქვეყნებს შორის განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებზე ყურადღებას ამახვილებენ უცხოეთის ქვეყნების მთავრობები, საერთაშორისო ორგანიზაციები, მასობრივი საინფორმაციო საშუალებები. დღეს, როდესაც კავკასია ისევ კონფლიქტურ ზონას წარმოადგენს, მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები კვლავ ინტერესით აკვირდებიან რეგიონში მიმდინარე პროცესებს და ხშირად დიდი წვლილი მიუძღვით კიდევ ამ ქვეყნების ურთიერთობების მოგვარებაში.

მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კავკასიის თემას მე-19 საუკუნის ევროპულ წყაროებში. ამ საუკუნეში საკმაოდ გაიზარდა რეგიონში ევროპელთა რაოდენობა. ზოგიერთი მათგანი მოგზაური იყო, ზოგიერთი - რუსეთის იმპერიისა თუ სხვა ევროპულ სახელმწიფოთა ინტერესებს ემსახურებოდა. მასალები შინაარსისა და მოცულობის მიხედვით მეტად მრავალფეროვანია, რომელიც რამდენიმე ჯგუფად შეგვიძლია დავყოთ: საგაზეთო კორესპონდენციები, სამეცნიერო და საცნობარო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნარკვევები, რუსეთის იმპერიის სამეცნიერო აკადემიაში მოღვაწე ევროპელი მეცნიერების შრომები, რუსეთის არმიაში მოღვაწე ევროპელების ნაშრომები, რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლი ევროპელების ნაშრომები და იმ ევროპელ მოგზაურთა ნაშრომები, რომლებიც არავის დაკვეთას არ ასრულებდნენ.

ნაწარმოებებში ასახული კავკასიაში მიმდინარე მოვლენები დიდ ზეგავლენას ახდენდა უცხოელებზე და მეტ-ნაკლებად პასუხობდა მათ კითხვებს - რა არის კავკასია, რატომ აწარმოებს რუსეთი ომს ამ რეგიონში და ა.შ. ამ

მასალებიდან საზოგადოება ეცნობოდა კავკასიის ქვეყნების პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობას, რუსეთისა და სხვა ქვეყნების ინტერესებს კავკასიის მიმართ, რუსეთის იმპერიის კოლონიალური პოლიტიკის არსს, კავკასიელი ხალხის თავგანწირულ ბრძოლას რუსეთის და სხვა დამპყრობლების წინააღმდეგ, ხალხის ყოფა-ცხოვრებას და სხვ.

ვეროპელი სამხედრო პირების, მოგზაურთა თუ მეცნიერთა (ი. კლაპროთი, მ. კოცებუ, ბ.იეგერი, ე. აიხვალდი, ფ. ბოდენშტედტი, გრაფი დე სუზანე, მ. ვაგნერი, თ. ჰორმელტი, თ. ლაპინსკი, ა. დიუმა, კ. ნოიმანი და სხვ.) ნაშრომებში საინტერესო ცნობებია შემორჩენილი კავკასიის მთავარმართებლებისა და მეფისნაცვლების (პ. ციციანოვი, ა. ერმოლოვი, ი. პასკევიჩი, გ. როზენი, ა. ნეიდჰარდტი, მ. ვორონცოვი და სხვ.) შესახებ, რომლებიც მე-19 საუკუნეში კავკასიის რეგიონში წარმატებით ატარებდნენ რუსეთის იმპერიის პოლიტიკურ კურსს. ავტორები აღწერენ ბრძოლების ისტორიებს, რუსი ოფიცრებისა თუ ჯარისკაცების ყოფის ამსახველ ეპიზოდებს, მათ ურთიერთობებს როგორც ერთმანეთთან, ასევე მკვიდრ მოსახლეობასთან, რუსული სამხედრო დასახლებებში მომხდარ ამბებს და სხვ.

სტატიამი მიმოვიხილავთ რამდენიმე ნაშრომს, რომელთა ავტორები განსხვავებულ თანამდებობრივ პოზიციებზე იმყოფებოდნენ და მათი ნაშრომები საუკუნის სხვადასხვა პერიოდში დაიწერა. პირველი ავტორი, მორის ფონ კოცებუ - რუსეთის იმპერიის ჩინოვნიკია, მეორე - ფრიდრიხ ფონ ბოდენშტედტი, მოგზაური და თავისუფალი ადამიანია, მესამე - თოდორ ჰორმელტი კი, კავკასიაში თავისი სურვილით ჩამოსული და რუსეთის ინტერესების დამცველია.

მნიშვნელოვან ინფორმაციებს რუსეთის კავკასიაში დამკვიდრების თაობაზე გვანვდის მორის ფონ კოცებუ (1789-1861), რომელიც 1817 წელს რუსეთის იმპერიის საელჩოს თანამშრომლებთან ერთად გაემგზავრა სპარსეთში. მისი ნაშრომი “მოგზაურობა სპარსეთში რუსეთის იმპერიის საელჩოსთან ერთად 1817 წელს” (კოცებუ, მ. 1819) დღიურის ფორმისაა, რომელშიც საკმაოდ დიდი ადგილი ეთმობა რუსეთის, კერძოდ, ა. ერმოლოვის მიერ წარმოებულ პოლიტიკურ კურსს.

ავტორი სხვადასხვა საკითხზე გამოთქმული მოსაზრებების შემდეგ სვამს ასეთ კითხვას: „შეეძლოთ თუ არა მათ (ქართველებს - დ.კ.) იმაზე უკეთესის ჩადენა, ვიდრე რუსეთის ხელისუფლების დაქვემდებარებაში გადასვლა იყო?“ (კოცებუ, 1819, გვ. 35) და საკმაოდ გადაჭარბებულ დასკვნასაც სთავაზობს მკითხველს: „მათ გააკეთეს ეს და არასოდეს უნანიათ. მიუხედავად ომისა, უბედურებისა, ჭირისა და შიდა არეულობებისა, რომელთა მიზეზიც ხარბი თურქები იყვნენ, დღეს ეს ქვეყანა იმაზე ბევრად უფრო მდიდარია, ვიდრე ოდესმე! საკუთრება დასუფილია, გადასახადები შეღავათიანი და კანონიერად გადანაწილებული; თავადიც ისევე ექვემდებარება კანონს, როგორც მისი გლეხი. ხალხი ლოცავს ალექსანდრეს!“ (კოცებუ, 1819, გვ. 35).

ავტორი ღირსეულ შეფასებას აძლევს გენერალ ალ. ერმოლოვის პიროვნებას და ღვანლს: „გენერალ ერმოლოვის დამსახურებაა დღევანდელი გამოსწორებული მდგომარეობა. მან ამ მოკლე დროში ააგო სახლები, ქუჩები მოკირწყლა, მოედნები გააშენა, რათა ვინრო, აყროლებული ქუჩებიდან ჰაერს გასასვლელი ჰქონოდა“ (კოცებუ, 1819, გვ. 36). მ. ფონ კოცებუ აღნიშნავს,

რომ გენერალი ერმოლოვი დიდ ყურადღებას აქცევდა ყველა სფეროს: თბილისის გაშენებას, მისი მოსახლეობისათვის ახალი წესების და ტრადიციების დამკვიდრებას; მას ეკუთვნის ყაზარმების აშენების იდეა ისეთ ადგილზე, სადაც წყლის წისქვილების მოწყობაც იქნებოდა შესაძლებელი, ხორბალიც იქვე დაიფუჭებოდა და იმპერიას ყოველწლიურად დიდი თანხები დაემოკვებოდა; გენერალმა დაამკვიდრა საქართველოს მეზობელ სახანოთა ხანებისაგან საჩუქრების მიღების წესი - ძღვენის ცხვრების სახით მიღება და ჯარის ნაწილებისათვის მათი საჩუქრად გადაცემა. შესაბამისად, რუსი ჯარისკაცები ყოველდღე მიერთმევენ ხორცს და ასევე მატყლსაც ყიდდნენ.

გერმანელი ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ყოველი მთავარმმართველი შეუზღუდავი ძალაუფლების მფლობელია. დიდი ადგილი ეთმობა ნაშრომში რუსეთის კოლონიალურ პოლიტიკას, კერძოდ, საქართველოში გერმანელი კოლონისტების ჩამოსახლების საკითხს. „მე ვიმედოვნებ, რომ ეს კოლონია ქართველების მორალზეც მოახდენს გავლენას, რაც ძალიან საჭიროა,“ (კოცებუ, 1819, გვ. 41) - ამბობს ავტორი, რომელიც თავისი თანამემამულეების უკეთესი მომავლის იმედითაა გამსჭვალული.

მ.ფონ კოცებუს ნაშრომიდან აშკარად ჩანს, რომ ის რუსეთის იმპერიის ღირსეული ოფიცერია, რომელიც უპირობოდ ასრულებს მის ნებისმიერ დავალებას არა მხოლოდ იარაღით, არამედ კალმითაც, ხოლო კავკასიელ ხალხს კი თანადგომისაკენ და მხარდაჭერისაკენ მოუწოდებს.

მე-19 საუკუნის 30-40-იან წლებში კავკასიის რეგიონის მიმართ ინტერესი უფრო ღვივდება ევროპაში; გამოიყენა უამრავი ნაშრომი კავკასიელი ხალხის რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, რომლებიც უმნიშვნელოვანეს ცნობებს შეიცავენ.

საინტერესოა ფრიდრიხ ფონ ბოდენშტედტის ნაშრომი - „კავკასიის ხალხები და მათი განმათავისუფლებელი ბრძოლა რუსების წინააღმდეგ“ (ბოდენშტედტი, 1855), რომელშიც მიმოხილულია რუსეთის კავკასიური პოლიტიკა, კერძოდ, ამ რეგიონის დაპყრობისათვის წარმოებული ბრძოლები. ავტორი ასევე გვანვდის ცნობებს ისტორიული პირების შესახებ, საქართველოში მოწყობილი აჯანყებების თაობაზე და სხვ.

ნაშრომის პირველი ტომში - კავკასია და მისი მცხოვრებლები, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება, მწერალი აშუქებს რუსეთისა და კავკასიის ხალხების ურთიერთობას. გერმანელი ავტორი აღნიშნავს, რომ კავკასიის იცნობს ი.ა. გულდენშტედტის, ი. ფონ კლაპროთის, ე. აიხვალდის, კ. ნოიმანისა და სხვათა შრომების მიხედვით.

ფრ. ფონ ბოდენშტედტი მიმოხილავს საქართველოს წარსულს, კერძოდ, ქართლ-კახეთის სამეფოს ურთიერთობას რუსეთთან: „ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთს შეუერთდა ყველაზე სუსტი მეფის, გიორგი XII-ის დროს. ერეკლე II-ის შვილი, ალექსანდრე კი, შემდგომშიც განაგრძობდა ბრძოლას სამეფო ტახტის ხელში ჩასაგდებად. ის მიემხრო ომარ-ხან ავარიელს, რომელიც 1800 წლის შემოდგომაზე შემოიჭრა საქართველოში. გენერალმა ლაზარევმა, რომელიც მეთაურობდა ახლადჩამოსული არმიის დიდ პოლკს, მდინარე ივრის ნაპირზე ბრძოლაში დაამარცხა მთის მცხოვრებლები და ეს გახდა საფუძველი იმისა,

რომ ცოტა ხნის შემდეგ საქართველო რუსეთს შეუერთდა. შემდგომშიც არაერთხელ იყო ალექსანდრეს მხრივ საქართველოდან რუსების გაძევების მცდელობა იმ ხალხის მხარდაჭერით, რომელთაც რუსეთის მმართველობა სძულდათ. ჩრდილოეთის კოლოსის წინააღმდეგ ქართველმა არისტოკრატებმა 1832 წელს მოაწყო შეთქმულება, მაგრამ იგი ჩანასახშივე იქნა ჩახშობილი; ხელმძღვანელები ცნობილი ქართველი თავადთა ოჯახების - ჭავჭავაძეების, ერისთავების, ანდრონიკოვების, ჩალეკაელების - შთამომავლები იყვნენ. ისინი სასტიკად დასაჯეს. რუსების მიერ გატარებულმა მკაცრმა ღონისძიებებმა ქართველებს ახალი აჯანყების მოწყობის სურვილი ჩაუკლა“ (ბოდენშტედტი, 1855, გვ. 144 -146).

ფრ. ფონ ბოდენშტედტი ეხება დასავლეთ საქართველოში მომხდარ აჯანყებას, რომელსაც სამართლიან შეფასებას აძლევს: „1820 წელს იმერლები აჯანყდნენ რუსეთის მმართველობის წინააღმდეგ. რუსებმა დიდი ძალა დაუპირისპირეს და ბევრი სისხლი დაიღვარა, რათა ისევ სიმშვიდე დაემყარებინათ. ამის შემდეგ აჯანყების უკანასკნელი ნაპერწკალიც ჩაქრა იმერეთში. სასტიკმა ღონისძიებებმა, შიმშილობამ და სიღარიბემ სულ უფრო და უფრო აქცია ხალხი რუსების უუფლებო მონებად“ (ბოდენშტედტი, 1855, გვ. 259).

მეორე ტომში, რომელიც მთლიანად ეძღვნება აღმოსავლეთ კავკასიის ხალხის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას, გადმოცემულია მიურიდიზმის ისტორია და რუსეთის წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლა 1854 წლამდე (Исаев, 1996, с. 4). ავტორი აღნიშნავს, რომ კავკასიელი მთიელების ბრძოლა ახალ ფაზაში შევიდა, მან ჭეშმარიტად ისტორიული მნიშვნელობა მოიპოვა.

მიუხედავად დაკვირვებულობისა, ფრიდრიხ ფონ ბოდენშტედტსაც აქვს თავის ნაშრომებში ტენდენციური და არასწორი ფაქტები მოყვანილი, მაგრამ მის მიერ დატოვებულ ცნობებს კავკასიის ქვეყნების განმათავისუფლებელი ბრძოლის შესახებ უდავოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მან ევროპას გააცნო კავკასიელი მებრძოლი ხალხი, რომელიც ვერ ეგუებოდა რუსეთის რეჟიმს და დანებებას ბრძოლის გარეშე არ აპირებდა.

მე-19 საუკუნის 50-60-იანი წლების კავკასიის ისტორიის შესწავლისათვის მნიშვნელოვანი წყაროა მიუნხენში გამოცემული წიგნი „თეოდორ ჰორშელტი, ცხოვრება და შემოქმედება. ესპანეთი, ალჟირი, კავკასია“ (Horschelt, 1880). გერმანელი მხატვარი - თეოდორ ჰორშელტი, რომელიც რუსებთან ერთად მონაწილეობდა კავკასიის მთიელების წინააღმდეგ წარმოებულ მრავალრიცხოვან სამხედრო ექსპედიციებში, დანვრილებით აღწერს ლეკების, ჩეჩნებისა და ჩერქეზების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებს.

თეოდორ ჰორშელტის ჩანაწერები კავკასიის შესახებ სათანადოდ არაა შესწავლილი. გამოქვეყნებულ ნაშრომებში (Абдулаева, 2007) ყურადღება გამახვილებულია, მისი, როგორც მხატვრის შემოქმედებაზე.

წიგნის მეორე და მესამე თავებში - „კავკასია“ - ვეცნობით გერმანელი მხატვრის მონათხრობსა და კავკასიიდან გერმანიაში გაგზავნილ წერილებს. ის დეტალურად აღწერს მოგზაურობის მარშრუტებს, ბუნებას, დასახლებულ

პუნქტებს, ადამიანებს, ბრძოლის ეპიზოდებს, გენერლებსა და სხვა სამხედრო პირებთან შეხვედრებს და ა.შ. მხატვარი ასევე საუბრობს კაზაკების სიმამაცესა და მოქნილობაზე.

1859 წლის 2 იანვარს ის თბილისიდან ჩეჩნეთში გენერალ ვედოკიმოვის სამხედრო შენაერთისაკენ გაემართა. თ. ჰორშელტი გენერალ ვედოკიმოვს, როგორც ძალიან განათლებულ და ჭკვიან პიროვნებას ახასიათებს; მან ჯარების წინსვლის სხვა სისტემა შეიმუშავა: ჯარები ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწვედნენ წინ, გარშემო ტყეებს ჩეხავდნენ, ციხე-სიმაგრეებს ამენებდნენ და გზები გაყავდათ.

თ. ჰორშელტი აღწერს რუსის ჯარის გადაადგილებას, მათ მიერ ზარბაზნებისა და იარაღის წვალეებით გადატანას, შამილის მომხრეების მხრიდან გამაგრებული პუნქტებიდან არსებულ საშიშროებას, საიდანაც რუსებს ესვრიან და მიახლოების საშუალებას არ აძლევენ. ავტორი აღწერს რუსების ქმედებებს, ჯარისკაცების მიერ აულების გადანვის და საქონლის წამოყვანის ეპიზოდებს; აულების აღებისას მხატვარი დანვრილებით აღწერს საბრძოლო მოქმედებებს, შემდეგ სოფლების ძარცვას. იგი შენიშნავს, რომ აღებული სოფლების ძალღებები მაშინვე რუსი ჯარისკაცების ერთგულები და თათრების დაუძინებელი მტრები ხდებიან, რასაც იმით ხსნის, რომ მაჰმადიანები ძალღებს, როგორც უწმინდურ ცხოველებს, არასოდეს ჰკიდებენ ხელს, ხოლო ჯარისკაცები მათ ვეროპული მანერით ეფერებიან და ხელს უსვამენ.

თ. ჰორშელტი კმაყოფილებას გამოთქვამს კავკასიაში თავის ვიზიტთან დაკავშირებით. ის აღფრთოვანებულია, რომ ჯერ კიდევ ნამდვილი ომის ნახვის შესაძლებლობა მიეცა. „ჩეჩნეთისა და დაღესტნის დამპყრობი“ - ასე შეგვიძლია ვუწოდოთ გერმანიიდან 1858 წელს კავკასიელი ხალხის წინააღმდეგ საბრძოლველად ჩამოსულ ახალგაზრდა მხატვარს - თეოდორ ჰორშელტს, რომლის ჩანაწერებსა თუ ნახატებში უდიდესი ადგილი კავკასიური ომის მასალას უკავია. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მან კავკასიაში ნანახი და განცდილი თავის ნაშრომში აღწერა და მხატვრობის ბრწყინვალე ნიმუშები შექმნა, რომლებიც ამ რეგიონის ისტორიის შესწავლისათვის უმნიშვნელოვანეს პირველწყაროებს წარმოადგენენ.

ევროპელების ასეთი ყურადღება იმდროინდელი კავკასიისადმი შემთხვევითი არ იყო. ხშირად კავკასიაში წარმოებულ ბრძოლებში მონაწილე ევროპელები თავის მოვონებებში სრულიად სამართლიანად წერდნენ, რომ რუსეთის გეგმები რეგიონის მიმართ რეალობას მოკლებული იყო. კავკასიის დაპყრობის პროექტები რუსეთის სამხედრო სამინისტროს კანცელარიაში გენერალური შტაბის უცოდინარი ოფიცრების მიერ მუშავდებოდა, რომლებიც გავლით იყვნენ კავკასიაში, მთავარსარდლები კი ბრმად ასრულებდნენ პეტერბურგის დაკვეთას.

ევროპულ წყაროებს ისტორიული მოვლენების მეტ-ნაკლები სიზუსტე ახასიათებთ, თუმცა მათი მნიშვნელობა მეტად საყურადღებოა. თითოეული მათგანი კავკასიელი ხალხის მიმართ ევროპელთა ინტერესის საბუთს წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა

Bodenstädt Fr, (1855). Die Völker des Kaukasus und ihre Freiheitskämpfe gegen die Russen. Berlin.

Horschelt Th, (1880). Sein Leben und seine Werke. Spanien, Aljier, Kaukasus. Hrsgb. von Joseph Albert. München.

Kotzebue von M, (1819). Reise nach Persien mit Russisch kais. Gesandtschaft im Jahre 1817. Weimar.

Абдулаева З, (2007). Кавказ глазами именитого немецкого художника Теодора Горшельта. ГУП “Книжное издательство”. Грозный.

Исаев М, (1996). Боденштедт Фр.,. Народы Кавказа и их освободительные войны против Русских. Библиотека фонда Шамиля: Зарубежные авторы XIX века о народно-освободительной войне народов дагестана и северного Кавказа. Махачкала.

თურქეთის 2016 წლის ივლისის მოვლენები და ქართული მედია

The Events of July 2016 in Turkey and the Georgian Media

ემზარ მაკარაძე

პროფ. დოქტ. ბათუმის შოთა რუსთაველის

სახელმწიფო უნივერსიტეტის

ელ-ფოსტა: makaradze@hotmail.com

აბსტრაქტი

2016 წლის ივლისში, ჩვენს მეზობელ თურქეთში განვითარებულმა მოვლენებმა მთელი მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო. ბუნებრივია, არ შეიძლება ეს მოვლენები, პირველ რიგში, საქართველოსთვის არ იყოს მნიშვნელოვანი.

თურქეთში გადატრიალების მცდელობის შემდეგ განვითარებულ მოვლენებს მაშინვე გამოეხმაურა ქართული მედია. დაიბეჭდა და გაშუქდა ბევრი მსგავსი თემატიკის მსახურად. ჩვენ გულდასმით გავეცანით ყველა მასალას და ამ ეტაპზე მხოლოდ ვაზი გავაჩვენებთ და ნეტგაზეთ.ჯე-ში გამოქვეყნებულ ორ სტატიას (1. ფეთჰულაჰ გიულენი: „იმ შემთხვევაში, თუკი დამტკიცდა ჩემი წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებები. მზად ვარ, თურქეთში დაებრუნდე“. გაზეთი, „რეზონანსი“. 22 აგვისტო, 2016, გვ. 9; 2. ლუკა პერტია, ვინ არის ფეთჰულაჰ გიულენი? – მოძრაობა „პიზმეთი“ და დაპირისპირება ერდოღანთან. netgazeti.ge 17.08.2016. <http://netgazeti.ge/news/134831/>) შევარჩევთ თქვენს ყურადღებას, სადაც დაწვრილებითაა საუბარი შემდეგ საკითხებზე:

1. ვინ არის ფეთჰულაჰ გიულენი;
2. რას წარმოადგენს მოძრაობა „პიზმეთი“;
3. რ. ტ. ერდოღანისა და ფ. გიულენის დაპირისპირება და სხვა.

აღნიშნული საკითხის ანალიზი აუცილებლად იქონიებს გავლენას ჩვენზეც, ამიტომ საჭიროა გვეჩვენოს წარმოდგენა იმ პროცესებზე, რომლებიც თანამედროვე თურქეთში ხდება.

Abstract

In July 2016, the events taking place in our neighboring country of the Republic of Turkey attracted the worldwide attention. Naturally, the events are quite significant, first and foremost, for Georgia.

The events happening in Turkey were well-reflected and covered by the Georgian media where special attention was drawn to the aftermath of the attempt of coup d'état in Turkey. In this connection, the main focus of interest was on the following issues:

1. Who is Fethullah Gülen?
2. What does the movement “Hizmet” represent?
3. Georgia and the Confrontation of R. T. Erdogan and F. Gülen, etc. I would like to single out the article published in netgazeti.ge – **Who Is Fethullah Gülen? – The Movement “Hizmet” and Confrontation with Erdogan.**

The analysis of the stated issue will undoubtedly make an influence on our country. Therefore, it is necessary to have certain understanding of the processes taking place in modern Turkey.

The unrest started in Turkey will not pass without leaving a trace. It is rather difficult to make exact prognosis but it is still possible to express suppositions and conclusions. First and foremost, it should be noted that, as it becomes clear, the Europeanized part of the Turkish population is quite numerous and would not concede the Laïcité Principle easily. At the same time, it has been observed that the part of the Turkish society with western mentality, especially the youth, with their requirements and outlook hold the platform of high European standard of democracy and human rights.

თურქეთში 2016 წლის ივლისში სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში ოფიციალური ანკარა ყოფილ იმამს, ფეჰულაჰ გიულენს ადანაშაულებს, თუმცა პენსილვანიაში მცხოვრები რელიგიური ლიდერი აჯანყებასთან რაიმე სახის კავშირს კატეგორიულად უარყოფს. ვინ არის ფეჰულაჰ გიულენი, რას წარმოადგენს მისი მოძრაობა „ჰიზმეთი“ და რა ურთიერთობა აქვს პრეზიდენტ ერდოღანთან? თურქეთის მომავალი მხოლოდ და მხოლოდ დემოკრატიის კულტურის კიდევ უფრო გავრცელებასა და ხელისუფლების მიერ ხალხისადმი ანგარიშვალდებულების პრინციპებზე გადის. არც სამხედრო გადატრიალება და არც ავტორიტარული პოლიტიკური მმართველობა არ არის ის ხაზი, რომელსაც უნდა მიჰყვეს რესპუბლიკური თურქეთი.

საკვანძო სიტყვები: თურქეთი, საქართველო, მედია.

The future of Turkey is only further deepening of democratic culture and the principles of the government's accountability to the people. Neither the coup nor the authoritarian political governance is the line to be followed by republican Turkey.

Keywords: Turkey, Georgia, Media.

შესავალი

2016 წლის ივლისში, ჩვენს მეზობელ თურქეთში განვითარებულმა მოვლენებმა მთელი მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო. ბუნებრივია, არ შეიძლება ეს მოვლენები, პირველ რიგში, საქართველოსთვის არ იყოს მნიშვნელოვანი.

თურქეთში გადატრიალების მცდელობის შემდეგ განვითარებულ მოვლენებს მაშინვე გამოეხმაურა ქართული მედია. დაიბეჭდა და გაშუქდა ბევრი მსგავსი თუ განსხვავებული მოსაზრება. ჩვენ გულდასმით გავეცანით ყველა მასალას და ამ ეტაპზე მხოლოდ გაზეთ რეზონანსსა და ნეტგაზეთს. ჯე - ში გამოქვეყნებულ ორ სტატიაზე (1. ფეთჰულაჰ გიულენი: „იმ შემთხვევაში, თუკი დამტკიცდა ჩემ წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებები. მზად ვარ, თურქეთში დავბრუნდე“. გაზეთი, „რეზონანსი“. 22 აგვისტო, 2016, გვ. 9; 2. ლუკა პერთია, ვინ არის ფეთჰულაჰ გიულენი? – მოძრაობა „ჰიზმეთი“ და დაპირისპირება ერდოღანთან. netgazeti.ge 17.08.2016. <http://netgazeti.ge/news/134831/>) შევაჩერებთ თქვენს ყურადღებას, სადაც დანვრილებითაა საუბარი შემდეგ საკითხებზე:

1. ვინ არის ფეთჰულაჰ გიულენი;
2. რას წარმოადგენს მოძრაობა „ჰიზმეთი“;
3. რ. ტ. ერდოღანისა და ფ. გიულენის დაპირისპირება და სხვა.

აღნიშნული საკითხის ანალიზი აუცილებლად იქონიებს გავლენას ჩვენზეც, ამიტომ საჭიროა გვეჩინდეს წარმოდგენა იმ პროცესებზე, რომლებიც თანამედროვე თურქეთში ხდება.

თურქეთში 2016 წლის ივლისში სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში ოფიციალური ანკარა ყოფილ იმამს, ფეჰულაჰ გიულენს ადანამულებს, თუმცა პენსილვანიაში მცხოვრები რელიგიური ლიდერი აჯანყებასთან რაიმე სახის კავშირს კატეგორიულად უარყოფს. ვინ არის ფეტულაჰ გიულენი, რას წარმოადგენს მისი მოძრაობა „ჰიზმეთი“ და რა ურთიერთობა აქვს პრეზიდენტ ერდოღანთან? **(პერტია, 17.08.2016).**

გიულენი თავისი შეხედულებებითა და მოსაზრებით მხარს უჭერს თურქეთში დემოკრატიზაციისა და ლაიციზმის **(ლაიციზმი (Laiklik - წარმოდგება ფრანგული სიტყვიდან „laïcité“, რაც ნიშნავს საერო ხასიათს. იგი გულისხმობს რელიგიის გამოყოფას სახელმწიფოსაგან) (მაკარაძე, 2016: 8)** პრინციპებს, რომელსაც, მისი აზრით, ალტერნატივა არ აქვს. სეკულარული - საერო მიდგომა, რომელიც არ არის ანტირელიგიური და რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებაზე დამყარებული, რელიგიას არ ეწინააღმდეგება.

გიულენის რელიგიურ განათლებაზე ღიდი გავლენა მოახდინა ეთნიკურად ქურთი თეოლოგის საიდ ნურსის (1877-1960) იდეებმა, რომელიც ისლამის სუნიტურ მიმართულებას ქადაგებდა. ის „რელიგიისა და მეცნიერების ჰარმონიული თანაარსებობის“ მომხრე იყო და სჯეროდა, რომ „ლოგიკა და თანამედროვე მეცნიერება“ იყო ქვეყნის განვითარების გზა. მისი აზრით, სეკულარულ, საერო სკოლებში რელიგია უნდა ესწავლებინათ, რელიგიურ სკოლებში კი – თანამედროვე მეცნიერებანი.

სტატიიდან ვგებულობთ, რომ გიულენისა და „ჰიზმეთს“ **(რაც მასხურებს ნიშნავს),** რომელსაც მილიონობით მიმდევარი ჰყავს, თურქეთსა და საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში, მოძრაობის უმთავრესი მახასიათებელი პოლიტიკური ამბიციების არქონა და ისეთი საკითხების მოგვარების მცდელობაა, რომლებიც საფრთხეს უქმნიან საზოგადოებათა ჰარმონიულ განვითარებას. იმ პირობებში, როდესაც ისლამური სახელმწიფოების უმრავლესობაში მძვინვარებს ტერორიზმი და რადიკალიზმი, რასაც მრავალი ადამიანის სიცოცხლე ეწირება, „ჰიზმეთის“ მოძრაობა ცდილობს აღზარდოს თაობები, რომელთათვისაც უმთავრესი იქნება განათლება და დიალოგი, როგორც ცხოვრების ძირითადი პრინციპები **(რეზონანსი, 22.08.2016).**

ამ საკითხთან დაკავშირებით, გიულენი დასძენს, „მე ყოველთვის ვაცნობიერებდი იმ ფაქტს, რომ ისლამური სამყაროს მთავარი პრობლემა იყო გაუნათლებლობა, რადიკალიზმი და სოციალური უთანასწორობა და ამიტომაც ჩემს მიმდევრებს გამუდმებით შთავაგონებდი იმას, რომ მთავარია არა მეჩრეთებისა და ყურანის კურსების აგება და დაარსება, არამედ სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების გახსნა და განათლების ფართო მასებში შეტანა **(რეზონანსი, 22.08.2016).**

გიულენის მიერ ინტერპრეტირებული ისლამი, რომელიც სუფიზმის ტრადიციითაა ნაკარნახევი, ხშირად მოხსენიებულია, „**როგორც ყველაზე მისაღები ისლამური მოდელი მსოფლიოში**“. გიულენს დადებითი დამოკიდებულება აქვს

ქრისტიანებისა და იუდეველების მიმართ და გმობს ანტისემიტიზმს. სხვადასხვა დროს ის პერსონალურად შეხვედრია რომის პაპს, იოანე - პავლე II-ს, კონსტანტინოპოლის (მსოფლიო) მართლმადიდებელ პატრიარქ ბართლომეს და ისრაელის რაბინ ელიაჰუ ბაქში-დორონს.

პრესაში, აგრეთვე, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა - პრეზიდენტ ერდოღანისა და გიულენის თანამშრომლობას. 1999 წელს ფეთქულაჰ გიულენი სამკურნალოდ აშშ-ში წავიდა.

2000 წელს თურქეთში მის წინააღმდეგ საქმე აღიძრა – გიულენი დაუსწრებლად დაადანაშაულეს თურქეთის კონსტიტუციური წესრიგის დარღვევის მცდელობასა და ისლამურ ღირებულებებზე მდგარი სახელმწიფოს შექმნის დაგეგმვაში.

გიულენი აღნიშნულ საქმეში 2000 წელს გაამართლეს, რის შემდეგაც ბრალდების მხარემ სასამართლოს ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა, თუმცა, უშედეგოდ – 2008 წელს ერდოღანის ხელისუფლების პირობებში, თურქეთის უზენაესმა სასამართლომ ეს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა და გიულენს ყველა ბრალდება მოეხსნა.

ერდოღანი გიულენთან წლების განმავლობაში იყო დაახლოებული. მიუხედავად იმისა, რომ თვითონ პოლიტიკური პარტიის წევრი არასოდეს ყოფილა, გიულენი მხარს უჭერდა სამართლიანობისა და განვითარების პარტიას (AKP), ის დაეხმარა AKP-ის ძალების მობილიზებაში პარტიის შექმნისას და 2002 წელს, ხელისუფლებაში მოსვლისას. საინტერესოა ისიც, რომ „ჰიზმეთის“ და AKP-ის მხარდამჭერები ანატოლიის (მცირე აზიის) დაბალი და საშუალო კლასებიდან იყვნენ.

სტატიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმ საკითხს, თუ რამ გამოიწვია დაპირისპირება ერდოღანსა და გიულენს შორის.

აშშ-ში 17-წლიანი ცხოვრების განმავლობაში გიულენმა მოახერხა, გაემართა საგანმანათლებლო დაწესებულებების, უნივერსიტეტების, ბიზნეს-კონგლომერატების, საფინანსო და მედიაკორპორაციების საერთაშორისო გაერთიანება. მას 50-მდე წიგნი აქვს თურქულ ენაზე დაწერილი, რომლებიც მრავალ ენაზე ითარგმნა, ხოლო მისი და „ჰიზმეთის“ მხარდამჭერების მიერ გახსნილი სკოლები 180-მდე ქვეყანაში ფუნქციონირებს.

საერთო ინტერესების მიუხედავად, გიულენსა და ერდოღანს განსხვავებული პოლიტიკური და იდეოლოგიური შეხედულებები გააჩნდათ.

2011 წლის არჩევნების შემდეგ „ჰიზმეთის“ მხარდამჭერებმა იმედგაცრუება იგრძნეს, რადგან ერდოღანის მიერ უფრო აგრესიული პოლიტიკური ისლამის დღის წესრიგში დაყენების ფონზე, იგი რეზისტენტული გახდა და მოკავშირეები აღარ სჭირდებოდა.

დაპირისპირება გიულენის მომხრეებსა და „სამართლიანობისა და განვითარების“ პარტიას შორის გამწვავდა 2013 წელს, როდესაც გიულენმა ერდოღანი გააკრიტიკა სტამბოლში, გეზის პარკში, პოლიციის მიერ **მშვიდობიანი საპროტესტო აქციის დარბევის გამო**.

2013 წლის დეკემბერში, თურქეთში კორუფციული სკანდალის შედეგად ერდოღანთან დაკავშირებული პოლიციის თანამშრომლები და ბიზნესმენები,

ასევე, AKP-სთან დაკავშირებული მაღალჩინოსნები დააკავეს. მაშინ ერდოღანმა განაცხადა, რომ ამ გზით გიულენი და მისი მომხრეები ცდილობდნენ მთავრობის დამხობას.

მიუხედავად გიულენის ორგანიზაციის დეკლარირებული აპოლიტიკური ბუნებისა, ანალიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ ერდოღანის მხარდამჭერების კორუფციასთან დაკავშირებული დაკავებები გიულენსა და ერდოღანს შორის მზარდი პოლიტიკური დაპირისპირების ნიშანი იყო: სწორედ ამ მოვლენების შემდეგ იმეორებს ერდოღანი ხშირად, რომ გიულენი „**პარალელური სახელმწიფოს**“ მართავს თურქეთის რესპუბლიკაში და მას ღიად უპირისპირდება.

სტატიამი ავტორი სვამს კითხვას - გიულენის შესაძლო კავშირზე თურქეთში გადატრიალების მცდელობასთან დაკავშირებით და მოჰყავს მისივე სიტყვები. „თუკი იმ პირთა შორის, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს სამხედრო გადატრიალების მცდელობაში და საკუთარ თავს თვლიან ჩემი იდეოლოგიის მიმდევრებად, მე ვთვლი, რომ მათ აშკარად ვერ გაიგეს ჩემი მოძღვრების არსი და უღალატეს მის პრინციპებს, რომლებსაც მე მთელი ჩემი ცხოვრება მტკიცედ ვიცავ. მათმა ქმედებებმა ასე ათასობით ადამიანს უღიღესი უბედურება მოუტანა (რეზონანსი, 22.08.2016).

შეიარაღებულ ძალებში მომსახურე ის ნაწილი, რომელიც ერთდროულად სამხედრო გადატრიალების მომხრეა და ამავე დროს გააჩნია სიმპათიები ჰიზმეთის მოძრაობის მიმართ (რასაც მე გამოვრიცხავ), არ შეიძლება გაიგვიღეს მთელ მოძრაობასთან. მათ ქმედებებს უზენაესი განსჯის.

ყველა ინდივიდი, ჩემი ჩათვლით, თანასწორია კანონის უზენაესობის პრინციპის წინაშე. ის პირები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში, უნდა იყვნენ დასჯილი კანონის მთელი სიმკაცრით. მე ვემხრობი საერთაშორისო კომისიის შექმნას, რომლის გადამწყვეტილებასაც სრულად გავიზიარებ და დავეთანხმები. მე ვთავაზობ თურქეთის ამჟამინდელ ხელისუფლებას თანამშრომლობას პროცესის ობიექტურად გამოძიებაში. მე მოვითხოვ შეიქმნას საერთაშორისო კომისია, რომელიც ობიექტურად გამოიძიებს სახელმწიფო გადატრიალების ყველა დეტალს. იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ჩემდამი წაყენებული ბრალდებების მეთაფიც დამტკიცდება, მე მზად ვარ დავბრუნდე თურქეთში და პასუხი ვავო კანონის სრული სიმკაცრით-აღნიშნავს გიულენი (რეზონანსი, 22.08.2016).

სტატიამი განსაკუთრებით საყურადღებოა ერთი აბზაცი, სადაც გიულენი განმარტავს, რომ „ერდოღანი, რომელიც 2013 წლის მაისში ჩემთან შესაძლებელ შეხვედრას აფასებდა როგორც „**ციდან მოვლენილ დიდ წყალობას**“, კორუფციის სკანდალის შემდეგ კი ჩვენ მიმართ ისეთ ტერმინებს იყენებდა, როგორცაა: „სისხლის მსმელი ვამპირები“, „ვირუსები, კიბოს უკრედეები“ და სხვა (რეზონანსი, 22.08.2016).

თურქეთში 15 ივლისის ღამით დაწყებულ ამბოხებას 271 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. გადატრიალების მცდელობის შემდეგ თურქეთის სამართალდამცველებმა 37 500 საჯარო მოხელე და პოლიციის ოფიცერი დაითხოვეს სამსახურიდან, 21 000 მასწავლებელს შეუჩერეს ლიცენზია და 13 000-ზე მეტი ადამიანი დააკავეს. ფეთქულაჰ გიულენი, რომელიც ამჟამად

კვლავ პენსილვანიაში ცხოვრობს, თურქეთში სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის ორგანიზებაში პუტჩის ღამესვე დაადანაშაულა ოფიციალურმა ანკარამ. გულენსა და ერდოღანს შორის პაექრობა ამ ეტაპზე არმიასა და პოლიციაში გიულენის მომხრეების წმენდით დასრულდა – იმ ასი ათასობით ადამიანების გათავისუფლებით, რომლებიც მთავრობამ გიულენის მხარდამჭერად მიიჩნია.

თურქეთის მომავალი მხოლოდ და მხოლოდ დემოკრატიის კულტურის კიდევ უფრო გაღრმავებასა და ხელისუფლების მიერ ხალხისადმი ანგარიშვალდებულების პრინციპებზე გადის. არც სამხედრო გადატრიალება და არც ავტორიტარული პოლიტიკური მმართველობა არ არის ის ხაზი, რომელსაც უნდა მიჰყვეს რესპუბლიკური თურქეთი.

გამოყენებული ლიტერატურა

ე.მაკარაძე, თურქეთის საშინაო პოლიტიკა 2000-2015 წლებში, თბილისი, 2016.

ფეთჰულაჰ გიულენი: „იმ შემთხვევაში, თუკი დამტკიცდა ჩემ წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებები. მზად ვარ თურქეთში დავბრუნდე“. გაზეთი, „რეზონანსი“, 22 აგვისტო, 2016.

ლუკა პერტია, ვინ არის ფეთულაჰ გიულენი? – მოძრაობა „ჰიზმეთი“ და დაპირისპირება ერდოღანთან. netgazeti.ge 17.08.2016. <http://netgazeti.ge/news/134831/>.

რელიგიური დაპირისპირებები საქართველოში

Religious Contradictions in the Post-Soviet Georgia

ივანე წერეთელი

ასოც. პროფ. ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ელ-ფოსტა: vanotsereteli@gmail.com

აბსტრაქტი

პოსტსაბჭოთა საქართველოში, როდესაც თითქოს იდენტობის კრიზისის ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევები დაიძლია და ქვეყანა დასავლური განვითარების გზას დაადგა, 2010 წლიდან თავი იჩინა რელიგიურმა დაპირისპირებებმა.

ნაშრომის მიზანია აჩვენოს, რამ განაპირობა, როგორ წარიმართა და რა გამოხმაურება მოყვა მუსლიმ და მართლმადიდებელ ქართველთა შორის 2010–2016 წლებში მომხდარ დაპირისპირებებს. მიგვაჩნია, რომ წინააღმდეგობების გაჩენის ერთ-ერთი წინაპირობა საქართველოში 1989 წელს მომხდარი ეკოლოგიური კატასტროფა გახდა, რის გამოც აჭარის მოსახლეობის დიდი ნაწილი ეკომიგრანტად იქცა. გადასახლებულთა უმრავლესობა მუსლიმი ქართველები იყვნენ. მათი განსახლება მართლმადიდებელი ქართველებით დასახლებულ რეგიონებში განხორციელდა. რელიგიური იდენტობის გააქტიურებასთან ერთად, თვადაპირველი მშვიდობიანი თანაარსებობა რეგულარულ დაპირისპირებებში გადაიზარდა. საინტერესოდ მიგვაჩნია შექმნილი პრობლემების განალიზება, მიზეზების დადგენა და ნახვა იმისა, თუ რამ გამოიწვია ეთნიკურ ქართველთა ერთი ჯგუფის მიერ მეორე ჯგუფის სხვად აღქმა რელიგიური განსხვავებულობის საფუძველზე.

საკვანძო სიტყვები: იდენტობა, რელიგია, მართლმადიდებელი, მუსლიმი, პოსტ-საბჭოთა.

Abstract

In Georgia, where the most crucial challenges caused by the post-Soviet identity crisis were supposedly overcome and the country turned on the democratic way, since 2010 religious contradictions were appeared. The paper aims to present the reasons, development and attitudes towards contradictions between Orthodox and Muslim Georgians in 2010-2016. It might be said that one of the preconditions for emergence of the resistance was ecological catastrophe in Western Georgian in 1989. Due to the occasion important part of Adzharia became eco migrant. Major part of the migrants was the Georgian Muslims. They were resettled on the territory mostly resided by the Orthodox Georgians. Parallel to the reinforcement of religious identity, initial peaceful coexistence was transformed into the regular controversies.

It is interesting to analyze recent problems and explore the reasons why one group of the ethnic Georgians perceived another group as “others” on the base of religious differences.

Keywords: Identity, Religions, Orthodox, Muslims, Postsoviet.

შესავალი

ნაშრომის მიზანია აჩვენოს, როგორ წარიმართა და რა გამოხმაურება მოყვა საზოგადოებაში მუსლიმ და მართლმადიდებელ ქართველთა შორის 2010–2016 წლებში მომხდარ დაპირისპირებებს. წინამდებარე ნაშრომში განვიხილავთ ერთ–ერთ მაგალითს - ლანჩხუთის რაიონ სოფელ ნიგვზიანში მცხოვრებ მუსლიმ და ქრისტიან ქართველებს შორის წარმოქმნილ კონფლიქტს. ეს გახლავთ მუსლიმი და ქრისტიანი ქართველების პირველი დაპირისპირება. საინტერესოა, გაცხადებული სეკულარიზმის პირობებში რამ განაპირობა რელიგიური განსხვავებულობის საფუძველზე ეთნიკურ ქართველთა ერთი ჯგუფის მიერ მეორე ჯგუფის სხვად აღქმა და დაპირისპირება.

აჭარელი და გურული მოსახლეობა ერთად მშვიდობიანად და კეთილმეზობლურად ცხოვრობდა მანამ, სანამ 2010 წელს მუსლიმთა საქმომ, შემოწირულობების მეშვეობით ნიგვზიანში სახლი შეიძინა და მეორე სართულზე სამლოცველო განათავსა. ვითარება სწორედ ამ სამლოცველოს გამო დაიძაბა. ორი წლის მანძილზე მოსახლეობა მოლაპარაკებებს აწარმოებდა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, სამუთოს, აჭარის მთავრობასა და საპატრიარქოსთან. მოლაპარაკებების შედეგად, ორი წლის თავზე ნიგვზიანში მოსახლე მუსლიმებმა ლოცვის უფლება მიიღეს. პირველად 2012 წლის 26 ოქტომბერს ბაირამის დღესასწაულზე შეიკრიბნენ. როდესაც მომლოცველებმა შესაბამისი მსახურება ჩაატარეს და კუთვნილ მანქანებში სხდებოდნენ, 150-მდე თანასოფელელმა გზა გადაუკეტა, სამლოცველოს გაუქმებისა და ლოცვის შეწყვეტისაკენ მოუწოდა. გაღიზიანება მუსლიმ მლოცველთა სიმრავლემ გამოიწვია, რომელნიც სპეციალურად დღესასწაულისათვის სხვადასხვა სოფლებიდან ჩამოვიდნენ. მოსახლეობა ერთმანეთს დაუპირისპირდა¹.

დაპირისპირების შესახებ სრული სურათის შექმნის მიზნით აუცილებელია საზოგადოებაში ჩამოყალიბებული დამოკიდებულების შესწავლა და განალიზება. პირველ რიგში გაგაცნობთ ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულებას.

ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულება

მუსლიმი მრევლის წარმომადგენელი www.netgazeti.ge-სთან ინტერვიუში საუბრობს სამლოცველო სახლის არსებობის აუცილებლობაზე. მისი თქმით: არ არის იმის ფუფუნება, რომ ყოველ კვირას მუსლიმებმა ბათუმის მოქმედ მეჩეთში იარონ სალოცავად. იგი ვერ ხედავს პრობლემას, თუ რატომ არ შეიძლება 21-ე საუკუნეში აღამიანებმა ილოცონ ნიგვზიანში². სიტუაციის დასტაბილურების გარანტად კი კანონს მიიჩნევს. მუსლიმებმა უნდა იცოდნენ, არის თუ არა

¹ <http://www.tabula.ge/ge/story/62977-nigvzianis-spirali>

² <http://netgazeti.ge/news/17194/>

მათი ქმედება დანაშაული და დამტკიცების შემთხვევაში, გამომდინარე მათი რწმენიდან, რომელიც მორჩილებას ქადაგებს ღმერთის, კანონისა თუ სახელმწიფოს წინაშე, მზადყოფნას გამოთქვამენ პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებისა. დაუშვებელია მხარეთა უფლებების დარღვევა, თუმცა იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ლანჩხუთის რაიონ სოფელ ნიგვზიანში მუსლიმი მლოცველების უფლებები ირღვევა.

ნიგვზიანის მუსლიმი მოსახლეობა რელიგიური ნიშნით სკოლაში ბავშვების დისკრიმინაციამდე საუბრობს. „სკოლაში ხდება ბავშვების გარჩევა. თუ ბავშვი პირჯვარს არ იწერს, მას არც მაღალ ნიშანს უწერენ და თან ამცირობენ. ერთხელ მუსიკის მასწავლებელმა მეშვიდე კლასის მოსწავლეებს რუკა გაუშალა და უთხრა: ეს არის აჭარა, ეს კი – თურქეთი. წლების წინ თურქები აჭარაში შემოიჭრნენ, აჭარელი კაცები განყვიტეს, ქალები კი გააუპატიურეს და იმათი ნაბიჭვრები ხართ თქვენო. ეს ამბავი მოსწავლეებმა დამსწრესთან მოყვინ და ერთი ამბავი ატყდა. ჩვენც დავწერეთ განცხადება დირექტორის სახელზე, მაგრამ ის მასწავლებელი დღესაც სკოლაშია“¹ – ამბობს გულნაზ კახაძე.

ნიგვზიანის საჯარო სკოლის დირექტორი ამირან დობორჯინიძე გაზეთ „ბათუმელებთან“ ინტერვიუში ამბობს, რომ ამ ფაქტის შესახებ მასაც სმენია, თუმცა დეტალებზე მასთან არც მშობლებს და არც მოსწავლეებს არ უსაუბრიათ: „რაღაც-რაღაცები ჩემს ყურამდეც მოვიდა, მაგრამ ოფიციალურად რადგან არც მშობლებს მოუმართავთ და არც მოსწავლეებს უთქვამთ რაიმე, დეტალები აღარ გამომიკითხავს. შემდეგ აღარ გამწვავებულა ვითარება. მე ყოველთვის ვეუბნები ბავშვებს, თუკი იქნება რელიგიური ნიშნით რაიმე კონფლიქტი, მომმართონ. ეგ მუსიკის მასწავლებელი სოფელში იმ ადგილზე ცხოვრობს, სადაც სამლოცველოს აგება უნდათ და ერთხელ გავაფრთხილე კიდევ, რომ ამ საკითხში არ ჩარეულიყო“.

დირექტორის თქმით, რაიმე უხერხულობა რომ არ გაჩენილიყო, სკოლიდან რელიგიის გაკვეთილებიც კი ამოაღებინა. რელიგიური ნიშნით მოსწავლეების რაიმე ფორმით დისკრიმინაციას უარყოფს დირექტორის მოადგილე ნანა კვაჭაძე.

არსებული პრობლემის თაობაზე „ბათუმელები“ სოფლის მართლმადიდებელ მოსახლეობასაც ესაუბრა. მათი პოზიციები რადიკალურია და აცხადებენ, რომ ისინი სოფელში მეჩეთის არსებობას არ დაუშვებენ. ნოდარ ლლონტი წლების წინ ნიგვზიანში მახინჯაურიდან გადასახლდა. ქრისტიანულად ჯერ კიდევ კომუნისტების დროს მოინათლა. აი რას აცხადებს იგი გაზეთთან საუბრისას: „აჭარლები არიან ძირძველი ქრისტიანები და ძალით რატომ იმუსლიმებენ თავს, არ ვიცი. ესენი უნდა გაქრისტიანდნენ, რახან გურიაში ჩამოსახლდნენ, უნდა აიძულო. თუ არადა, წავიდეს, ბიძია, მის ხელოში და იყოს. შევეხვეწე – მოდი და ჯამე ამიშენე-მეთქი? ჩვენ წინააღმდეგი ვართ. კონსტიტუციაში არ წერია, რომ გურიაში ამიშენო მეჩეთი. მოვიდა ახალი მთავრობა და შეიცვლება მაგი კონსტიტუცია“².

¹ <http://netgazeti.ge/news/17194/>

² <http://netgazeti.ge/news/17194/>

იგივე სულისკვეთებისაა მეროე ქრისტიანი ადგილობრივი მკვიდრის საუბარიც. ნოდარ ღლონტის აზრით, კონფლიქტი მხოლოდ იმ შემთხვევაში მოგვარდება, თუკი საჯარო სამლოცველო გაუქმდება და მუსლიმები მხოლოდ თავიანთ სახლებში „ჩემად ილოცებენ“: „ხალხი წყვეტს ამ საკითხს. ხალხია ძალა. თავი დაანებონ ერთად თავის მოყრას და მორჩება კონფლიქტი“.

ნიგვზიანის მართმადიდებელი მკვიდრთათვის ისლამი თურქებთან ასოცირდება. ერთ-ერთი ქრისტიანი ადგილობრივი მცხოვრები თურქებს თათრებს უწოდებს. იგი წინააღმდეგია მუსლიმი მრევლის სალოცავად ერთად შეკრების და თვლის, რომ უმჯობესია ყველამ საკუთარ სახლში ილოცოს ან წავიდნენ წელიწადში ერთხელ არაბეთში, რადგან მუჰამედი არაბი იყო და იქიდან განწმენდილნი დაბრუნდებიან¹.

ნიგვზიანის მკვიდრი, ჯემალ ნონიძე, რომელიც აღმსარებლობით მართმადიდებელი ქრისტიანია, თვლის, რომ სოფელმა ნიგვზიანელი მუსლიმების საერთო ლოცვა არ უნდა დაუშვას. ჯემალ ნონიძე: „ჩვენ ძალიან დიდი მეგობრობა გამოვხატეთ. თვითოეულმა ოჯახმა ნახევარი მეტრი მიწა დავეთმეთ, გავეწიეთ ძმობა და ბოლოს ისე გამოვიდა, რომ ჩვენი შევიწროვება დაიწყეს და საბოლოოდ მეჩეთის აგება მოითხოვეს.“ ჯემალ ნონიძის მეზობელია ივრის იაკობაძე: „თუ ვიქნებით ვილოცებთ, ანდა უნდა წავიდეთ. მეტი გზა არ არის. ახლაც გვითხრეს აგერ, რომ საიდანაც მოეთრიეთ იქ წაეთრიეთ და იქ ილოცეთო. მაშინ რა მოხდება მე არ ვიცი. აქ 800 კომლი ვართ უკვე, სად წავიდეთ მითხარი, ჩვენ აჭარაში წავალთ და რა მოხდება მერე?!“².

დაპირისპირებაში აქტიურად მონაწილეობდნენ სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები. ნიგვზიანელი მართმადიდებლები ხაზგასმით აცხადებენ, რომ არ დაუშვებენ საკუთარ სოფელში მეჩეთის აშენებას. მათი არგუმენტები მეტწილად ემყარება ქრისტიანობის როლს და დანიშნულებას საქართველოს ისტორიაში. მხარეები მზად არიან დიალოგისათვის, რათა ეს საკითხი მშვიდობიანად გადაწყდეს.

პოლიტიკოსების დამოკიდებულება (ხელისუფლება)

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგვზიანში მცხოვრებ ქრისტიან და მუსლიმ მოსახლეობას შორის მომხდარ დაპირისპირებაზე პოლიტიკოსებს არაერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვთ. როგორც მოსალოდნელი იყო, ეს საკითხიც პოლიტიკური ქულების დაწერის საფუძველი გახდა. მმართველი პარტია ცდილობს პაუსუხისმგებლობა წინა ხელისუფლებას გადააბრალოს და დაპირისპირებები ხელოვნურად ინსპირირებულ პროვოკაციად მონათლოს. მმართველი პარტიის წარმომადგენლებს შორისაც ვხვდებით აზრთა სხვადასხვაობას. ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე პარლამენტში ეკა ბესელია უშუალოდ იმყოფებოდა დაპირისპირების ადგილზე სადაც განაცხადა:

¹ <https://www.youtube.com/watch?v=nHRfHClzth8>

² http://www.amerikiskhma.com/content/georgia_church_muslims/1539426.html

„ხელოვნურად ნურავინ ნუ ცდილობს, რომ რელიგიურ ნიადაგზე ხდებოდა კონფლიქტი. აქ შეიძლება იყოს განსხვავებული მოსაზრებები, მაგრამ ყველაფერი ხდება ძალიან კორექტულად. სხვადასხვა მოსაზრებებია და რაღაცა საკითხებზე ხდება შეთანხმება, იმიტომ, რომ ერთი სოფელია, ძალიან მგრძობიარე თემა რელიგიური თემა, ჩვენ პატივს ვცემთ ყველა რელიგიას. შემწყნარებელია საერთოდ ქართველი კაცი და არასოდეს არ ჰქონია მართლმადიდებელს ომი და ქიშპი სხვა რელიგიასთან. საჭიროა დაჯდომა და დალაპარაკება, რომ ერთის უფლების დაცვამ არ გამოიწვიოს მეორეს უფლების დარღვევა. ორივე მხარის უფლება უნდა იყოს დაცული. ეს ბალანსი უნდა დავიცვათ. აქ ისეთი არაფერი არ ხდება, რომ ქვეყანა ინგრევა. ისეთი სურათი არ უნდა შევქმნათ, რომ დაეტაკნენ სოფელში ოჯახები ერთმანეთს. უბრალოდ არის განსხვავებული მოსაზრებები.¹“ ეკა ბესელია კონფლიქტის გადაჭრის გზად დიალოგს ხელდას.

პარლამენტის ყოფილი ვიცე-სპიკერი მურმან ღუმბაძე ნიგეზიანის მართლმადიდებელ და მუსლიმ მოსახლეობას მოუწოდებს, ხელოვნურ პროვოკაციებს არ წამოეგონ. როგორც ღუმბაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, მხარეებს შორის ვითარება ხელოვნურად დაიძაბა და სოფელში დაპირისპირებას ხელს ძველი ხელისუფლება უწყობს.

"დაძაბულობა ხელოვნურია და ეს ამკარად ჩანს. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ვისაც უნდა ლოცვა, ილოცვებს და მას ამაში ხელს არავინ შეუშლის. თუმცა ამავე დროს ნებისმიერ ადამიანს საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინება მოუწევს, სიტუაციის დარეგულირების ერთადერთი წამალი მოლაპარაკებები და სიყვარულია. ვფიქრობ, რომ ეს საკითხი უახლოეს დღეებში ამოიწურება. მხარეებს მოვუწოდებ, ხელოვნურ პროვოკაციებს არ წამოეგონ", - განუცხადა ღუმბაძემ ჟურნალისტებს². 5 ნოემბრისთვის მურმან ღუმბაძე მეჩეთის აშენების შესახებ ინფორმაციას არ ფლობდა. თუმცა მოგვიანებით, რამდენიმე დღის შემდეგ გავრცელდა მისი კომენტარი: „არ დაიშვება გურიაში მეჩეთის აშენება, რადგან მას აშენებს თურქეთის მოქალაქე და ეწევა რელიგიურ პროზელტიზმს.“

იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი საზოგადოებრივი მაუწყებლის პირდაპირ ეთერში, დავით პაიჭაძის გადაცემაში „დიალოგი“ შეეხი ნიგეზიანის თემას და განაცხადა, რომ ამ კონფლიქტის მოგვარება დიდწილად შსს-ს დამსახურებაა.

“რაჟ შეეხება შეთანხმებას, მე არ ვთვლი, რომ ის ადამიანები, ვინც ილოცვებს სხვაგან და მაინცდამაინც იქ არ ჩამოვა, ირღვევა მათი აღმსარებლობის თავისუფლება, იმიტომ რომ შეთანხმების პირობებში შემოწმდა ის, მათ შეეძლოთ თუ არა, რომ ელოცათ სხვაგან, ისე, რომ აქ არ ჩამოსულიყვნენ და ამას არ გამოეწვია ადგილობრივ დონეზე დაძაბულობა. იმიტომ მე ვერ ვხვდები, სად არის რელიგიური თავისუფლების ხელყოფა ასეთ შემთხვევაში.“

წულუკიანი ამბობს რომ კონფლიქტი ინსპირირებული იყო გარედან და სახელმწიფო აუცილებლად გამოიძიებს მას³.

¹ <https://www.youtube.com/watch?v=aDSttVcvi4>

² <http://www.interpressnews.ge/ge/politika/219600-murman-dumbadze-nigvzianis-mosakhleobas-moutsodebs-khelovnur-provokaciebs-ar-tsamoegon.html?ar>

³ <http://www.tabula.ge/ge/story/63403-tea-tsulukiani-umravlesobis-uflebebi-irghveoda>

განსხვავებული მოსაზრება აქვს ოპოზიციას. ისინი მმართველი პარტიის წარმომადგენლებს უმოქმედობაში ადანაშაულებენ და მოუწოდებენ ფრთხილი განცხადებების გაკეთებისკენ, რადგან სწორედ მათი განცხადებები შეიძლება გახდეს ტონის მიმცემი დაპირისპირებისათვის. საქართველოს მაშინდელმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ხელისუფლებას მეტი სიფხობისაკენ და პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებისაკენ მოუწოდა, საპასუხოდ კი ეკა ბესელიამ დაპირისპირების გაღვივებაში ნაციონალური მოძრაობა დაადანაშაულა.

ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთმა დეპუტატმა, იმდროინდელმა პარლამენტის ვიცე-სპიკერმა ჩიორა თაქთაქიშვილმა განაცხადა, რომ შესაძლოა, მურმან ღუმბაძის განცხადება გამხდარიყო ტონის მიმცემი ნივთიანის დაპირისპირებისა.

საინტერესოა ადგილობრივი თვითმმართველობის პოზიცია რომელიც ინდივიდუალური პოზიციიდან არის ნაკარნახევი და არა სახელმწიფო ინტერესებიდან. ნივთიანის გამგებელი ირაკლი გუჯაბიძე ამბობს, რომ ხალხი უმრავლესობას დაუჭერს მხარს. იყო მოსაზრება, რომ ნაციონალური მოძრაობა დაპირდა მათ მეჩეთის აშენებას წინასაარჩევნოდ. ის ამბობს, რომ არ შეიძლება ამ ყველაფრის პოლიტიზირება და რომ მისი პიროვნული დამოკიდებულებით არ არის მიზანშეწონილი ნივთიანში სხვა სოფლებიდან იარონ სალოცავად. ნივთიანში იმყოფებოდა რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი კახაბერ ასკურავა. მასთან საუბარში აშკარად დაფიქსირდა ის ფაქტი, რომ ხდებოდა მომხდარის პოლიტიზირება. მოსახლეობის მხრიდან გაისმა ბრალდებები ნაციონალური მოძრაობის მიმართულებით. მათი თქმით, დღევანდელი ოპოზიციის ლიდერები ხმების სანაცვლოდ მუსლიმ ქართველებს ნივთიანში მეჩეთის აშენებას დაპირდნენ, რასაც კახაბერ ასკურავა უარყოფს და მხარეებს მოუწოდებს გაანალიზონ საკითხის სირთულე და მოერიდონ მსგავსი ტიპის განცხადებების გაკეთებას გამწვავების თავიდან ასაცილებლად¹.

სასულიერო პირები

კონფლიქტის მსვლელობაში დიდი როლი ითამაშეს სასულიერო პირებმა. შემთხვევის ადგილზე ჩავიდა სრულიად საქართველოს მეთთი ჯემალ შასქსაძე. ადგილობრივმა მოსახლეობამ მას გზა გადაუკეტა და სამლოცველოში შესვლის უფლება არ მისცა. ჯემალ შასქსაძე აცხადებს, რომ ამ ეტაპზე არ იგეგმებოდა მეჩეთის მშენებლობა და თუ ამის საჭიროება შეიქმნება, მუსლიმი მრევლი სპეციალური განცხადებით მიმართავს შესაბამის უწყებებს. ჯემალ შასქსაძე თვლის, რომ მნიშვნელოვანია საკითხი მშვიდობიანად გადაწყდეს, რადგან საქართველოს აქვს ორი კონფლიქტი და გამწვავებას ნეგატიური შედეგები მოჰყვება².

¹ http://www.gurianews.com/_/left_wide/21070_74_ka/axali_Tavmjdomare_pirveli_Sefasebebi_da_xmauriani_sxdoma.html

² http://www.for.ge/view.php?for_id=18341&cat=3

მართმადიდებელი ეკლესიის პოზიციას ნიგვზიანის დაპირისპირებასთან დაკავშირებით აფიქსირებდა არქიმანდრიტი საბა ულენტი.

„რამდენიც უნდა იმდენი ილოცონ, მაგრამ ამას არ უნდა მიეცეს მასიური სახე, როგორც ახლა აქვს მას. ჩვენ რამოდენიმე წელიწადია ვებრძვით ამას. 8-9 წელიწადია, რაც ეს ყველაფერი მიმდინარეობს აქ. აქამდე ამათ არ ჰქონდათ ამის საშუალება. ერთ პატარა მინურ სახლში ცხოვრობდნენ. ეს უკვე უზარმაზარი სახლი გამოუჩნდათ. უყიდეს მათ ეს სახლი და დაუფინანსეს. მე დარწმუნებული ვარ, თუკი ამდენი შეძლეს მალე აქ ერთ უზარმაზარ ჯამეს მივიღებთ, მათ სამლოცველოს.¹“

სასულიერო პირები აცხადებენ, რომ თურქეთი საქართველოში საკუთარი გავლენის გაძლიერებას ცდილობს და ამ პროცესებში საქართველოს ხელისუფლება უნდა ჩაერიოს. სასულიერო პირებს შორის გაიმართა რამოდენიმე შეხვედრა, რის შემდეგაც მხარეებმა კომენტარები გააკეთეს. არქიმანდრიტის თქმით მუსლიმებს მოსაფიქრებლად მიეცათ ერთი კვირა და იმედს გამოთქვამს, რომ ისინი ყველასათვის „სასურველ“ გადანყვეტილებას მიიღებენ.

სოციალურ ქსელებში გამოქვეყნებული კომენტარები

კვლევის სტრუქტურიდან გამომდინარე, საინტერესოა არა მხოლოდ დაპირისპირების მონაწილეთა, არამედ ზოგადად, ქართული საზოგადოების აზრი. ამ მხრივ, ყველაზე ობიექტური ვიდეო პორტალებზე განთავსებული კომენტარებია, მართალია, იგი არ გამოდგება საერთო სურათის შესაფასებლად, იქიდან გამომდინარე, რომ კომენტარებს ძირითადად რადიკალური განწყობების მქონე ადამიანები წერენ, თუმცა, ინფორმაციული თვალსაზრისით საკმაოდ საყურადსაღებოა.

მკვეთრად რადიკალური:

„როცა კანონზე და ადამიანის უფლებებზე საუბრობთ, ჯერ მოდით გაიგეთ რა არის მაჰმადიანობა. ეგ ის რელიგიაა, სადაც ადამიანს სიკვდილით დასჯა ეკუთვნის თუ ის მაჰმადიანობას მიატოვებს. აღარ ჩამოვთვლი სხვა სიმახინჯეებს, რითიც ის არის გაჯერებული. ასე რომ პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის ადამიანის უფლებებთან. პოტენციურად ყველა მაჰმადიანი მკველელია. ვიმეორებ, პოტენციურად! რა თქმა უნდა, ბევრი მაჰმადიანისთვის მიუღებელია ეგ სიმახინჯე, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ ეგ რელიგია ქადაგებს ადამიანის მკველლობას.“

¹ <https://www.youtube.com/watch?v=BooFrPXeOho>

მკვეთრად რადიკალური:

„მუსლიმები ვერასოდეს ვერ იქნებით ქართველები. იყავით მუსლიმები ვისაც გინდათ, მაგრამ ქართველები და მუსლიმები ერთდროულად ვერ იქნებით. აღმაშენებელი მეჩეთში რომ ლოცულობდა მოგონილია ეგ. მეჩეთში სიარული ლოცვას არ ნიშნავს. ნუ ამახინჯებთ საქართველოს ისტორიას“

მკვეთრად რადიკალური:

„ვისაც მეჩეთი უნდა წავიდეს და თურქეთში ილოცოს! ქართველებს ჩვენს ქვეყანაში მეჩეთი არ გვჭირდება! ქართველები ეკლესიაში დადვივართ და არა მეჩეთში! მეჩეთში თათრები დადიან!“

მკვეთრად რადიკალი:

„ძმაო იყავი იმ რელიგიის მიმდევარი რაც გინდა, მაგრამ ერთდროულად მუსლიმი და ქართველი არა! ან ერთი უნდა იყო ან მეორე. ერთდროულად გამორიცხულია! მუსლიმები საქართველოს მტრები იყვნენ ყოველთვის, ხანძთა, ტბეთი, ბანა გაანადგურეს და ლანჩხუთში რომ კაცი მეჩეთს ააშენებ ქართველი არ უნდა გერქვას. უფალმა ავიხილოს გონება.“

რადიკალი მართლმადიდებელი:

„თათრები წაერთიანეთ“ თურქეთში და იქ ილოცეთ მეჩეთში, ქართულ მიწაზე თათრების სალოცავები არ იქნება. ვინც რამდენი არ უნდა იგინოს, საქართველო ყოველთვის იყო და იქნება ქართველების, ანუ ქრისტიანების! თათრებს კი გაგაძევებთ აქედან. რა გინდათ საერთოდ საქართველოში, თქვენი დამპალი ისლამი გინდა გაავრცელოთ? მისამართი შეგეშალათ ნაბიჯვრებო! თქვენ სისხლსაც დავლევ თუ საჭირო გახდება!“

რადიკალი:

„აჭარა ოდიტგანვე იყო ქრისტიანობის შეურყეველი ბურჯი და ერთგული მეციხოვნე. სწორედ დიდაჭარით შემოვიდა საქართველოში წმინდა ანდრია პირველწოდებული და იქ იქადაგა პირველად სახარება. ქრისტესთვის მოწამეობრივად აღსრულებული წმინდა მატათა მოციქულიც აჭარის მიწაში მიიბარა. იგი გონიოშია დაკრძალული“

აჭარელი ქრისტიანი:

„აჭარელი ვარ და თანაც ქრისტიანი, მაგრამ სხვა რელიგიასაც ვცემ პატივს და პრობლემას ვერ ვხედავ იმაში, რომ სამლოცველო ააშენონ მათი მრევლისთვის და იქ ილოცონ, შენ ვერ განსჯი მას ქართველი იქნება ის თუ

არა. ის ქართველად დაიბადა და ვისაც უნდა იმას იწამებს, უფალმა ავიხილოს გონებაო, შენ გაქვს გონება ასახელი, სხვა რელიგიებსაც პატივი რომ უნდა სცე მაგის შესახებ არაფერი გსმენია?!”

აჭარელი მუსლიმი:

„ესეგი შენ ფიქრობ რომ აჭარლები ქართველები არ ვართ?! ან შენნაირად ბევრი რომ ფიქრობდეს... აჭარაც დამოუკიდებელი იქნებოდა როგორც აფხაზეთი და ოსეთი, მაგრამ ჩვენ ქართველები ვართ... მუსლიმანი ქართველები... ალბათ, მაშინ როცა აჭარელებმა ქრისტიანობა მივიღეთ და დანარჩენი ქართველები კერპთაყვანისცემლები იყვნენ, ანალოგიური პრობლემები გვქონდა... ღმერთმა დალოცოს საქართველო“

ტოლერანტი-შემწყნარებელი:

„ვააახ ვინ არიან ეს შეუგნებელი და გაუნათლებელი ხალხი, როგორ შეიძლება ასეთი რაღაც. რელიგიის თავისუფლებას ზღუდავენ! არ შეიძლება 21-ე საუკუნეში ასეთი რაღაც. ეს ხალხი არ არის, ეს ბრბოა!“

დასკვნა

ნაშრომის მიზანი არ იყო მყარი დასკვნების გაკეთება და საკითხის ამომწურავად გაანალიზება. კვლევის ამ ეტაპზე ჩვენ გვინდოდა აღგვედგინა სურათი არსებული პრობლემის შესახებ. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში უკვე მოგვარებული პრობლემები, ანუ ის რომ ქართველთა ჩვენ ჯგუფის განსაზღვრისას რელიგია როგორც იდენტობის მარკერი უკანა პლანზე გადავიდა, ილიამ და თერგდალეულებმა, ორვიე რელიგიის წარმომადგენელმა ქართველმა ინტექტუალებმა ჯერ კიდევ 19 საუკუნეში გადანყვიტეს და მოაგვარეს ეს პრობლემა, რომ რელიგია ეთნიკურ მიკუთვნებულობას არ განსაზღვრავს, ეს დამოუკიდებულება მკაფიოდ აისახა შემდგომში საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის კონსტიტუციაში. თუმცა სამწუხაროდ 21 საუკუნეში, გაცხადებული სეკულარიზმისა და სამოქალაქო ნაციონალიზმისაკენ სწრაფვის პერიოდში რელიგიური სახის დაპირისპირებები ნამდვილად ხდება ქვეყნის დემოკრატიული განვითარების წინაღობა და საფრთხე.

გამოყენებული ლიტერატურა

სეკულარიზმის კრიზისი და ლოიალობა დომინანტი ჯგუფის მიმართ. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC). 2013.

რელიგიური დისკრიმინაციისა და კონსტიტუციური სეკულარიზმის კვლევა საქართველოში. ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI). თბილისი, 2014.

ელექტრონული რესურსები

<http://www.tabula.ge/ge/tv/religion/90980-lasha-baqradze-sabchota-kavshiri-da-religia>

<https://www.youtube.com/watch?v=nHRfHClzth8>

<http://netgazeti.ge/news/17194/>

<https://www.youtube.com/watch?v=aDSttVcvi4>

<http://netgazeti.ge/news/17248/>

<http://news.ge/ge/news/story/35943-nigvzianis-mosakhleebi-sasuliero-pirebis-khelim-dzghvanelobit-moqmedeben>

https://www.youtube.com/watch?v=L0h2m__6TUU

<https://www.youtube.com/watch?v=BooFrPXeOho>

<http://www.ick.ge/articles/14431-i.html>

<http://ick.ge/articles/14818--video.html>

<https://tdigeorgia.wordpress.com/2014/10/31/%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%9A-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%A8%E1%83%98-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3/>

¹ უკანასკნელად გადამოწმებულია 2016 წლის 25 სექტემბერს

ქართულ-თურქული ურთიერთობები სოფლების წუნარისა და წარის მოსახლეობა 1728 წლის ოსმალური აღწერის მიხედვით

Georgian-Turkish Relations: Population of Tsunari and Tsari Villages
Based on 1728 Year Ottoman Census

ნიკოლოზ ოთინაშვილი

ასოც. პროფ. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
ელ-ფოსტა: lia_pavliashvili@mail.ru

აბსტრაქტი

სოფელი წუნარი მდებარეობს ქალაქ ცხინვალისა და დასავლეთით ცხრა კილომეტრის დაშორებით მდინარე დვანის ფრონეს აუზში, მის მარცხენა მხარეს. მეთვრამეტე საუკუნის ცნობილი ქართველი სწავლულების ვახუშტი და იოანე ბაგრატიონების თხზულებებში „საქართველოს გეოგრაფია“ და „ქართლ-კახეთის აღწერა“ დასახელებულია წუნარის გუმბათოვანი ტაძარი და სოფელი, როგორც „მოსახლე“.

დღეს უკვე ნასოფლარი წარი ლოკალიზდება წუნარიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით ორი კილომეტრის დაცილებით, დვანის ფრონეს მარცხენა შენაკად მტილიანას ხეობაში, სადაც იდგა საკულტო ნაგებობა, რომელიც დღეს დანგრეულია და ძვირფასი მოჩუქურთმებული ქვები მიმოფანტულია, ზოგი კი პატარა სოფელ ხოლში მცხოვრებ რამდენიმე მოსახლეს თავის ეზოებში აქვთ შეტანილი.

თურქული წყაროებიდან მნიშვნელოვანია 1728 წლის თბილისის ვილაიეთის ვრცელი დავთარი, რომელიც ხსენებული ეპოქის პირველხარისხიანი დოკუმენტია, რომელშიც ვცნობით მეთვრამეტე საუკუნის ოცი-ოცდაათიანი წლების თურქული და ქართული ისტორიის მთელი რიგი საკითხების წყებას, რომელიც დღეს ასე საჭიროა ორივე მხარისათვის. „აღწერაში“ არის ცნობები სავადასახადო სისტემის, მოსახლეობის, სოციალური მდგომარეობისა და სხვათა შესახებ. თურქული აღწერის მასალები ქართულ ენაზე დაიბეჭდა 2009 წელს სათაურით „1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი“, წიგნი I, ოსმალური ტექსტი

Abstract

Tsunari village is located on the West side nine kilometers from Tskhinvali town on the left bank of Dvanis Frone River. Eighteenth century prominent Georgian scientists Vakhushti and Ioane Bagrationi in their works entitled „Geography of Georgia“ and „Description of Kartl-Kakheti Region“ mention a dome-shaped church and a village that was „populous“.

Currently, a site of ruins entitled Tsari is localized two kilometers North-East from the village of Tsunari, on the left tributary of Dvanis Frone River, in the Mtiliani ravine where the house of worship was situated. Currently, the church building is ruined and embossed stones are scattered some of which were taken by the inhabitants of the Khodi village to their home yards.

Turkish source called Big Daftar (Registry) of the Tbilisi Vilayet (Region) of 1728 is a primary document of the mentioned era by means of which one learns the whole range of topics relevant in 1720-30 years' time period in the history of Turkey and Georgia that is so important to know for both sides. In the above mentioned description of the region there is an information given regarding aspects such as taxation system, demography, social positions of inhabitants etc. Georgian translation of the original Turkish text was published in 2009 under the title „1728 Big Daftar (Registry) of the Tbilisi Vilayet (Region)“, volume I, a translation from Ottoman Turkish into Georgian, with introduction, research part and facsimile. The work was prepared by acad. Sergi Djikia and prof. Nodar Shengelia.

Totally, more than 150 villages in the Kart-Kakheti region were described in the registry. Majority of those villages were a property of Ami-

ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევისათა და ფაქსიმილურებით გამოსაცემად მოამზადეს აკად. სერგი ჯიქიამ და პროფ. ნოდარ შენგელიამ.

სულ ქართლის რეგიონში აღწერილია ასორმოცდაათზე მეტი სოფელი, რომელთა დიდი ნაწილი თავად ამილახვრებს ეკუთვნოდა. აღწერის ტექსტში ასეთი სათაურია ზემო ქართლის ყველა სოფლის დასახელებისას „ექვემდებარება ამილახვარს“. აქ ნაგულისხმევია ცნობილი ფეოდალი და მაგნატი გივი ამილახვარი, რომელიც ხსენებულ დროს ქართლის ვეჭილია და თურქული ორიენტაციისა იყო. მას თურქები ესმარებოდნენ ირანელების წინააღმდეგ ბრძოლაში იარაღით, სურსათითა და ჯოჯახალი ძალით.

სოფელ წუნარში იმ დროს ცხოვრობდა ოცდათხუთმეტი კომლი, წარში - ოცდაათი, ორივე სოფელი ეთნიკურად ქართული იყო. „აღწერაში“ წარმოდგენილია ორივე სოფლის საკუთარი სახელები, რომლებიც სხვადასხვა ფორმით არის ვადმოცემული და თურქული ენა კარგად ასახავს იმ ეპოქის ქართული ენის ძირითად მახასიათებლებს.

საკუთარი სახელები ბოლოვდება როგორც - ა ხმოვანზე ისე - ია დაბოლოებით, ასევე როგორც თანხმოვანზე ისე ხმოვანზე. მამის სახელები ძირითადად მიცემით ბრუნვაშია და განსაზღვრავს თუ ვისი შვილია ესა თუ ის პიროვნება.

სოფლები წუნარი და წარი გამჭვირვალე ქართული ტოპონიმებია, რომლებიც ჩვენს დრომდე შემორჩა ქართულ ტოპონიმშიკას.

საკვანძო სიტყვები: სოფელი წუნარი, სოფელი წარი, 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი.

lakhvari noble family. All villages of the upper Kartli region are mentioned as follows: „Property of Amilakhvari Family“. A historical person mentioned here is a landlord and a baron Givi Amilakhvari who was of a Turkish orientation. He was supported by the Turks with arms, provisions and manpower against Iranians.

During the mentioned time period 35 household were living in the Tsunari village, in Tsari village their number was 30, both of them ethnically Georgian. In the registry names of both villages are given that are expressed in a different form as the Turkish Language source expresses the peculiarities of the mentioned time periods Georgian Language in an effective manner. Proper names end with -ა (-a) sonant as well as with -ია (-ia) suffix. Father names are generally in a dative case and determines whose son a particular person is.

Tsunari and Tsari village are Georgian toponyms that are preserved until now.

Keywords: Tsunari village, Tsari village, „1728 Big Daftar of the Tbilisi Vilayet“

შესავალი

სოფელი წუნარი მდებარეობს ქალაქ ცხინვალის დასავლეთით ცხრა კილომეტრის დაშორებით, იგი მდინარე დვანის ფრონეს აუზშია. მეთვრამეტე საუკუნის ცნობილი სწავლული ვახუშტი ბაგრატიონი თავის თხზულებაში აღნიშნავს: „ამ ხევს ზეით ერთვის ამ წყალს ხევი წუნარისა. წუნარს არს ეკლესია გუნბათიანი, აწ უქმი“ (ბაგრატიონი ვ., გვ. 81). მეცნიერს სოფელი დატანილი აქვს თავის მიერ შედგენილ რუკაზე საკულრო ნაგებობის აღმნიშვნელი ნიშნით დვანის ფრონეს მარცხენა შენაკად მტილიანას წყლის მარცხენა მხარეს და

სოფელი ტაძრით დღესაც ლოკალიზდება. ზემოხსენებულ ნაშრომს დართული სოფლების სიაში მდინარე დვანის წყალზე მეთაე ნომრად აღნიშნულია სოფელი წუნარი (გვ. 208).

იოანე ბაგრატიონი თავის ნაშრომში დვანის წყალზე ასახელებს სოფელ წუნარს, როგორც მოსახლეს (ბაგრატიონი ი. გვ. 42).

დღეს უკვე ნასოფლარი წარი მდებარეობს წუნარიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით ორი კილომეტრის დაცილებით და სოფლის სავარგულები წუნარისა და სოფელ ხოდის მოსახლეობაში იყო განაწილებული. სოფლებიდან მიგრირებული და დაბალ ზონაში ჩამოსული მოსახლეობა ადასტურებს, რომ წუნარში ცხოვრობდნენ მამისაშვილები, მჭედლიძეები, ხოლო წარში ბელეღურები და ჯოხაძეები.

რაც შეეხება თურქულ წყაროებს 1728 წლის თბილისის ვილაიეთის ვრცელი დავთარი ერთ-ერთი პირველხარისხოვანი დოკუმენტია, რომელშიც ვეცნობით მეფრამეტე საუკუნის ოცი-ოცდაათიანი წლების თურქულსა და ქართულ სამყაროს.

აქ არის ცნობები სავადასახადო სისტემის შესახებ, მოსახლეობის ეთნიკურობაზე, სოციალურ მდგომარეობასა და სხვა საკითხებზე. თურქული აღწერის მასალები დაიბეჭდა 2009 წელს სათაურით „1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი“, წიგნი I, ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევითა და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადეს აკად. სერგი ჯიქიამ და პროფ. ნოდარ შენგელიამ.

სულ ქართლის რეგიონში აღწერილია ასორმოცდაათზე მეტი სოფელი, რომელთა დიდი ნაწილი თავად ამილახვრებს ეკუთვნოდა. ტექსტში ასეთი სათაურია სოფლების დასახელებისას „ეჭვემდებარება ამილახვარს“. აქ ნაგულისხმევია გივი ამილახვარი, რომელიც იმ დროს თურქული ორიენტაციისა იყო.

სოფელ წუნარში იმ დროს ცხოვრობდა ოცდათხუთმეტი კომლი, ხოლო წარში ოცდაათი, ორივე სოფელი ეთნიკურად ქართული იყო. ორივე სოფელში მეურნეობის სხვადასხვა დარგი იყო განვითარებული და ჩამოთვლილია სხვადასხვა გადასახადები, რომლებიც სოფლებზე იყო შეწერილი. ესენია ხორბალზე 180 ქილა, ქერი 90 ქილა, ჭვავი 40 ქილა, ფეტვი 60, ასევე გადასახადი ვენახზე, ერბოზე, სკაზე, ცხვარზე, ღორზე და სხვა. ჩამოთვლილია ის პირები, ვისაც უნდა გადაეხადა, ოღონდ ოსმალური წესით მხოლოდ საკუთარი სახელებია აღწერილი, რომლებიც კომლის უფროსები იყვნენ. ასევე მოცემულია ვინ ვისი შვილია, ძმა ან ბიძაა.

„აღწერაში“ წარმოდგენილი ორივე სოფლის საკუთარი სახელები სხვადასხვა ფორმით არის გადმოცემული და თურქული ენა კარგად ასახავს იმ საუკუნის ქართული ენის მახასიათებლებს. მთელი რიგი საკუთარი სახელები დაბოლოებულია -ა ხმოვანზე, რომელიც ფუძისეულია: თამაზა, იოსება, ბაბუნა, ბასილა, ბერუკა, ზაქარა, ალხაზა, დათუნა, ნათა, მასრურსა...

-ა სუფიქსი ძველსა და ახალ ქართულში პროდუქტიულობით გამოირჩევა. მისი ძირითადი ფუნქციაა კნინობითობის, ქონების, მსგავსების, დახასიათების, დაკონკრეტების წარმოება. როგორც სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია

ძველ ქართულში ასეთი სახელები ბოლოთანხმოვნინანი იყვნენ და მათ ფუძეს დროთა განმავლობაში დაერთო -ა სუფიქსი და ბოლოხმოვნინანებად იქცნენ (მანჯგალაძე ა., გვ. 171). აღნიშნული გამოკვლევა გასაზიარებელია რადგან -ა ხმოვნის გარეშეც გვხვდება საკუთარი სახელები ფუძის სახით: მახარებელ, რევაზ, სიმონ, ოთარ, ფარემუზ.

საკუთარი სახელები სხვადასხვა ფორმით არის წარმოდგენილი და ფონეტიკურად სახეშეცვლილია, ეს ვარიანტები ტრადიციით უნდა იყოს შეპირობებული, რადგან ფონეტიკური სისტემა ადვილად არ იცვლება და ვარიანტები ახალი მნიშვნელობით არის დადასტურებული. მაგალთად: გიორგი - იორგი, ბასილ - ბასილა, თამაზ - თამაზა, ბერი - ბერუკა, კაზარა - კაზანა, გოკია - კოკია...

ორივე სოფელში საკუთარ სახელებზე -ია სუფიქსის დართვისას სახელები ემოციურ ელფერს იძენს: სეხნია, ქრისტესია, ონია, დარჩია, ბასია...

ენით დაბოლოებული საკუთარი სახელების დარქმევა დაკავშირებულია ქრისტიანობის გავრცელებასთან და ქრისტეს სახელთან. ასეთი ფორმით სახელები ორივე სოფელში არის წარმოდგენილი: თედორე, ივანე, ჰავლე, ფილაპე, იასე, რომლებიც ორ და და სამჯერ არის აღწერებში გამოვლენილი.

გვხვდება -ი ბოლოვიდურიანი სახელები, რომლებიც ხმოვანფუძიანებია და ნასესხებია ბერძნულიდან. მაგალითები:

გიორგი ძე თევდორესი

გიორგი ძმა ივანესი

გიორგი ძე იოსებასი

გიორგი ძმა ბერუკასი

გიორგი ძე ნათასი

დიდი გავრცელებულობით გამოირჩევა თანხმოვანფუძიანი სახელები:

რევაზ ძე თამაზასი

სიმონ ძე ზაქარასი

ბერი ძე შალვასი

ბერი ძე ბაბუნასი

ბერი ძე თამაზასი

ოთარ ძე ბერისა

აღწერებში წარმოდგენილ საკუთარ სახელებს ხმოვანფუძიან და თანხმოვანფუძიანებს დართული აქვთ მამის სახელები მიცემით ბრუნვაში და განსაზღვრავს თუ ვისი შვილია ესა თუ ის პიროვნება და მამის სახელი გავრცობილია:

ბასილა ძე თანდილასი

აღდგომელა ძე ზათუნასი

რევაზ ძე თამაზასი

ქრისტესია ძე შალვასი

ზაქარა ძე დათუნასი

ბასილა ძე ოთარასი

საკუთარ სახელს ასევე ერთვის კუთვნილებითი ნაცვალსახელი მისი, რომელიც განსაზღვრავს თუ როგორი ნათესავია საკუთარი სახელით მოცემული პირი:

ბაბუნა ძე მისი

ბერი ძე მისი

შიო ძმა მისი

ფილიპი ძმა მისი

სეხნია ძმა მისი

კოკია ძმა მისი

ფუძის სახით მოცემულ სახელებს როცა მამის სახელი ერთვის ნათესაობით ბრუნვის ფორმით იგი გავრცობილია -ა ხმოვნით:

თამაზა ძე გიორგისა

ჯათუნა ძე ბერისა

კოზმა ძე ბაბუნისა

ბასილა ძე გიორგისა

გიორგი ძე ბერისა

მაგალითებიდან ასევე ჩანს, რომ საკუთარ სახელებს მამის სახელების დართვისას მოუღის -ი ხმოვანი:

ივანე ძე ივანესი

სარკიზა ძე თედორესი

გიორგი ძმა ივანესი

გეოგრაფიული სახელი წუნარი გამჭვირვალე ქართული ტოპონიმი და მას ორგვარი ასხნა აქვს. ხალხური ეტიმოლოგიის მიხედვით სოფელში არსებული მეთორმეტე საუკუნის გუმბათოვანი ტაძარი და განსაკუთრებით მისი გუმბათი დაწუნებული ყოფილა ქართველი მეფის მიერ ასეთი ტერმინით „დაწუნებულ არს“ და აქედან მივიღეთ ტოპონიმი წუნარი. მეორე ვერსიით ეს სახელი წარმომდგარი უნდა იყოს ეკალ-მცენარე წარის მიხედვით, რომელიც ამ სოფლის მიდამოებში ხარობს. სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართულში“ „წუნი“ განმარტებულია, როგორც წუნების ნაწილი „დასაწუნი რამე“ (ორბელიანი ს.ს. გვ. 388).

მეორე ტოპონიმი წარი ზმნურ ტოპონიმად მიგვაჩნია და ზემოხსენებულ ლექსიკონში მისი განმარტება ასეთია „წარე - წადი“ და ასეთი ტიპის სახელები რეგიონში საკმაოდ მოიპოვება.

2013 წელს ქალაქ ვლადიკავკაზში დაიბეჭდა „Осетинская этнографическая энциклопедия“, რომლის მთავარი რედაქტორია ლუდვიგ ჩიბიროვი. აქ შეტანილია ისეთი საკითხები, რომლებსაც ეთნოგრაფიასთან არავითარი კავშირი არა აქვთ. აქ თითქმის ყველაფერი ტენდენციურად არის განხილული, მათ შორის ოსების მიგრაცია, რომელიც ძალზეა დაძველებული და ირანული

ტომი აბორიგენებადაა გამოცხადებული. ქართული კულტურის ძეგლები ოსურადაა გამოცხადებული, მათ შორის წუნარის ღვთისმშობლის ტაძარი და სოფელი წუნარი. ვითომ დვალეთიდან გადმოსახლებულმა ოსებმა მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს ამ სოფელს დაარქვეს „წუს ნარი“ ე.ი. პატარა ნარი. კარგი იქნებოდა ენციკლოპედიის ავტორებს რომ იოანე ბაგრატიონის ზემოხსენებული ნაშრომი გამოეყენებინათ და ნახავდნენ, რომ XIX საუკუნის 30-იან წლებამდე წუნარში ქართველობა ცხოვრობდა.

1728 წლის „თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი“ ერთ-ერთი პირველხარისხოვანი წყაროა აღმოსავლეთ საქართველოს მთელი რიგი საკითხების შესასწავლად. მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ისტორიული, ლინგვისტური, ონომასტიკური, ისტორიული გეოგრაფიის საკითხების შესასწავლად. ამ დროისათვის ქართლში უმეფობის ხანაა და მთელი ტომების სათარეშოდ იყო გადაქცეული. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ მრავალი დოკუმენტი დაიკარგა და ამიტომ თურქული მასალა ყოველთვის იქნება წარმატებული კვლევის ობიექტი.

გამოყენებული ლიტერატურა

ბაგრატიონი ვ. საქართველოს გეოგრაფია. თბ., 1997.

ბაგრატიონი ვ. რუკები. 1745.

ბაგრატიონი ი. ქართლ-კახეთის აღწერა. თბ., 1986.

1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი I, გამოსაცემად მოამზადეს აკად. სერგი ჭიქიაშვილი და პროფ. ნოდარ შენგელიამ, თბ., 2009, გვ. 344, 355.

სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წიგნი I, თბ., 1956, აღ. მანჯგალაძე, -ა ხმოვანზე დასრულებული ზოგი სახელის ფუძის აგებულებისათვის ქართულში.

სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. თბ., 1991.

კავკასიური ომი და სამშვიდობო მისიები. ილუზია და რეალობა

Caucasian War and Peacekeeping Missions. Illusion and Reality

ანა მანაგაძე

დოქტორანტი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ელ-ფოსტა:managadzeani@yahoo.co.uk

აბსტრაქტი

1832 წლიდან 1839 წლამდე აღმოსავლეთ კავკასია თავის ნებაზე იყო მიშვეებული. სერიოზული ძალისხმევა კავკასიის საპირისპირო ბოლოსკენ იყო მიმართული, სადაც დიდი ძალის ხარჯვით და დანაკარგებით დაიწყეს შავი ზღვის სანაპირო ზოლის ჩამოყალიბება.

კავკასიის ომმა, რომელიც 1817 წლიდან დაიწყო, გაჭიანურებული ხასიათი მიიღო. ეს იმპერიას უზარმაზარი ფინანსური დანახარჯების და ადამიანური დანაკლისის ფასად დაუჯდა. თავს იჩენდა სწორი სისტემის არარსებობა და მოპოვებულ ტერიტორიებზე გამაგრების უუნარობა. ნიკოლოზ I მიხვდა, რომ ახალი გზები უნდა მოძებნილიყო, სტრატეგია უნდა შეცვლილიყო და კომპრომისზე წასვლა იყო საჭირო.

პეტერბურგში მშვიდობიანი მოლაპარაკებების მეშვეობით და ჩერქეზთა ნეიტრალიზების გზით დასავლეთ კავკასიის დაშოშმინების გეგმა მომწიფდა.

ჩრდილოეთ კავკასიაში თავისი პოზიციების გამყარებაში რუსეთის იმპერია უკვე ოდითგან მის მიმართ ერთგულ მთიულ ელიტას ეყრდნობოდა. ამ მიზნით ჯერ კიდევ 1828 წელს ნიკოლოზ I-ის უზენაესი ბრძანებით კავკასიის მთიელთა უმაღლესი წარმომადგენლებისგან ჩამოყალიბებულ იქნა ნახევარ-ესკადრონი, რომელიც საიმპერატორო კარზე სათანხლებო სამსახურისთვის იყო განკუთვნილი. ამ ნაწილს ლეიბ-გვარდიის კავკასიის-მთიელთა ნახევარ-ესკადრონი უწოდეს. ესკადრონმა განსაკუთრებული ერთგულება გამოიჩინა 1830-1831 წლების პოლონეთის აჯანყების ჩახშობაში

Abstract

The Eastern Caucasus was left out of consideration from 1832 to 1839. Serious efforts were directed to the opposite end of the Caucasus, where the formation of the Black Sea coastline was begun with spending forces and great loss.

The Caucasian war, which started from 1817 became protracted. This caused huge financial costs and human loss for the empire. There occurred non-existence of the right system and inability to reinforce on the conquered areas. Nicholas I understood that new ways ought to be found, strategy should be changed and it was necessary to compromise.

In St Petersburg the plan to appease the Western Caucasus was matured through the peace negotiations and by neutralizing of Circassians.

In the northern Caucasus Russian empire was relying on the long since devoted mountain devoted elite people to steady its positions. For this purpose in 1828 by the supreme order of Nicholas I the half-squadron was formed with the highest representatives of Caucasian mountain people, which was intended for the accompanying service of the imperial court. This division was called the half-squadron of leib-guard Caucasian mountain people. The squadron showed exceptional devotion by its participating in the suppression of Polish uprising in 1830-1831. At the same time it showed the examples of courage and exceptional cruelty.

For the peaceful negotiations under the command of staff-captain Khan-Girei the deputation was chosen from the half-squadron officers of Circassian origin.

The mission of the deputies who acted by the name of the king was to prepare the ground

თავისი მონაწილეობით, ამასთან გამოავლინა რა სიმამაცის მაგალითები და განსაკუთრებული სისასტიკე.

მშვიდობიანი მოლაპარაკებებისთვის დეპუტაცია ნახევარ-ესკადრონის ოფიცერთაგან, წარმომავლობით ჩერქეზთაგან იქნა შერჩეული, შტაბს-კაპიტან ხანგირეის მეთაურობით. დეპუტატთა მისია, რომლებიც იმპერატორის სახელით გამოდიოდნენ, 1837 წლის შემოდგომაზე კავკასიასა და საქართველოში ნიკოლოზ I-ის მოგზაურობისთვის ნიადაგის მომზადებაში მდგომარეობდა.

საკვანძო სიტყვები: რუსეთი, კავკასია, ომი, სამშვიდობო მისიები.

for traveling of Nicholas I to the Caucasus and Georgia in 1837.

Keywords: Caucasian, Russian, War, Peace-keeping Missions.

შესავალი

ამიერკავკასიის და კავკასიის ცნობილი ისტორიკოსი ა. ბერუე ერთ–ერთ თავის ნაშრომში წერდა: „კავკასიაში რუსეთის ბატონობის მემკვიდრეებში არის მოვლენები, რომლებიც თითქოს და შეუმჩნევლად გავიდა, მიუხედავად მათი უდავო ისტორიული მნიშვნელობისა. ასეთ მოვლენებს განეკუთვნება, სხვათა შორის, იმპერატორ ნიკოლოზ I მგზავრობა კავკასიაში, რომელიც მან დაღესტანში პეტრე დიდის ლაშქრობის შემდეგ ზუსტად 115 წელიწადში განახორციელა“ მაგრამ იმპერატორის ვოიაჟის ისტორიული მნიშვნელობის ჩვენება ა. ბერუემ ვერ მოახერხა. თავისი ნარკვევი მან ასე დაასრულა: „კავკასიის მხარის ფარგლებში იმპერატორ ნიკოლოზ პავლეს–ძეს გადაადგილების საგზაო დანახარჯებმა 143 438 ვერცხლის რუბლი 59 კაპიკი შეადგინა. მხოლოდ ქანცგანწყვეტილი ცხენების რაოდენობამ 170 შეადგინა.

ამასობაში კავკასიაში მგზავრობა სულაც არ იყო გასართობად გამიზნული და წამოწყებული. ისევე, როგორც რუსი თვითმპყრობელის ნებისმიერი სხვა მგზავრობა თავის იმპერიაში, ის დიდ პოლიტიკურ მიზნებს ისახავდა.

იმ შედეგის მიხედვით, რომელსაც ნიკოლოზ I ელოდებოდა კავკასიაში თავისი გამოჩენისაგან, ეს აქცია გარკვეულწილად კასპიის სანაპიროზე პირველი იმპერატორის გამოჩენასთანაა შეთავსებადი, მაგრამ, იმისათვის, რომ გავივით ეს იმედები, 1837 წლის გაზაფხულზე კავკასიაში შექმნილი სამხედრო–პოლიტიკური სიტუაცია უნდა წარმოვადგინოთ.

1832 წლიდან 1839 წლამდე აღმოსავლეთ კავკასია თავის ნებაზე იყო მიშვებული. ამ პერიოდში მხოლოდ რამდენიმე სამხედრო „გასივრება“ გაიმართა დაღესტანში, ისიც მცირე საშუალებებით, უფრო სანახაობის მიზნით, ვიდრე ეს საქმეს სჭირდებოდა.“(Ростислав Фадеев. Государственный порядок. Россия и Кавказ, Москва 2010, Письма с кавказа. Письмо второе. с. 147)

სერიოზული ძალისხმევა კი კავკასიის საპირისპირო ბოლოსკენ იყო მიმართული, სადაც დიდი ძალის ხარჯვით და დანაკარგებით დაიწყო შავი ზღვის სანაპირო ზოლის ჩამოყალიბება, რომელიც შემდგომ შავ ზღვაზე მტრის პირველივე გამოჩენისას იქნა მიტოვებული.

საბოლოოდ 1836 წ. შამილმა დაღესტნის, ავარეთის ნაწილის დამორჩილება მოახერხა და მის მონოდებებს ჩეჩნეთშიც ჰქონდა წარმატება. (Акты, собранные Кавказской археографической комиссией/ под ред. Берже. Тифлис, 1884г., Т- VIII, с.711-712) კავკასიის ომმა, რომელიც 1817 წლიდან დაიწყო, გაჭიანურებული ხასიათი მიიღო. ეს იმპერიას უზარმაზარი ფინანსური დანახაჯების და ადამიანური დანაკლისის ფასად დაუჯდა. თავის თავს სწორი სისტემის არარსებობა და მოპოვებულ ტერიტორიებზე გამაგრების უუნარობა იჩენდა. ნიკოლოზ I მიხვდა, რომ ახალი გზები უნდა მოიძებნოს, სტრატეგია უნდა შეიცვალოს და კომპრომისზე წასვლაა საჭირო. თავად ჩერნიშოვის 1836 წლის 14 ოქტომბრის მიწერილობაში, რომელიც გენერალ ველიამინოვის მისამართით იყო გაგზავნილი (ერმოლოვის ტაქტიკის მიმდევარი, რომელიც უარყოფდა კავკასიაში პრობლემების მშვიდობიანი მოგვარების გზებს), ასე წერია:

„1834 წლის დასაწყისში ე.ვ. (ეკატერინე მეორე) მიერ დასახულ, კავკასიის დაშოშმინების ძირითად გეგმაში ამ მხარის დაპყრობა პირველ ადგილზე იდგა. ამ მიზნის მისაღწევად შემოთავაზებული იქნა ჯერ მთიელ ტომთა მხრიდან მორჩილების წინასწარი ნებაყოფლობითი გამოცხადება და ქვეშევრდომობის ყველა პირობის დაურღვეველი დაცვის საკმარისი პირობების მიცემა მოეთხოვებინათ და უკვე ამის შემდეგ მიემართათ იარაღისთვის, განურიდებლად დაეცარიელებინათ მათი მიწდვრები და აეკრძალებინათ ჩვენივე საზღვრებში პურისა და მარილის შესყიდვა, სანამ ისინი არ გახდებიან იძულებული გამოიჩინონ უპირობო მორჩილება და არ ჩააბარებენ იარაღს“ (Акты, собранные Кавказской археографической комиссией/ под ред. Берже. Тифлис, 1884г., Т- VIII, №7324, с.647)

თავად ველიამინოვმა ჯერ კიდევ 1832 წელს წარადგინა კავკასიის დაპყრობის გეგმა, რომელიც პეტერბურგის მიერ უარყოფილი იქნა. ჯერ კიდევ 1830 წელს სიმაგრე ანაპის აღების შემდეგ ველიამინოვმა უარყო საკორდონე ხაზის საიმედოობა და თვლიდა, რომ კავკასიის ხაზის ჯარების რიცხოვნობა (42 ბატალიონი) არასაკმარისი იყო 1500 ვერსის მანძილზე საიმედო დაცვის განსახორციელებლად და საბოლოოდ მთიელთა დასამორჩილებლად ერთადერთი საშუალების გამოყენებას სთავაზობდა – მათ დაუძღურებას შიმშილით.

ველიამინოვი შემდეგნაირად უსუხოხს მნიშვნელოვან ამოცანებზე: „გამოცდილებე გვიჩვენებს, რომ მთიელები თავდასხმებში ყოველთვის მეტნაკლებ წარმატებას აღწევენ. კავკასიაში ჩემი მომდევნო სამსახურის დროს მე არაერთხელ ვცდილობდი მომეფიქრებინა ამ თავდასხმების მოკვრიების საშუალებები და უნდა ვაღიარო, რომ რაიმე დამაკმაყოფილებელ ხერხს ვერ ვპოულობ მტაცებელთა დევნისა და განადგურებისათვის საკორდონე ხაზი უვარგისია.

და ეს მოშიშარი საკუთარი თავის სიყვარული და ყველანაირი სულმოკლეობა. მტაცებელთა თუნდაც უმნიშვნელო ხროვასთან შესვდრისაგან თავის აცილება მიუხედავად თავისი მრავალრიცხოვნობისა.. ამან შორს წაგვიყვანა საქმის ჩამლასა და რუსული იარაღის სახელის ვატეხაში. ხშირი ექსპედიციები მხოლოდ მთიელთა შესასუსტებლად და სასარგებლო. როგორ დავიმორჩილოთ მთიელები? გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მტრის მიწების და სამაგრების თანდათანობითი დაკავება და კაზაკთა დასახლებების შექმნა ნელ–ნელა გამოდევნის მთიელებს და დროთა განმავლობაში შეიძლება მათ სრულ დამორჩილებამდე მიგვიყვანოს... მაგრამ ამ მიზნის მისაღწევად დაახლოებით 30 წელი დაჭირდება (წერილი დაწერილია 1832 წ. ა.მ.). ამას მოყვება ინსტრუქცია (ა.მ.) მთიელთათვის ყველაზე მგრძობიარე დარტყმის მიყენება აუცილებელ საარსებო საშუალებებთან მიმართებაში. მინდვრების განადგურება ზედიზედ რამდენიმე წლის განმავლობაში. (საქართველოს ნაციონალური არქივი. План покорения Кавказа. ფ.1087- 1- 353)

პეტერბურგში მშვიდობიანი მოლაპარაკებების მეშვეობით და ჩერქეზთა ნეიტრალიზების გზით დასავლეთ კავკასიის დამოშინების გეგმა მომწიფდა. ამ ქმედებით ხდებოდა რუსული ჯარის მარჯვენა ფლანგის უზრუნველყოფა, რასაც, თავის მხრივ, შამილის პოზიციების შესუსტება და მისი თურქებსა და ინგლისელებთან კავშირების შეწყვეტა უნდა გამოეწვია. ერთდროულად შამილთან მოლაპარაკებების გეგმა ისახებოდა. მოლაპარაკებებისთვის თვალის დევნება და მათი მართვა კავკასიის მთავარსარდალს ბარონ როზენს უნდა განეხორციელებინა.

ჩრდილოეთ კავკასიაში თავისი პოზიციების გამყარებაში რუსეთის იმპერია უკვე ოდითგან მის მიმართ ერთგულ მთიულ ელიტას ეყრდნობოდა. ამ მიზნით ჯერ კიდევ 1828 წელს ნიკოლოზ I უზენაესი ბრძანებით კავკასიის მთიელთა უმაღლესი წარმომადგენლებისგან ჩამოყალიბებულ იქნა ნახევარ–ესკადრონი, რომელიც საიმპერატორო კარზე სათანხლებო სამსახურისთვის იყო განკუთვნილი. ამ ნაწილს ლეიბ–გვარდიის კავკასიის–მთიული ნახევარ–ესკადრონი უწოდეს. ესკადრონმა განსაკუთრებული ერთგულება გამოიჩინა 1830-1831 წლების პოლონეთის აჯანყების დახშობაში თავისი მონაწილეობით, ამასთან გამოავლინა რა უშიშროების მაგალითები და განსაკუთრებული სისასტიკე. გენერალ ბენკენდორფი ასე წერდა ნახევარ–ესკადრონის მთიელთა შესახებ:

„მე ეჭვი არ მეპარება მთიელთა მამაცობაში და სიბეჭითეში, მაგრამ განსაკუთრებული კმაყოფილებით ვნახე, რომ ისინი ნამდვილად ამართლებენ იმ შექცებით აზრს, რომელიც მე მაქვს მათ მიმართ, რომ ისინი, ივინყებენ რა თავად სიცოცხლისთვის არსებულ საშიშროებას, ცდილობენ გამოხატონ თავისი მაღლიერების გრძობა ხელმწიფე იმპერატორის წყალობის მიმართ... სულ მალე ნახევარ–ესკადრონი მამაცობის და რუსეთის ტახტისადმი ერთგულების ახალ მაგალითებს (გამოცდილებას) გვიჩვენებს“ (Петин.С. Собственный Его Императорского Величества Конвой. — СПб.: Тип. А.С. Суворина, 1899,с. 70)

„ახალი გამოცდების“ დროც მალე დადგა. მშვიდობიანი მოლაპარაკებებისთვის დეპუტაცია ნახევარ–ესკადრონის ოფიცერთაგან, წარმომავლობით ჩერქეზთაგან იქნა შერჩეული, შტაბს–კაპიტან ხან–გირეის

მეთაურობით. დეპუტატთა მისია, რომლებიც ხელმწიფე იმპერატორის სახელით გამოდიოდნენ, მომდევნო შემდგომზე კავკასიასა და საქართველოში ნიკოლოზ I მგზავრობისთვის ნიადაგის მომზადებაში მდგომარეობდა.

„საბოლოო მიზანი იყო მთიელთა დაჯერება, რათა მათ თავისი მორჩილება გამოეცხადათ მისი უდიდებულესობის წინაშე და აღეძრათ მათში მუდმივი მმართველობის გამოთხოვის აუცილებლობა.

მინისტრ ჩერნიშოვის მიერ ხან–გირეისთვის მიცემულ ინსტრუქციაში ნათქვამი იყო, რომ ანდრიანოპოლის საზავო ხელშეკრულების დადების დროიდან, რომლითაც აღიარებული იქნა რუსეთის უფლებები კავკასიის მთიელ ხალხთა მიმართ, ხელმწიფე იმპერატორმა, ერთნაირად ზრუნავდა რა ყველა თავის ქვეშევრდომზე, უბრძანა ადგილობრივ უფროსობას უწყინარობისა და დაჯერების ზომებით დაეყოლიებინა მთიელები ნებაყოფლობითი მორჩილებისკენ“ (Петин.С. Собственный Его Императорского Величества Конвой. — СПб.: Тип. А.С. Суворина, 1899,с98)

ხან გირეის მიეცა დავალება მოეყოლებინა რუსეთის ძალისა და ძლევამოსილების შესახებ, მისთვის წინააღმდეგობის განწევის შეუძლებლობის და დამორჩილების გარდაუვლობის შესახებ; მას ნათლად უნდა ეჩვენებინა სხვაობა ძალისმიერი დაპყრობისა და საკუთარ თავზე მეფის ძალაუფლების ნებაყოფლობითი აღიარების შედეგებს შორის; ბოლოს და ბოლოს, დაერწმუნებინა მთიელები, რომ მათი მორჩილება და გამგონობა ნაკლებად მნიშვნელოვანია ძლევამოსილი რუსეთისთვის და ის საჭიროა მხოლოდ და მხოლოდ ხელმწიფის გულმონყალების გამო, რომელიც ესოდენ ზრუნავს თავისი ქვეშევრდომების კეთილდღეობაზე.

მასში, პეტერბურგის ბრძანებით განსაკუთრებული დავალების შესასრულებლად კავკასიაში ლეიბ–გვარდიის კავკასიურ–მთიული ნახევარ–ესკადრონის მეთაური, პოლკოვნიკი ხან გირეი გაემგზავრა. მასთან ერთად შტაბ–როტმისტრები პედისოვი, ტუგანოვი, იუნკერი ალხაზ შერეტლეუკოვი და მებაჭრე კუდენეტოვი იყვნენ მივლინებული.

ჩავიდა რა ჩერქეზეთში, დელეგაცია საკორდონე ხაზის დანიშნულ პუნქტებში მთიელთა ზემდეგებს შეხვდა. ხან–გირეიმ აუწყა მათ კავკასიაში იმპერატორის მომავალი ვიზიტის შესახებ და მონარქის საჭიროებების, დანაკლისების, იმედების და გულმონყალების ახსნის შესაძლებლობის შესახებ.

„სასიხარულო გაოცება – წერდა თავის დასმენაში ხან–გირეი – დაეფულა ზემდეგებს. ისინი ერთხმად პასუხობდნენ, რომ მათი მამები ეყვდნებოდნენ უფალს ამ ბედნიერ დღემდე მიღწიანთ. ხან–გირეის ყველა რჩევა მიღებული იქნა მთიელი ზემდეგების მიერ“ (Петин.С. Собственный Его Императорского Величества Конвой. — СПб.: Тип. А.С. Суворина, 1899,с. 78)

სინამდვილეში კი ხან–გირეის მისია ჩავარდა. ჩერქეზთა „დაშოშმინების“ უფრო ფანტასტიკური გეგმის მოგონება არც კი შეიძლებოდა. დამჯერი მთიელთათვის მორჩილებაში ცხოვრების ქადაგება უაზრო საქმე იყო, ხოლო ურჩებისთვის – რუსებს დაემონეთო – ორმაგი უაზრობა.

ამას მონუმობს კავკასიის ცალკეული კორპუსის მეთაურის ბარონ როზენის სახელზე გენერალ სიმბორსკის მიერ 1837 წლის 22 ივლისს გაგზავნილი წერილი: „ამა თვის 17 რიცხვამდე მთიელებთან არანაირი მოლაპარაკება არ იმართებოდა, 17–ში კი ბანაკს ჰასან ბარზეხოვი ეწვია. მისი სიტყვების მიხედვით როგორც ადღერისა და მამაის, ისე მათი მიმდებარე აულების მაცხოვრებელთა მორჩილების არანაირი იმედი არ ჩანდა.

მთავრობის სურვილი, რომელიც ცნობილ პირობებში მდგომარეობდა, მე მას თურქულ ენაზე თარგმანის სახით გადავეცი. მეორე დღეს მან დამიბრუნა ის წარწერით, რომელიც სხვა ტომების დეპუტატთა მიერ იყო გაკეთებული.

პატივი მაქვს ეს ქალაქი ორიგინალის სახით დავუერთო. მასში გაკეთებული ჩანაწერის შინაარსი ნათლად აჩვენებს, თუ როგორი დიდი იყო მთიელთა შფოთი და სულიერი დაბრმავება.

18 რიცხვში დიდი იქით–აქეთ სროლა იყო. მთიელები თავს დაცხენენ ჩვენს მონინავე ჯაჭვს. ეს უტიფრობა ძვირად დაუჯდათ. მათ 100 ადამიანი დაკარგეს მოკლულთა და დაჭრილთა სახით. მაგრამ ჩვენი მხრიდანაც ბარალი საგრძნობი იყო: 73 ადამიანი, მათ შორის ერთი ობერ–ოფიცერი“ (საქართველოს ნაციონალური არქივი ფ.1087-1-346, Копии рапортов и донесений барону Розену о военных действиях на Кавказском фронте. , т. 76)

შედეგები

გენერალ სიმბორსკის სახელზე გაგზავნილ საპასუხო წერილში ადღერის შემოგარენის მთიელები წერდნენ:

„ო, ურჯულო რუსებო, ჭეშმარიტი რელიგიის მტრებო.

თუ თქვენ იძახით, რომ ჩვენმა პადიშახმა მოგცათ ეს მთები, ჩვენთვის არ უცნობებია, რომ ჩვენი თავებიც პირადად თქვენ გადმოგცათ, და რომ გვცოდნოდა, ეს მიწები თქვენ გადაგვცათ, ჩვენ არც კი დავრჩებოდით აქ საცხოვრებლად.

ჩვენ სულთან მახმუდის, მეხმედ–ალი ფაშის, ინგლისის და საფრანგეთის დესპანები გვყავს მოვლინებული. თუ არ გჯერათ ეს, ჩვენ კონსტანტინოპოლში თითო–თითო მინდობილ პირს გავაგზავნით თქვენი და ჩვენი მხრიდან ჭეშმარიტების პატივსაცემად და თავად დარწმუნდებით, რომ უნდა დატოვოთ ეს ადგილები და გაგრა და გადახვიდეთ ჩორჩა–აბაზას მდინარის გაღმა (სავარაუდოდ ბზიფი, როგორც ბეასლან–ბარზიხმა აგვისსნა) და მხოლოდ მაშინ ვიცხოვრებთ თქვენთან და აფხაზებთან მშვიდობიანად.

გენერალო, თქვენ ვერ მიიღეთ უცხოური გემი (მხედველობაშია ჰასან სოლომონ–ოღლის გემი); ჩვენ კიდევ პირიქით, თუ მოხვალთ ჩვენთან, ჩვენ დიდ–პატარიანად, მზად ვართ თქვენს დაგიცვათ და თქვენი ოჯახიც.

ჩვენ რწმენას ვიფიცებოდით და იმას გაცნობებთ, რომ არ შევასრულებთ იმას, რაც ამ ქალაქში წერია. ღმერთი ან ჩვენსკენ იქნება ან თქვენსკენ“ (საქართველოს ნაციონალური არქივი. Ф.1087-1-343 „Копии рапортов и донесений барону Розену о военных действиях на Кавказском фронте. , с. 84)

დასკვნა

წარმომავლობით ჩერქეზი, თავადი ხან-გირეი, რომელიც 1826-1828 წლების რუსეთ-სპარსეთის ომში მონაწილეობდა და სამხედრო დამსახურების მედალი მიღო და ასევე თურქეთთან 1828-1829 წლების ომის მონაწილე იყო, რომელიც თავისი უშიშროებით გამოირჩა 1830-1831 წლებში პოლონეთში მომხდარი აჯანყების დახშობისას, მიიღო რა ამის გამო ჩინი, კავკასიაში მიმდინარე სამხედრო ქმედებებში მონაწილეობას არ ღებულობდა, მაგრამ ეს მოვლენები, ცხადია, მასაც აღელვებდა. არ იზიარებდა რა რუსეთის თვითმწყობელის მოთხოვნათა ულტიმატურ ხასიათს, მან იმავე 1837 წელს ბოლომდე მიიყვანა კავკასიის მშვიდობიანი დაპყრობის პროექტის დამუშავება. პროექტი მის ხელნაწერში „ჩერქეზეთის ჩანაწერები“ გამოქვეყნდა, მის ბოლო ნაწილში სახელწოდებით „ზოგიერთი აზრი მოთვინიერების ზომებითა და სისხლის დაღვრის შესახებ თავიდან აცილებით ჩერქეზი ხალხის სამოქალაქო მდგომარეობაში მოსაყვანად“. (Хан-Гирей. Записки о Черкессии. Нальчик -1978г.) ხელნაწერი განსახილველად გენერალ ველიამინოვს წარედგინა.

მოგვიანებით სენატორი ფილიპსონი თავის მოგონებებში დაწერს:

„1837 წლის გაზაფხულს ვუბრუნდები... ველიამინოვი ... დუმილით დადის აქეთ-იქეთ, დროდადრო აღმაცერად უყურებს რა ჩემს პორტფელს; ბოლოს ველარ მოითმინა და უკმაყოფილებით მკითხა: „რა გაქვს, უძვირფასესო, ესოდენ ბევრი მოსახსენებელი?“ მხოლოდ მაშინ გამახსენდა. — „ეს, თქვენო აღმატებულებავ, ფლიგელ-ადიუტანტის, პოლკოვნიკ ხან-გირეის მიერ შედგენილი კავკასიის დამორჩილების პროექტია, რომელიც სამხედრო მინისტრმა თქვენს გადასანყვეტად გამოგზავნა“. — „ცარიელი ყბედობა! დადე, ძვირფასო, მაგიდაზე და განვიხილა“.

მე ჩავდე ის მისი საწერი მაგიდის ერთ-ერთ განყოფილებაში და წელიწადზე მეტხანს მას იქვე ვხედავდი, ოღონდ მტვერის ფენა ემატებოდა“ (Воспоминания Григория Ивановича Филиппсона /«Русский архив», книга третья, т. 5, 1883 г., с. 185)

აღმოსავლეთ კავკასიაშიც ჩაიშალა მოლაპარაკებები. რუსეთის იმპერიამ მხოლოდ სისხლისღვრის დაიმორჩილა კავკასია.

გამოყენებული ლიტერატურა

Ростислав Фадеев. Государственный порядок. Россия и Кавказ.

Акты, собранные Кавказской археографической комиссией/ под ред. Берже. Тифлис, 1884г., Т- VIII

საქართველოს ნაციონალური არქივი. План покорения Кавказа.

საქართველოს ნაციონალური არქივი. Копии рапортов и донесений барону Розену о военных действиях на Кавказском фронте.

Хан-Гирей. Записки о Черкессии.

Воспоминания Григория Ивановича Филиппсона.

ეთნიკურიდან მრავალეთნიკური ერისკენ: ოფიციალური ნაციონალიზმის დინამიკა საქართველოში დამოუკიდებლობის შემდეგ

From Ethnic to Multiethnic Nation:
Dynamics of the Official Nationalism in Georgia after Independence

ირაკლი ჩხაიძე

ასისტ. პროფ. ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ელ-ფოსტა: irakli.chkhaidze@tsu.ge

აბსტრაქტი

ნაციონალიზმი, უმთავრესად, ოფიციალური ფენომენია, რომელიც პოლიტიკური ელიტების მიერ ყალიბდება და მიზნად ისახავს საზოგადოებაში ეროვნული განწყობების გაღვივებას. მისი ძირითადი იარაღია რიტორიკა, რომელსაც პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები იყენებენ, სახელმწიფო პროპაგანდა, ისტორიის ინტერპრეტაცია, რაც ნაციონალური იდენტობის ამა თუ იმ ფორმით ჩამოყალიბებას ემსახურება და სხვა. (Anderson 2006: 101) გამოძიწნარე აღნიშნულიდან, საინტერესოა ოფიციალური ნაციონალიზმის თავისებურებების ანალიზი საქართველოში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ.

მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან 2000-იან წლებამდე საქართველოში ოფიციალური ნაციონალიზმის განვითარების რამდენიმე ეტაპი გამოიყოფა. საქართველოს შემთხვევა ნაციონალიზმის ფენომენის წინააღმდეგობრიობის და მისი არაერთგვაროვანი ბუნების ნათელი მაგალითია. ერთი მხრივ, საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებში ქართულმა ნაციონალიზმმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ეროვნული მოძრაობის აღმავლობაში, საზოგადოების კონსოლიდაციასა და დამოუკიდებლობის მოპოვებაში, მეორე მხრივ კი, უკვე დამოუკიდებელ ქვეყანაში სოციალური და ტერიტორიული დეზინტეგრაციის ერთ-ერთ ხელისშემწყობ ფაქტორად იქცა.

საკვანძო სიტყვები: ერი, ნაციონალიზმი, ეთნიკურობა, პოლიტიკური ელიტა.

Abstract

Basically, nationalism is an official phenomenon formed by the political elite which aims at imposing national sentiments on the society. This is done through rhetoric used by the representatives political elite, state-organized propaganda, interpretation of the past which is served for establishing national identity etc. Respectively, exploring peculiarities of the official nationalism in Georgia after independence deserves particular interest. In late 1980s, at the turn of the post-Soviet epoch, radical ethnic nationalism was formed in Georgia which, along with other factors, was supported by the rhetoric of that time political elite – leaders of the Georgian national movement. After the tragedy of April 9, 1989 in Tbilisi, Georgian dissidents opposing to the Soviet government became the most popular figures in the Georgian society. The election of October 28, 1990, resulted in 70 years long communist regime change in Georgia. Popular Georgian dissident Zviad Gamsakhurdia and his political block “Round Table” came to power. Since the national movement’s rise to power the official Georgian nationalism was shifted to some extent and acquired more inclusive and civic nature. From the middle of 1990s civic tendencies of the Georgian nationalism were inconvertibly developed, which were even more strengthened since 2000s. The paper aims at analyzing key features of the Georgian national project after independence, the ways of its realization and the peculiarities of transformation.

Keywords: Nation, Nationalisation, Ethnic, Political Elite.

შესავალი

ნაციონალიზმი, უმთავრესად, ოფიციალური ფენომენია, რომელიც პოლიტიკური ელიტების მიერ ყალიბდება და მიზნად ისახავს საზოგადოებაში ეროვნული განწყობების ვალვივებას. მისი ძირითადი იარაღია რიტორიკა, რომელსაც პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები იყენებენ, სახელმწიფო პროპაგანდა, ისტორიის ინტერპრეტაცია, რაც ნაციონალური იდენტობის ამა თუ იმ ფორმით ჩამოყალიბებას ემსახურება და სხვა. (Anderson 2006: 101) გამოდინარე აღნიშნულიდან, საინტერესოა ოფიციალური ნაციონალიზმის თავისებურებების ანალიზი საქართველოში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ.

პოსტსაბჭოთა ეპოქის გარიჟრაჟზე, 1980-იანი წლების ბოლოს, საქართველოში რადიკალური ეთნიკური ნაციონალიზმი ჩამოყალიბდა, რომელსაც, სხვა ფაქტორებთან ერთად, ხელი შეუწყო იმუამინდელი პოლიტიკური ელიტის - ეროვნული მოძრაობის ლიდერების - რიტორიკამ. 1989 წლის აპრილის ტრაგედიის შემდეგ, კომუნისტური ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლი ქართველი დისიდენტები პოპულარობის ზენიტში აღმოჩნდნენ.

1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების შედეგად საქართველოს ხელისუფლებაში პოპულარული დისიდენტი ზვიად გამსახურდია და მისი პოლიტიკური გაერთიანება „მრგვალი მაგიდა“ მოვიდა. ეროვნული მოძრაობის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ შეინიშნება გარკვეული ცვლილებები ოფიციალურ ქართულ ნაციონალიზმში, რომელმაც სამოქალაქო ელემენტები შეიძინა და მეტად ინკლუზიური გახდა. 1990-იანი წლების შუა ხანებიდან ეს ტენდენცია კიდევ უფრო გაძლიერდა 2000-იანი წლებიდან სრულიად ახალ ეტაპზე გადავიდა.

ნაშრომის მიზანია გაანალიზოს დამოუკიდებლობის შემდგომი ოფიციალური ქართული ნაციონალიზმის ძირითადი მახასიათებლები, მისი რეალიზების გზები და ტრანსფორმაციის თავისებურებები.

თანამედროვე მსოფლიოში ნაციონალიზმი ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან და ანგარიშგასასწევ ძალად მიიჩნევა. მე-19 საუკუნიდან დღემდე მან საერთაშორისო სისტემაში რევოლუციური ცვლილებები განაპირობა – განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ერი-სახელმწიფოების ფორმირებაში, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპული იმპერიების რღვევაში, მეორე მსოფლიო ომის გაჩაღებასა და სამი კომუნისტური სახელმწიფოს-საბჭოთა კავშირის, იუგოსლავიისა და ჩეხოსლოვაკიის - დაშლაში. ნაციონალიზმის ფენომენის სიძლიერესა და გავლენაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ გასული საუკუნის მინურულს, დიდი პოლიტიკური ტრანსფორმაციის პერიოდში, ბევრმა პოლიტიკოსმა და საზოგადო მოღვაწემ დაივიწყა თავისი კომუნისტური, ინტერნაციონალური წარსული და მხურვალე ნაციონალისტად მოგვევლინა. უკანასკნელ წლებში, ლიბერალურ-დემოკრატიულ დასავლეთშიც კი, ნაციონალისტური იდეოლოგიის მატარებელი პოლიტიკური გაერთიანებები განსაკუთრებული ელექტორალური წარმატებით სარგებლობენ. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბოლო პერიოდში დასავლურ (და არა მხოლოდ

დასავლურ) სამეცნიერო წრეებში ნაციონალიზმის და მასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა. მაიკლ ჰეჩტერს თუ დავესესებით, გაჩნდა ნაციონალიზმის პრობლემისადმი მიძღვნილი სტატიებისა და წიგნების „მთელი მთები“ (ჰეჩტერი 2007: 25).

მკვლევართა დიდი ნაწილი ნაციონალიზმს უკავშირებს ბევრ ერთმანეთისაგან განსხვავებულ ფაქტსა თუ მოვლენას, მაგალითად, ერთი მხრივ, საფრანგეთის რევოლუციის და, მეორე მხრივ, თანამედროვე ეპოქისთვის დამახასიათებელ ეთნიკურ წმენდას, ძალადობას, სამხედრო დანაშაულებს და სხვა. ასეთი მრავალფეროვნება ნათლად აჩვენებს ამ ფენომენის კომპლექსურობას და მისი შესწავლის სირთულეს. ნაციონალიზმი ამბივალენტურობით და წინააღმდეგობრიობით ხასიათდება. ერთი მხრივ, იგი ასოცირდება მილიტარიზმთან, შოვინიზმთან, ომთან, ირაციონალიზმთან, ჰომოგენიზაციასთან, ძალადობრივ ასიმილაციასთან, ქსენოფობიასთან, ეთნიკურ წმენდასთან, ხოლო მეორე მხრივ, ნაციონალიზმის ფენომენი უკავშირდება დემოკრატის, თვითგამორკვევას, პოლიტიკურ ლეგიტიმურობას, სოციალურ ინტეგრაციას, სოლიდარობას, ღირსებას, იდენტობას, კულტურულ აღორძინებას, მოქალაქეობას, ლიბერალიზმს. იგი აერთიანებს ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებულ და ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო მოვლენებს, რაც, თავის მხრივ, ინვესს კონცეპტუალურ ორპარტიანობას ნაციონალიზმის შეფასებისას. მისი დახასიათება და შეფასება დამოკიდებულია იმაზე, თუ რას ვგულისხმობთ ტერმინში “ნაციონალიზმი” (Brubaker 2006: 132).

რთულად განსასაზღვრია ერის ცნებაც, რომელთან დაკავშირებით ბევრი განსხვავებული და ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრება არსებობს. მე-19 საუკუნეში მოღვაწე ბრიტანელი ესეისტის ვალტერ ბაჭეთის სიტყვით, “რა არის ერი, ჩვენ ვიცით მხოლოდ მანამ, სანამ ამის შესახებ რამეს ვკითხავთ” (Bagehot 1972: 20). ბაჭეთი მე-19 საუკუნეში, ერებისა და ნაციონალიზმის ჩამოყალიბების ეპოქაში ცხოვრობდა, როდესაც მხოლოდ ფეხს იკიდებდა ამ პრობლემებისადმი მეცნიერული ინტერესი. დღეს, მე-20 საუკუნეში (განსაკუთრებით მის მიწურულს) განვითარებული მრავალფეროვანი და ტრაგიკული პროცესების ფონზე, რომელთა ძირითადი აქტორები სწორედ ერები და ეთნიკური ჯგუფები იყვნენ, ერის/ნაციის ცნების მიღებული და ფართოდ გაზიარებული დეფინიციის მიგნება მნიშვნელოვნად გართულდა.

მიუხედავად აღნიშნულისა, სამეცნიერო ლიტერატურაში ვხვდებით ერისა და ნაციონალიზმის ცნებათა კლასიფიკაციის მცდელობებს. ტიპოლოგიზაციის ყველაზე გავრცელებული ფორმაა ერისა და ნაციონალიზმის ეთნიკური და სამოქალაქო მახასიათებლების მიხედვით დაყოფა. ნაციის სამოქალაქო კონცეფციაში ინდივიდები ფლობენ გარკვეულ თავისუფლებას. მართალია, „ნაციათა მსოფლიოში“ და ნაციონალური სახელმწიფოების არსებობის პირობებში, ისინი ამა თუ იმ ნაციას უნდა განეკუთვნებოდნენ, მაგრამ, პრინციპში, მათ შეუძლიათ თავი მიაკუთვნონ სასურველ ნაციას. ნაციის „ორგანულ“ (ეთნიკურ) კონცეფციაში ამგვარი არჩევანი გამორიცხებულია. ინდივიდები ნაციაში არიან შობილნი და, სადაც არ უნდა წავიდნენ, მაინც მათი დამბადებელი ნაციის განუყრელ ნაწილად რჩებიან (სმიტი 2004: 70).

ორივე აღნიშნული მიდგომა რელიგვანტურია საქართველოს შემთხვევისთვის, რადგან დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე აღმოცენებულმა ოფიციალურმა ეთნიკურმა ნაციონალიზმმა მომდევნო პერიოდში თანდათანობითი სამოქალაქო ტრანსფორმაცია განიცადა. 1990-იანი წლებიდან საქართველოში განვითარებული პროცესების ანალიზი საშუალებას გვაძლევს თვალი მივადევნოთ პოლიტიკური ელიტის რიტორიკისა და პრაქტიკული საქმიანობის ტრანსფორმაციას, რამაც ქართული ნაციონალური პროექტი „მრავალეთნიკური ქართველი ერის“ კონცეფციამდე მიიყვანა.

საქართველოში კომუნისტური ხელისუფლების რღვევა 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ დაიწყო. ამ პროცესს წერტილი 1990 წლის 28 ოქტომბერს დაესვა, როდესაც საქართველოს ხელისუფლებაში პოლიტიკური ბლოკი „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო“ მოვიდა ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით. აღსანიშნავია, რომ ეთნიკური ნაციონალური პროექტის კონტურები საქართველოს ეროვნულ მოძრაობაში ჯერ კიდევ 28 ოქტომბრის არჩევნებამდე ჩაისახა. მომავალი პოლიტიკური ელიტის ზოგიერთი წარმომადგენლის საჯაროდ გაუღერებული შეხედულებები მკაფიოდ მიუთითებდა ეროვნული პროექტის ექსკლუზიურობასა და სხვა ჯგუფების მიმართ არატოლერანტულ დამოკიდებულებებზე. ამის საილუსტრაციოდ გამოგვადგება ზვიად გამსახურდიას გამოსვლა „სახალხო ფრონტის“ ყრილობაზე, რომელიც 1989 წლის 21-25 ივნისს მიმდინარეობდა თბილისში, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში. გამსახურდია „სახალხო ფრონტის“ მესვეურთა მიერ შემუშავებულ პროგრამას იმის გამო იწუნებდა, რომ მასში სათანადოდ არ იყო დაყული ეთნიკური ქართველების უფლებები. გამსახურდია ყურადღებას ამახვილებდა საქართველოს ავტონომიურ ერთეულებზე და მათ „უკანონო წარმონაქმნებს“ უწოდებდა, რომლებიც აუცილებლად უნდა გაუქმებულიყო. იგი ეწინააღმდეგებოდა პროგრამის იმ პუნქტს, სადაც საუბარი იყო ისეთი კონსტიტუციის შემუშავებაზე, რომელიც სრულად გამოხატავდა ქართველი ერისა და რესპუბლიკაში მცხოვრები სხვა ერების წარმომადგენელთა ინტერესებს: „კვლავ გათანაბრებაა, მეგობრებო. საქართველო არის ქართველების ქვეყანა, ეს აქსიომა უნდა იყოს წარმოდგენილი და არეკლილი ამ პროგრამაში, კონსტიტუცია უნდა გამოხატავდეს ქართველი ერის ინტერესებს და, ამავე დროს, ყველა პიროვნების ინტერესებს, რა ეროვნებისაც არ უნდა იყოს ის და არა სხვა ერების ინტერესებს, ჩვენ აქ აზერბაიჯანის ინტერესებისთვის არ ვიბრძვით, მეგობრებო, და თუ ვინმე იბრძვის, ის დამარცხდება...“ ნათელია, რომ ზვიად გამსახურდიასთვის ერი კონკრეტულ ეთნიკურ ჯგუფს ნიშნავდა და იგი ქართველ ერში მხოლოდ ეთნიკურ ქართველებს გულისხმობდა. თუმცა, ამავე დროს, საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებს ერებად არ მოიხსენიებდა და მათი, ამ შემთხვევაში, აზერბაიჯანელების უფლებების დაცვას აზერბაიჯანის ინტერესებისთვის ბრძოლად თვლიდა. გამსახურდია შეეხო აგრეთვე აფხაზების და ოსების საკითხს. იგი აღნიშნავდა, რომ სახალხო ფრონტის პროგრამაში ჩანდა აფხაზებისა და ოსების პრივილეგიების კრემლისეულ პოლიტიკა და, რომ სახალხო ფრონტი იბრძოდა ამ ეთნიკური ჯგუფების ინტერესების დაცვისთვის. მისი შეხედულებით, აფხაზებს და ოსებს

კარგი დამცველი ჰყავდათ კრემლის სახით და ქართველებისთვის მთავარი საკუთარი ინტერესების დაცვა უნდა ყოფილიყო. მსგავსი წინააღმდეგობრიობა, ბუნდოვანება და რადიკალიზმი 1980-იანი წლების ქართული ნაციონალური პროექტის ექსკლუზიურობასა და ჩაკეტილობაზე მიუთითებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდის ქართული ნაციონალიზმი ცალსახად ეთნიკური ხასიათისაა, იგი მაინც უფრო ქართველების ინტერესების დაცვისკენ არის მიმართული, ვიდრე სხვა ჯგუფების წინააღმდეგ.¹

“მრგვალის მაგიდის” ხელისუფლებისა და ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს შეინიშნება გარკვეული ცვლილებები ოფიციალურ ქართულ ნაციონალიზმში, რომელმაც სამოქალაქო მახასიათებლები შეიძინა და მეტად ინკლუზიური გახდა.

მაგალითისთვის შეგვიძლია შევხვით ზვიად გამსახურდიას მიმართვას სამცხე-ჯავახეთის სომეხი მოსახლეობისადმი, რომელიც 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის წინ გამოქვეყნდა. მიმართვის დასაწყისში გამსახურდია ხოტბას ასხამს საქართველოში მცხოვრებ სომეხებს და მათ მთელ ქვეყანაში უნიკალური შრომისმოყვარეობით განთქმულ თანამოქალაქეებს უწოდებს, რომლებიც უმძიმეს პირობებში თავდადებული შრომით ამრავლებდნენ ქვეყნის სიმდიდრეს. გამსახურდიას სიტყვით, რეფერენდუმში სიტყვა “დიას” ნიშნავს იმას, რომ საქართველომ მოიპოვოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, აქედან გამომდინარე ყველა შედეგითურთ. “დიას” – ნიშნავს მივცეთ ხმა ყველა მოქალაქის თანასწორ მოქალაქეობრივ უფლებებს, ეროვნებისა და სარწმუნოების მიუხედავად.” გამსახურდია უმცირესობების წარმომადგენლებს ჰპირდება, რომ, ტოტალიტარული სახელმწიფოსგან განსხვავებით, მათთვის გარანტირებული იქნება კაცობრივად მეტი თავისუფლება და უსაფრთხოება პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. იგი მოუწოდებს სომეხ მოსახლეობას, რომ გამოიჩინოს მოთმინება და გადადგას გონივრული ნაბიჯები საერთო მიზნისკენ მიმავალ გზაზე. “მხოლოდ ჩვენ, ერთად თუ გამოავლენთ სოლიდარობას, სურვილს, გაუგვოთ ერთმანეთს დიალოგის გზით, შევძლებთ ავაშენოთ ჩვენი დემოკრატიული, დამოუკიდებელი საქართველო.”²

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, ამ შემთხვევაში, სომეხებს “ჩვენ” ჯგუფის წევრებად განიხილავს და მათზე, როგორც უცხოელებზე საუბარი კატეგორიულად მიუღებლად მიაჩნია.

მიუხედავად აღნიშნულისა, ზვიად გამსახურდიას გაუჭირდა ეროვნული მოძრაობის ლიდერის როლიდან გამოსვლა, რასაც აუცილებლად გულისხმობდა დამოუკიდებელი ქვეყნის პოლიტიკური ლიდერობა. ხელისუფლებაში ყოფნის დროს მას კვლავ ახასიათებდა იმპულსურობა, მუდმივად მტრების ძიება და განსხვავებულ აზრთან შეურიგებლობა. ეს ტენდენცია, ისედაც უკიდურესად დაძაბულ პოლიტიკურ ვითარებაში, საფრთხეს უქმნიდა ქვეყნის სტაბილურ განვითარებას. ამ ეპოქის საქართველოში არ არსებობდა დამოუკიდებელი ქვეყნის მართვის გამოცდილება. ამას ემატებოდა ის, რომ საქართველოს

¹ გამოსვლის სრული ტექსტი იხილეთ ლინკზე: <https://www.youtube.com/watch?v=VFrs6iBDmlA>

² გაზ. “საქართველოს რესპუბლიკა”. # 61. 1991.

ხელისუფლების მნიშვნელოვანი ნაწილი, განსაკუთრებით, მისი ლიდერი წლების განმავლობაში ოფიციალურ სტრუქტურებთან მწვავე დაპირისპირებაში იმყოფებოდნენ. ამის შემდეგ, ფაქტობრივად მოუმზადებლად, ეს ადამიანები ხელისუფლების სათავეში აღმოჩნდნენ და თავად მოუხდათ სახელმწიფო სტრუქტურების მართვა/შენება. ვფიქრობთ, რომ დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე საქართველოში არსებული სირთულეები დიდწილად ობიექტური რეალობის შედეგია, თუმცა ამ პერიოდის ქართული ნაციონალური პროექტის მარცხს და სამოქალაქო დაპირისპირებას სუბიექტურმა ფაქტორებმაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი. ქართული ნაციონალური პროექტის წინააღმდეგობრიობა ობიექტური და სუბიექტური გარემოებების ზემოქმედების შედეგია.

პოზიტიური და ტრაგიკული მოვლენებით, წინააღმდეგობებითა და დინამიკით სავსე გამსახურდიას ეპოქა სამოქალაქო ომით დასრულდა, რაც საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე არსებულმა ქართულმა ნაციონალურმა პროექტმა მარცხი განიცადა. საქართველოს ეროვნულმა მოძრაობამ, პოლიტიკურმა და ინტელექტუალურმა ელიტამ ვერ შეძლო რთული გარდამავალი პერიოდის მშვიდობიანად, სისხლისღვრის გარეშე დასრულება და ქვეყნის განვითარების ახალ ეტაპზე გადასვლა.

ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობისა და „სამხედრო საბჭოს“ მცირეხნაანი მმართველობის შემდეგ საქართველოში საბჭოთა კავშირის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე დაბრუნდა. შევარდნაძემ ზუსტად აულო ალლო ქვეყანაში არსებულ განწყობებს და ახალი ქართული ნაციონალური პროექტის ძირითად მესიჯად სიტყვა „სტაბილურობა“ აქცია.

1992 წლის ივლისში, საქართველოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მიღების აღსანიშნავად, გამოქვეყნდა მანიფესტი,¹ რომელსაც ხელს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძე აწერდა. საზოგადოებისადმი მიმართვა სახელწოდებით „სამოქალაქო მშვიდობისა და ეროვნული თანხმობის დამკვიდრების მიზნით!“ საყურადღებო გზავნილებს შეიცავდა. ავტორთა სიტყვით, საქართველოს დამოუკიდებლობა მსოფლიო თანამეგობრობის მიერ მისი აღიარებით დაგვირგვინდა, რითაც განხორციელდა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ოცნება. იზოლაციონიზმის დამღუპველი პოლიტიკის დაძლევით, საქართველომ შეიქმნა არა მხოლოდ სუვერენული უფლებების განხორციელების გარანტიები, არამედ იმ პრინციპების ერთგულების შესახებ განაცხადა, რომლითაც თანამედროვე კაცობრიობა სულდგმულობს. „საქართველო შევიდა ახალ ზნეობრივ, სამართლებრივ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ სფეროებში, სადაც ახალი წესი, ახალი ნორმები, სხვა მოთხოვნები და განზომილებებია.“ მანიფესტში საუბარია იმაზე, რომ სრულიად საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე, ხელისუფლება იზრუნებდა საერთაშორისო სამართლის შესაბამისად ეროვნული უმცირესობების უფლებრივი მდგომარეობის განმტკიცებისთვის. აღნიშნული მანიფესტის რიტორიკა

¹ გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ # 147. 1992.

ახალია იმ მხრივაც, რომ მასში, მართლმადიდებლური ეკლესიის როლთან ერთად, მოხსენიებულია ქვეყნის აღმშენებლობისა და დიალოგის პროცესში სხვა რელიგიური გაერთიანებების როლის მნიშვნელობა.

ეს მიმართვა ნათელი დასტურია იმისა, რომ საქართველოს ახალი ხელისუფალი ქვეყანაში ახლებური პოლიტიკის გატარებას აპირებდა. მანიფესტი თავისუფალია პათეტიკისგან, ჭარბი ნაციონალისტური და რელიგიური რიტორიკისგან. აქცენტი მშვიდობაზე, სამოქალაქო თანხმობაზე, სტაბილურობასა და წესრიგზე კეთდება. 1992 წლის ზაფხულში გამოქვეყნებული ეს დოკუმენტი, ფაქტობრივად, საპროგრამო ხასიათს ატარებდა. იგი გვიჩვენებს ქართული ნაციონალური პროექტის ტრანსფორმაციას. უკვე თვალშისაცემი გახდა სახელმწიფოს ოფიციალური პოლიტიკის სამოქალაქო ნაციონალიზმის ჩარჩოებში მოქცევა.

1992 წლის შემდეგ ქართული ოფიციალური ნაციონალიზმის სამოქალაქო ტრანსფორმაციას ხელი შეუწყო ფუნდამენტურმა საკანონმდებლო ცვლილებებმა. მთავარი აქტები, რომლებმაც, ერთი მხრივ, ხელისუფლების ცენტრალიზაცია, ხოლო, მეორე მხრივ, სამოქალაქო იდენტობის დისკურსის გაძლიერება განაპირობეს, არის კანონი მოქალაქეობის შესახებ და საქართველოს კონსტიტუცია. სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობის გზაზე დამდგარმა ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლებამ 1993 წლის 25 მარტს ხელახლა მიიღო კანონი მოქალაქეობის შესახებ. კანონის მიღებისას, რომელიც ცალსახად ლიბერალურ ხასიათს ატარებდა, ხელისუფლებამ მხედველობაში მიიღო საქართველოში არსებული ეთნოპოლიტიკური ვითარება და ქვეყნის მოქალაქეობა შეიანჭა საქართველოს ყველა მაცხოვრებელს. კანონი არ ითვალისწინებდა ისეთ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, როგორებიცაა, მაგალითად, სახელმწიფო ენისა და ქვეყნის ისტორიის ცოდნა. ლიბერალიზმის თვალსაზრისით, საქართველოს კანონმა მოქალაქეობის შესახებ გაუსწრო ბევრ ევროპულ დემოკრატიულ სახელმწიფოს (Jones 2006: 260).

მოქალაქეობა მიენიჭა საქართველოს ყველა მცხოვრებს, რომელიც კანონის მიღების დროისთვის, ანუ 1993 წლის მარტისთვის, ქვეყანაში ცხოვრობდა. კანონში ასევე ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ საქართველოს მოქალაქენი კანონის წინაშე თანასწორნი არიან, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა. საქართველოს მოქალაქეებს გარანტირებული აქვთ საქართველოს კანონმდებლობით და საერთაშორისო სამართლით აღიარებული პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, აგრეთვე პირადი უფლებები და თავისუფლებები. სახელმწიფომ განაცხადა, რომ დაიცავდა თავისი მოქალაქეების უფლებებს როგორც ქვეყნის ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ.¹

მოქალაქეობის შესახებ კანონის მსგავსად, საქართველოს კონსტიტუციაც აღიარებს, რომ ყველა ადამიანი დაბადებით თანასწორია, განურჩევლად რასობრივი, ენობრივი, ეთნიკური, რელიგიური, სქესობრივი თუ სხვა სახის მიკუთვნებულობისა. კონსტიტუციის მიხედვით, დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, ასევე მისი

იძულება, გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ. საქართველოს სახელმწიფო აღიარებს საქართველოს მოქალაქეების უფლებას, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ჩარევის გარეშე განავითარონ საკუთარი კულტურა, ისარგებლონ დედაენით როგორც საჯაროდ, ასევე პირად ცხოვრებაში.

ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით, მნიშვნელოვანი მოვლენა იყო სახალხო დამცველის ინსტიტუტის შემოღება, რომელიც 1995 წლის კონსტიტუციითაა გარანტირებული. სახალხო დამცველს მიენიჭა უფლებამოსილება, ზედამხედველობა გაენია საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვისთვის.

სამოქალაქო ნაციონალიზმის ჩამოყალიბებისთვის საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნის თვალსაზრისით, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი იყო 1999 წლის 14 იანვარს მიღებული კანონი, რომლის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობებიდან ამოიღეს ეთნიკური მიკუთვნებულობის აღმნიშვნელი გრაფა (Reisner 2010: 158). ამ ფაქტმა ქვეყნის პოლიტიკურ და ინტელექტუალურ წრეებში დიდი მღელვარება გამოიწვია. ცნობილი მკვლევარი სტივენ ჯონსი აღნიშნავს, რომ, მიუხედავად მრავალეთნიკური შეფერილობისა, ქართველთა უმრავლესობას მაინც ეთნონაციონალური საზოგადოების სწამს, რაც ამ კანონის მიღებით გამოწვეული პროტესტით დადასტურდა (ჯონსი 2013: 205).

განსაკუთრებით აქტიურობდა პარლამენტის საიმიგრაციო კომიტეტის თავმჯდომარე გურამ შარაძე, რომელმაც განაცხადა, რომ ეროვნების აღმნიშვნელი გრაფის ამოღება იქნებოდა ქარის ნისქვილებთან ბრძოლა, რომელიც ქართველ ერს ახალი საფრთხის წინაშე დააყენებდა: “გაივლის რამდენიმე წელიწადი და აღარ გვეცოდინება, ჩვენთან მცხოვრებ 80 ერსა და ეროვნებას შორის ქართველობა კვლავ უმრავლესობა არის თუ არა. აქედან გამომდინარე, თუ არ გვეცოდინება, რომ უმრავლესობას წარმოვადგენთ, სახელმწიფოს სახელწოდების – საქართველო – დატოვება, შესაძლოა, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს, გვეტყვიან – თუ არ ხართ უმრავლესობა, რატომ უნდა ერქვას ამ ქვეყანას საქართველო?” შარაძე ეროვნების აღმნიშვნელი რეკვიზიტების ამოღებას ადარებდა საქართველოს გასვლას “კოსმოპოლიტიზმის საცდელ პოლიგონზე” (ჯონსი 2013: 31).

მიუხედავად წინააღმდეგობისა, კანონი მაინც მიიღეს, რაც, უდაოდ, წინგადადმული ნაბიჯი იყო მრავალეთნიკური ქართველი ერის მშენებლობის გზაზე. ოფიციალური ნაციონალიზმის სამოქალაქო ტრანსფორმაციის პროცესი კიდევ უფრო გაძლიერდა 2000-იანი წლებიდან, 2003 წლის შემდეგ კი სრულიად ახალ ეტაპზე გადავიდა, თუმცა ეს პერიოდი სცდება ჩვენი ნაშრომის ქრონოლოგიურ ჩარჩოს და შემდგომი კვლევის საგანია.

მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან 2000-იან წლებამდე საქართველოში ოფიციალური ნაციონალიზმის განვითარების რამდენიმე ეტაპი გამოიყოფა. საქართველოს შემთხვევა ნაციონალიზმის ფენომენის წინააღმდეგობრიობის და მისი არაერთგვაროვანი ბუნების ნათელი მაგალითია. ერთი მხრივ, საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებში ქართულმა ნაციონალიზმმა

¹ კანონი საქართველოს მოქალაქეობის შესახებ იხილეთ ბმულზე: <http://mra.gov.ge/res/docs/2013110412-031013274.pdf>

მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ეროვნული მოძრაობის აღმავლობაში, საზოგადოების კონსოლიდაციასა და დამოუკიდებლობის მოპოვებაში, მეორე მხრივ კი, უკვე დამოუკიდებელ ქვეყანაში სოციალური და ტერიტორიული დეზინტეგრაციის ერთ-ერთ ხელისშემწყობ ფაქტორად იქცა.

მოგვიანო პერიოდში, სახელისუფლებო ელიტამ ინკლუზიური ნაციონალური პროექტის ჩამოყალიბების გზით სცადა მშვიდობისა და თანხმობის მიღწევა, საქართველოს მრავალეთნიკური საზოგადოების სტაბილური არსებობის უზრუნველყოფა. ვფიქრობთ, რომ ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლებამ შეძლო სამოქალაქო ნაციონალიზმის განვითარებისთვის ლეგალური საფუძვლის შექმნა და ზოგიერთი მიმართულებით ხელშესახებ წარმატებასაც მიაღწია. მიუხედავად ამისა, მძიმე სოციალური და ეკონომიკური ვითარების პირობებში, ნაციონალური პროექტის პრაქტიკული განხორციელების გზაზე ქმედითი ნაბიჯების გადადგმა არ მოხერხდა.

გამოყენებული ლიტერატურა

სმიტი, ა. დ. ნაციონალიზმი: თეორია, იდეოლოგია, ისტორია, თბილისი „არტანუჯი“, 2004

ჯონსი, სტ. საქართველო: პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის შემდეგ, თბილისი, „სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი“, 2013

ჰენტი, მ. ნაციონალიზმის შეჩერება, თბილისი, „სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი“ 2007

Anderson, B. *Imagined Communities: Reflections on the Origin and Spread of Nationalism*. London. Verso 2006.

Bagehot, W. *Physics and Politics*, New York, “Cosimo Classic”, 1972

Brubaker, R. *Ethnicity without Groups*, Cambridge, “Harvard University Press”, 2006

Jones, St. „Georgia: Nationalism from Under the Rubble“, *Making and Protection the Nation in Postcolonial and Postcommunist states*, Michigan, „The University of Michigan Press“, 2006

Reisner, O. *Between State and Nation Building - The Debate about ‘Ethnicity’ in Georgian Citizens’ ID Cards*. In *Exploring the Caucasus in the 21st Century: Essays on Culture, History and Politics in a Dynamic Context*. Françoise Companjen, László Marác, Lia Versteegh (eds.). Amsterdam: Pallas Publication, 2010

